
**0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე
ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები პირველად
ჯანდაცვაში**

**კლინიკური მდგომარეობის მართვის ეროვნული
რეკომენდაცია (გაიდლაინი)**

2023 წელი

შემუშავებულია ჩეხეთის კარიტასისა და UNICEF-ის ერთობლივი პროექტის „ყველა ბავშვის მოცვა
უწყვეტი და ხარისხიანი პჯდ სერვისებით საქართველოში“ ფარგლებში

შინაარსი

შინაარსი.....	2
აბრევიატურები.....	4
1 გაიდლაინის სათაური:.....	4
2 გაიდლაინით მოცული კლინიკური მდგომარეობები და ჩარევები.....	4
3 გაიდლაინის შემუშავების მეთოდოლოგია.....	4
4 გაიდლაინის მიზანი და ამოცანები.....	6
5 სამიზნე ჯგუფი.....	6
6 ვისთვის არის გაიდლაინი განკუთვნილი.....	6
7 სამედიცინო დაწესებულებაში გაიდლაინის გამოყენების პირობები.....	7
8 განსაზღვრება.....	7
8.1 ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობა.....	7
9 ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერული მიღწევების გამოყენება ბავშვთა ჯანმრთელობის ზედამხედველობის პროგრამაში.....	7
10 რეკომენდაციები.....	8
10.1 კლინიკური შეკითხვა 1 - რა სიხშირით უნდა ჩატარდეს ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის რუტინული პრევენციული ვიზიტები 0-6 წლის ასაკში?.....	8
10.2 კლინიკური შეკითხვა 2 - რა სარეგებელით ხასიათდება ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა და სკრინინგი 0-6 წლის ასაკში?.....	13
10.3 კლინიკური შეკითხვა 3 - რა უპირატესობით ხასიათდება სმენის, მხედველობისა და ბარძაყის თანდაყოლილი დისპლაზიის ადრეული გამოვლენა?.....	14
10.4 კლინიკური შეკითხვა 4 - რა სიხშირით უნდა ჩატარდეს ადრეული ასაკის ბავშვებში ზრდის პარამეტრების (წონა, სიგრძე/სიმაღლე, თავის გარშემოწერილობა) შეფასება და რა უპირატესობით ხასიათდება ზრდის პარამეტრების რეგულარული შეფასება ბავშვის ჯანმრთელობის კუთხით?.....	15
10.5 კლინიკური შეკითხვა 5 - რა სიხშირით უნდა ჩატარდეს ადრეული ასაკის ბავშვებში განვითარების სკრინინგი?.....	17
10.6 კლინიკური შეკითხვა 6 - რა ასაკში უნდა ჩატარდეს აუტიზმის სკრინინგი?.....	18
10.7 კლინიკური შეკითხვა 7 - რა ასაკშია რეკომენდებული რკინადეფიციტურ ანემიაზე სკრინინგი 0-6 წლამდე ბავშვთა პოპულაციაში და რომელი ტესტის გამოყენებაა რეკომენდებული?.....	18
10.8 კლინიკური შეკითხვა 8 - რა პერიოდულობით არის რეკომენდებული მშობიარობის შემდგომი დეპრესიის სკრინინგი და რა არის სკრინინგის სარეგებელი?.....	19

10.9	კლინიკური შეკითხვა 9 - როგორია ბილირუბინის სკრინინგთან დაკავშირებული რეკომენდაციები ახალშობილებში?.....	20
10.10	კლინიკური შეკითხვა 10 - რა ასაკიდანაა არტერიული წნევის სკრინინგი რეკომენდებული ბავშვებში?	22
10.11	კლინიკური შეკითხვა 11 - რა ასაკიდანაა რეკომენდებული დისლიპიდემიის სკრინინგი ბავშვებში.....	22
10.12	კლინიკური შეკითხვა 12 - არის თუ არა რეკომენდებული სისხლში ტყვიის რუტინული სკრინინგი 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებში?	23
10.13	კლინიკური შეკითხვა 13 - არის თუ არა რეკომენდებული პირის ღრუს ჯანმრთელობის რუტინული შეფასება 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებში?.....	24
10.14	კლინიკური შეკითხვა 14 - რა უპირატესობით ხასიათდება მშობლების განათლება და გამაფრთხილებელი რეკომენდაციების მიწოდება (anticipatory guidance) ბავშვის ჯანმრთელობის გამოსავლების კუთხით?	25
	0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა პრევენციულ სერვისებთან დაკავშირებული რეკომენდაციები	26
	ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.....	27
	აუტისტური სპექტრის დარღვევების ადრეულ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები	29
	იმუნიზაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.....	29
	0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის ვიზიტების მოცულობა და შინაარსი.....	29
12	გაიდლაინის დანერგვისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.....	59
13	აუდიტის კრიტერიუმები	60
14	გაიდლაინის გადახედვის ვადები	61
15	სამუშაო ჯგუფი:.....	61
	დანართი №1. მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების სკრინინგი	62
	დანართი №2 - სმენასთან დაკავშირებული პრობლემების სკრინინგი.....	65
	დანართი №3. ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი	65
	დანართი №4. სათესლეების სკრინინგი.....	68
	დანართი №5. აუტისტური სპექტრის დარღვევების სკრინინგის ალგორითმი.....	69
	დანართი №6. აუტიზმის მოდიფიცირებული, განახლებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის (M-CHAT-R)	70
	დანართი N7. ცხრილები	73

დანართი №8. სელექციური სკრინინგის სპეციფიკური ჩვენება სხვადასხვა მდგომარეობის დროს 97

16 გამოყენებული ლიტერატურა..... 97

აბრევიატურები

- AAP - ამერიკის პედიატრიის აკადემია
- ASQ - ასაკისა და საფეხურების კითხვარი
- PEDS - Parents' Evaluation of Developmental Status - განვითარების სტატუსის შეფასება მშობლების მიერ
- GMSD – Child Development Milestones Questions - ბავშვის განვითარების ნიშანსვეტების კითხვარი
- MCHAT - Modified Checklist for Autism in Toddlers - აუტიზმის მოდიფიცირებული კითხვარი
- SIDS - Sudden infant death syndrome - უეცარი სიკვდილის სინდრომი ჩვილებში
- USPSTF - აშშ-ს პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფი

1 გაიდლაინის სათაური:

0 – 6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები პირველად ჯანდაცვაში

2 გაიდლაინით მოცული კლინიკური მდგომარეობები და ჩარევები

1. კლინიკური მდგომარეობის დასახელება	ICD10 კოდი
კლინიკური მდგომარეობა	ICD-10
ზოგადი სამედიცინო გასინჯვა	Z00.0
ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის რუტინული გამოკვლევა	Z00.1
ბავშვის შემოწმება სწრაფი ზრდის პერიოდში	Z00.2
სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა ნორმალური განვითარებიდან გადახრის გამოვლენის მიზნით	Z13.4
სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა თვალისა და ყურის ავადმყოფობების/დარღვევების გამოსავლენად	Z13.5
თვალისა და მხედველობის შემოწმება	Z01.0
ყურებისა და სმენის შემოწმება	Z01.1
სისხლის წნევის განსაზღვრა	Z01.3
მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური განვითარების სხვა დარღვევები	R62.8
განვითარების ეტაპების დაყოვნება	R62.0

3 გაიდლაინის შემუშავების მეთოდოლოგია

წარმოდგენილი ფორმატით გაიდლაინი შემუშავებული იქნა საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროექტის „ყველა ბავშვის მოცვა უწყვეტი და ხარისხიანი პჯდ სერვისებით საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის, ოჯახის ექიმთა ასოციაციის და დარგის პედიატრ-ექსპერტების მიერ ამერიკის პედიატრთა ასოციაციის, ამერიკის ოჯახის ექიმთა ასოციაციის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, აშშ პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფის (USPSTF) და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების რეკომენდაციების საფუძველზე. გაიდლაინში ასევე გამოყენებულია მსგავს თემებზე შემუშავებული ეროვნული გაიდლაინებიც^{1,2}. გამოყენებული ლიტერატურის სრული ნუსხა გაიდლაინს თან ერთვის.

გაიდლაინის სამუშაო ჯგუფმა შეარჩია საკვანძო კლინიკური შეკითხვები, რომლებზე პასუხის გაცემაც ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის საუკეთესო შედეგების მიღწევის კუთხით. რეკომენდაციები ჩამოყალიბდა კლინიკური შეკითხვების ირგვლივ წარმოებული ლიტერატურული ძიების, მონაცემთა შეჯერებისა და სამუშაო ჯგუფის შეთანხმების საფუძველზე. იმის გამო, რომ ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის პრინციპების შესახებ მაღალი სანდოობის კვლევები არასაკმარისია და სამეცნიერო მტკიცებულების საფუძველზე შექმნილ რეკომენდაციათა რაოდენობა საკმაოდ მცირეა, ამიტომ მოცემული გაიდლაინის შემქმნის პროცესში სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით მოძიებული და შეფასებული იქნა უკვე არსებული პრაქტიკული რეკომენდაციები. მოხდა არსებული რეკომენდაციების ადაპტირებული ვარიანტის შემუშავება, რომელიც ერთის მხრივ, ეფუძნება არსებულ მეცნიერულ მტკიცებულებებს, ხოლო მეორეს მხრივ, ითვალისწინებს საქართველოს სამედიცინო დაწესებულებათა როგორც ადამიანურ, ისე მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. რეკომენდაციების ხარისხის განსაზღვრისას სამუშაო ჯგუფის მიერ გამოყენებული იქნა აშშ პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფის შეფასების სისტემა (იხილეთ ქვემოთ):

ხარისხი	განმარტება	რეკომენდაცია პრაქტიკაში გემოყენებისთვის
A	USPSTF იძლევა რეკომენდაციას მოცემული სერვისის განხორციელებაზე. არსებობს მაღალი სარწმუნოება, რომ სერვისის სუფთა სარგებელი არსებითია.	შესთავაზეთ ან განახორციელეთ მოცემული სერვისი
B	USPSTF იძლევა რეკომენდაციას მოცემულ სერვისზე. არსებობს მაღალი სარწმუნოება, რომ სერვისის სუფთა სარგებელი ზომიერია, ან არსებობს საშუალო დონის სარწმუნოება, რომ სუფთა სარგებელი ზომიერიდან არსებითადეა.	შესთავაზეთ ან განახორციელეთ მოცემული სერვისი
C	USPSTF იძლევა რეკომენდაციას აღნიშნული სერვისის სელექტიურად შეთავაზებაზე ინდივიდუალური პაციენტისთვის, პროფესიული განსჯისა და პაციენტის უპირატესი არჩევანის გათვალისწინებით. არსებობს მინიმუმ, ზომიერი სარწმუნოება, რომ სერვისის სუფთა სარგებელი მცირეა.	შესთავაზეთ ან განახორციელეთ მოცემული სერვისი შერჩეულ პაციენტებში, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით
D	USPSTF იძლევა რეკომენდაციას მოცემული სერვისის საწინააღმდეგოდ. არსებობს ზომიერი ან მაღალი სარწმუნოება, რომ სერვისის არ გააჩნია სარგებელი, ან ზიანი	არ გამოიყენოთ აღნიშნული სერვისი

	აღმატება სარგებელს.	
I განცხადება	USPSTF ასკვნის, რომ არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია მოცემული სერვისის ზიანისა და სარგებელის ბალანსის შესაფასებლად. მტკიცებულებები არ არსებობს, არადაამაკმაყოფილებელი ხარისხისა ან ურთიერთსაწინააღმდეგოა, რის გამოც ზიანისა და სარგებელის ბალანსის განსაზღვრა შეუძლებელია.	გაეცანით USPSTF სარეკომენდაციო განცხადების კლინიკური მოსაზრებების ნაწილს. თუ სერვისს სთავაზობთ, პაციენტმა უნდა გააცნობიეროს გაურკვევლობა აღნიშნულის სარგებელისა და ზიანის ბალანსის შესახებ.

4 გაიდლაინის მიზანი და ამოცანები

გაიდლაინის მიზანია პირველადი ჯანდაცვის ქსელში ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ხარისხის გაუმჯობესება სამედიცინო პერსონალისთვის თანამედროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიწოდების გზით.

ამოცანები:

- 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობა;
- 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარების ხელშეწყობა;
- 0-6 წლის ბავშვებში დაავადებების და განვითარების დარღვევების პრევენცია;
- 0-6 წლის ბავშვებში განვითარების დარღვევების ადრეული გამოვლენა;
- 0-6 წლის ბავშვთა დროული იმუნიზაციის უზრუნველყოფა;
- 0-6 წლის ბავშვთა კვებითი სტატუსის შეფასება და ჯანსაღი კვების ხელშეწყობა;
- 0-6 წლის ბავშვთა ოჯახური გარემოს შეფასება, ძალადობის და უგულვებელყოფის რისკების გამოვლენა და მშობლის კონსულტირება (ძირითადი საკონსულტაციო თემატიკა).

5 სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები.

ამასთან, დღენაკლულობის, გენეტიკური დაავადებების, მძიმე პროგრესირებადი ნევროლოგიური დარღვევების შემთხვევაში ვიზიტების რაოდენობა და შინაარსი, ისევე როგორც განვითარების შეფასებისთვის გამოყენებული ნიშანვეტები განსხვავებულია, ამიტომ მოცემულ ჯგუფში გაიდლაინი მხოლოდ ძირითადი ჩარჩოს სახით შეიძლება იყოს გამოყენებული.

6 ვისთვის არის გაიდლაინი განკუთვნილი

გაიდლაინი განკუთვნილია პირველადი ჯანდაცვის ქსელის სამედიცინო პერსონალისათვის - ოჯახის ექიმი, პედიატრი, საშუალო სამედიცინო პერსონალი. გაიდლაინით ხელმძღვანელობა მიზანშეწონილია ნებისმიერი პედიატრისთვის, რომელიც ახორციელებს ბავშვზე ზედამხედველობას.

7 სამედიცინო დაწესებულებაში გაიდლაინის გამოყენების პირობები

გაიდლაინი გამოიყენება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში 0- 6 წლის ასაკის ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ვიზიტებისას.

8 განსაზღვრება

8.1 ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობა

ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობა სამედიცინო სერვისების ერთობლიობაა, რომლის მიზანია ბავშვის ჯანმრთელობის, ზრდა-განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განვითარების შეფასების, არსებული პრობლემების ადრეული გამოვლენის და მართვის, დროული რეფერალისა და ეფექტური ინტერვენციის გზით.

ზედამხედველობა ასევე მოიცავს განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვებისათვის ინდივიდუალური მეთვალყურეობის გეგმასა და ღონისძიებებს (არ არის განხილული მომცემულ გაიდლაინში).

ჯანმრთელობისა და განვითარების სკრინინგი წარმოადგენს ფორმალურ პროცედურას სტანდარტული მეთოდის/ტესტების გამოყენებით, კონკრეტული პრობლემის გამოვლენის მიზნით. სკრინინგი შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ყველა პაციენტს, ე.წ. უნივერსალური სკრინინგი, ისე მხოლოდ გარკვეულ მიზნობრივ ჯგუფებს ე.წ. „სელექციური სკრინინგი“. უნივერსალური სკრინინგი უტარდება ყველა პაციენტს გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებში. სელექციური სკრინინგი უტარდებათ იმ პაციენტებს, რომელთაც ზედამხედველობის ვიზიტზე შეფასებისას უვლინდებათ განვითარების დარღვევის/ატიპური განვითარების მაღალი რისკი (იხილეთ დანართი №8).

მოცემული გაიდლაინი წარმოადგენს ჩარჩოს პედიატრიული ამბულატორიული სერვისის ნებისმიერი მიმწოდებლისათვის. აღნიშნული ჩარჩო მოიცავს ყველა ღონისძიებას და საკონსულტაციო თემატიკას, რომელზეც პედიატრი/ოჯახის ექიმი ჯანმრთელი ბავშვის ვიზიტის დროს უნდა ამხვილებდეს ყურადღებას. გაიდლაინში აღწერილია თითოეული ასაკობრივი ვიზიტის დროს განსახორციელებელი ქმედება: ვიზიტის პრიორიტეტები თითოეული ასაკისათვის, ასაკისათვის სპეციფიური გასინჯვის, შეფასების, კვლევის და პრევენციული ღონისძიებების ჩამონათვალი, ასაკისათვის სპეციფიკური სკრინინგული რეკომენდაციები, მშობლის საკონსულტაციო თემატიკა.

9 ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერული მიღწევების გამოყენება ბავშვთა ჯანმრთელობის ზედამხედველობის პროგრამაში

თანამედროვე ეპოქაში ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა მოხდეს ადეკვატური რეაგირება ჯანდაცვის სისტემის გამოწვევებზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების ხარისხის და სერვისებით მოცვის გაუმჯობესებას.

COVID-19 თუ სხვა პანდემია/ეპიდემიების პირობებში თვალსაჩინო გახდა, რამდენად მნიშვნელოვანი დახმარება შეუძლია გაუწიოს სამედიცინო პერსონალს დისტანციურმა სერვისებმა.

ბავშვთა ჯანმრთელობის ზედამხედველობის პროგრამაში ტელემედიცინის გამოყენება შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო, ისე საკონსულტაციო მიზნებისთვის. დისტანციური სერვისების პოტენციალის გაძლიერება საშუალებას იძლევა, მშობელს დროულად მიეწოდოს

ინფორმაცია და მითითებები, ჩაუტარდეს ექიმის ონლაინ კონსულტაცია და ონლაინ-კლინიკის მომსახურება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

10 რეკომენდაციები

სხვადასხვა ქვეყანაში ჯანმრთელ ბავშვზე ზედამხედველობის სიხშირე და შინაარსი განსხვავებულია. არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის ვიზიტების ზუსტი ციფრის შესახებ.

2 წლამდე ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის მაღალი სიხშირე განისაზღვრება ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური თავისებურებებით: ახალშობილთა ადაპტაცია, ბავშვის ზრდა-განვითარების შედარებით სწრაფი ტემპი, კვების თავისებურება, ბავშვის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა, იმუნიზაცია და სხვ.

სხვადასხვა საერთაშორისო წყაროები თანხმდებიან, რომ არსებობს გარკვეული პერიოდები 2 წლამდე ასაკის ბავშვთა მეთვალყურეობისას, როდესაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია განვითარებისა და ქცევითი პრობლემების სკრინინგისა და დაავადებათა პრევენციისთვის. ეს ვიზიტებია: 2 კვირამდე, 1 თვე, 2 თვე, 4 თვე, 6 თვე, 9 და 12 თვე პირველ წელს, 18, 24 და 30 თვე .

10.1 კლინიკური შეკითხვა 1 - რა სიხშირით უნდა ჩატარდეს ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის რუტინული პრევენციული ვიზიტები 0-6 წლის ასაკში?

ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ გარკვეულ კვლევებში ფასდებოდა ჩვილობისა და ადრეული ბავშვობის ასაკში განხორციელებული ზედამხედველობის პრევენციული ვიზიტების ასოციაცია მოგვიანებით ბავშვის ჯანმრთელობისა და განათლების გამოსავლებთან. როგორც კვლევებიდან ჩანს, ბავშვებს, რომელთაც სიცოცხლის პირველი 2 წლის მანძილზე უტარდებოდათ ვიზიტების რეკომენდებული რაოდენობა, ჯანმრთელობის მწვავე პრობლემების გამო ნაკლებად უწევდათ გადაუდებელი დახმარებისთვის მიმართვა^{3,4}. სხვა კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ასოციაცია ჯანმრთელი ბავშვის პრევენციული ვიზიტების სიხშირესა და საბავშვო ბაღისთვის მზაობას შორის⁵, რაც ხაზს უსვამს პრევენციულ ვიზიტებთან ასოცირებულ სოციალურ და საგანმანათლებლო უპირატესობებს. ამერიკის პედიატრიის აკადემია რეკომენდაციას იძლევა, დაბადებიდან 6 წლამდე ასაკში ჩატარდეს მინიმუმ 13 პრევენციული ვიზიტი. არსებობს პრევენციული ვიზიტების სხვადასხვა კომპონენტები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ჯანმრთელობის გამოსავლების გაუმჯობესებას, როგორცაა: (1) ასაკისთვის შესაბამისი დროული ვაქცინაცია, (2) მწვავე და ქრონიკული დაავადებების იდენტიფიცირება და მართვა, (3) მშობელთა განათლება და (4) განვითარების შესაძლო შეფერხების სკრინინგი და მართვა^{6,7}. პრევენციული პედიატრიული ვიზიტების სქემა დადგინდა ამერიკის პედიატრიის აკადემიისა და Bright Futures-ს პერიოდული შემოწმების სამუშაო ჯგუფის კონსენსუსის საფუძველზე და წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილი N1-ში. აღსანიშნავია, რომ ყველა ბავშვი და ოჯახი უნიკალურია, ეს რეკომენდაციები ეხება ბავშვებს, რომლებიც დებულობენ ადეკვატურ ზრუნვას მშობლებისგან, არ აღენიშნებათ ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები და განვითარების შეფერხება. ბავშვებს განვითარების, ფსიქოსოციალური და ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემებით, შეიძლება დამატებით დაჭირდეთ რიგგარეშე ვიზიტები, რაც ასევე შესაძლოა საჭირო გახდეს ნორმიდან გადახრის პირობებში.

ცხრილი 1. ზავშეთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ვიზიტების პერიოდულობა 0-6 წლის ასაკში^[1] (ამერიკის პედიატრიული ასოციაციის რეკომენდაციების მიხედვით)

რეკომენდებული აქტივობა	ასაკი															
	პირველი ვიზიტი 2 კვირამდე (3-5 დღის ასაკში)	1 თვის ასაკში ექთანი	2 თვის ასაკში	3 თვის ასაკში ექთანი	4 თვის ასაკში	6 თვის ასაკში ექთანი	9 თვის ასაკში	12 თვის ასაკში	18 თვის ასაკში	2 წლის ასაკში (24 თვის) ექთანი	2 წელი და 6 თვე (30 თვე) ექიმი	3 წლის ასაკში	4 წლის ასაკში	5-6 წლის ასაკი	6 წელი ექიმი	
ანამნეზი	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	
გაზომვა																
სიგრძე ან სიმაღლე და წონა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	
თავის გარშემოწერილობა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X					
წონის სიგრძესთან შეფარდება	X	X	X	X	X	X	X	X	X							
სხეულის მასის ინდექსი (სმი)										X	X	X	X	X	X	
სისხლის წნევა [3]	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	X	X	X	X	
სენსორული სკრინინგი (ინსტრუმენტული სკრინინგი)																
მხედველობა [4]	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	X[m]	X	X	X	
სმენა [5]	X		X	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	X	X	X	
განვითარება და ქცევა																
განვითარებაზე ზედამხედველობა[6]	X	X	X	X	X	X		X		X		X	X	X	X	

რეკომენდებული აქტივობა	ასაკი															
	პირველი ვიზიტი 2 კვირამდე (3-5 დღის ასაკში)	1 თვის ასაკში ექთანნი	2 თვის ასაკში	3 თვის ასაკში ექთანნი	4 თვის ასაკში	6 თვის ასაკში ექთანნი	9 თვის ასაკში	12 თვის ასაკში	18 თვის ასაკში	2 წლის ასაკში (24 თვის) ექთანნი	2 წელი და 6 თვე (30 თვე) ექიმი	3 წლის ასაკში	4 წლის ასაკში	5-6 წლის ასაკი	6 წელი ექიმი	
განვითარების სკრინინგი[7]							X		X		X					
ფსიქო-სოციალური და ქცევითი შეფასება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	
აუტიზმის სკრინინგი[8]									X	X						
დედის დეპრესიის შეფასება [9]		X	X		X	X										
ობიექტური გასინჯვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	
პროცედურები																
ნეონატალური მეტაბოლური სკრინინგი[10]	----- X-----															
ანემიის სკრინინგი [11]					რ/ა			X	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	
ტყვიის სკრინინგი [12]						რ/ა	რ/ა	X ან რ/ა		X ან რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	რ/ა	
იმუნიზაცია[13]			X	X	X			X	X					X		
დისლიპიდემიის სკრინინგი[14]										რ/ა			რ/ა		რ/ა	

	ასაკი															
რეკომენდებული აქტივობა	პირველი ვიზიტი 2 კვირამდე (3-5 დღის ასაკში)	1 თვის ასაკში ექთან	2 თვის ასაკში	3 თვის ასაკში ექთან	4 თვის ასაკში	6 თვის ასაკში ექთან	9 თვის ასაკში	12 თვის ასაკში	18 თვის ასაკში	2 წლის ასაკში (24 თვის) ექთან	2 წელი და 6 თვე (30 თვე) ექიმი	3 წლის ასაკში	4 წლის ასაკში	5-6 წლის ასაკი	6 წელი ექიმი	
სხვა																
პირის დრუს ჯანმრთელობა [15]						რ/ა	რ/ა	X ან რ/ა	X ან რ/ა	X ან რ/ა	X ან რ/ა	X	X	X	X	
ფთორის დამატება [15]						რ/ა	რ/ა	----- - რ/ა- ----- -----								
გამაფრთხილებელი რეკომენდაციები (მშობლის კონსულტირება)	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	

[1] ეს რეკომენდაციები ადაპტირებულია AAP's და Bright Futures' 2020 რეკომენდაციებიდან „პრევენციული პედიატრიული სამედიცინო მომსახურების შესახებ“.

[2] სარეკომენდაციო სქემა უნდა გამოვიყენოთ იმ შემთხვევაშიც თუ ბავშვი ერთვება სერვისში 6 წლამდე ნებისმიერ ასაკში, შესაძლებელია სქემაში ცვლილების შეტანა ბავშვის სერვისში ჩართვის დროისა და მისი საჭიროების საფუძველზე.

[3] სპეციფიკური რისკის შემთხვევაში სისხლის წნევა უნდა გაიზომოს ყველა ვიზიტზე 3 წლამდე ასაკში. რისკის ფაქტორებია: დღენაკლული, ძალიან მცირე წონა დაბადებისას ან სხვა ნეონატალური გართულება, რომელსაც დასჭირდა ინტენსიური თერაპია; გულის თანდაყოლილი დაავადება; საშარდე ტრაქტის მორეციდივე დაავადება, ჰემატურია, პროტეინურია; თირკმლის დადგენილი დაავადება ან უროლოგიური მალფორმაცია; თირკმლის დაავადების ოჯახური ანამნეზი; ორგანოების ტრანსპლანტაცია; ავთვისებიანი სიმსივნე ან ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია; წნევის ამწევი მედიკამენტებით მკურნალობა, ჰიპერტენზიასთან ასოცირებული სისტემური დაავადება (მაგ. ნეიროფიბრომატოზი, ტუბეროზული სკლეროზი); მომატებული ინტრაკრანიალი წნევა. წნევის გაზომვისთვის საჭირო იქნება სპეციალური ზომის მანჟეტის გამოყენება.

- [4] უკიდურესად დღენაკლული ახალშობილი, თანდაყოლილი კატარაქტის, რეტინობლასტომის, მეტაბოლური ან გენეტიკური დაავადების ოჯახური ანამნეზი, განვითარების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ან ნევროლოგიური დეფიციტი, თვალის პათოლოგიასთან დაკავშირებული სისტემური დაავადებები. ასეთ შემთხვევაში ბავშვი იგზავნება ოფთალმოლოგთან
- [5] სმენის შესაძლო პრობლემების რისკ ფაქტორებია: ჭადრა თმის კონა შუბლზე, რომელიც ასოცირებულია პროგრესირებად სმენაჩლუნგობასთან, ნეიროფიბრომატოზი, ოსტეოპეტროზი და სმენის დაქვეითებასთან დაკავშირებული სხვა დაავადებები, ნეიროდეგენერაციული დაავადებები, ანამნეზში ბაქტერიული ან ვირუსული მენინგიტი, ქალა-ტვინის ტრავმა, ქიმიოთერაპია, რეკომენდებულია რეფერალი აუდიოლოგიური დიაგნოსტიკური შეფასების მიზნით.
- [6] განვითარებაზე მეთვალყურეობა უწყვეტი პროცესია. ის მოიცავს მშობლების ჩვილს საკუთარი ბავშვის განვითარების შესახებ, და ბავშვზე დაკვირვებას, რისკისა და დამცავი ფაქტორების დადგენას, მონაცემების დაფიქსირებას ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების ისტორიაში.
- [7] განვითარების სკრინინგი მოიცავს სტანდარტულ ტესტებს და რუტინულად ტარდება 9, 18 და 30 თვის ასაკში. თუმცა, სკრინინგი ასევე ტარდება რისკ-ფაქტორების დადგენისას ან განვითარებაზე ზედამხედველობისას პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში. ასეთ დროს სკრინინგი ფოკუსირებულია პრობლემურ სფეროზე. საქართველოში სკრინინგი ტარდება 12, 18 24 და 36 თვის ასაკში ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებული და ნორმირებული „ასაკებისა და ეტაპების კითხვარით - ASQ-3“^{9,10}.
- [8] სკრინინგი ტარდება აუტიზმის სპეციფიკური კითხვარის საშუალებით (მაგალითად, აუტიზმის მოდიფიცირებული კითხვარი ბავშვებისთვის [M-CHAT-R/F]) 18 თვის ასაკში და შემდეგ განმეორებით 24 თვის ასაკში,
- [9] დედის დეპრესიის შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ედინბურგის დეპრესიის შკალა
- [10] მეტაბოლური სკრინინგის შემთხვევაში სავალდებულოა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების დაცვა. ტესტის შედეგები უნდა გადამოწმდეს ვიზიტზე და განისაზღვროს შესაბამისად განმეორებითი ტესტირების ან რეფერალის საჭიროება.
- [11] ანემიის რისკ ფაქტორებია - დღენაკლული ან მცირე წონის ახალშობილი, ან ხელოვნურ კვებაზე მყოფი ჩვილი, თუ საკვები არ არის გამდიდრებული რკინით
- [12] ტყვიის ზემოქმედების რისკის არსებობის შემთხვევაში სკრინინგი უნდა ჩატარდეს ადგილობრივი კანონმდებლობის და რეკომენდაციების შესაბამისად.
- [13] იმუნიზაცია უნდა განხორციელდეს აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით
- [14] AAP რეკომენდაციას უწევს ბავშვების სკრინინგს 1-დან 8 წლამდე პერიოდში მხოლოდ ჰიპერქოლესტეროლემიის, კორონარული არტერიების დაავადების რისკ-ფაქტორების არსებობის შემთხვევაში (მაგ.: დიაბეტი, სიმსუქნე, ჰიპერტენზია).
- [15] თუ შესაძლებელია, ბავშვი უნდა გაიგზავნოს სტომატოლოგთან. სხვა შემთხვევაში კლინიცისტმა უნდა შეაფასოს პირის ღრუს ჯანმრთელობა. თუ სასმელი წყალი ღარიბია ფთორით, რეკომენდებულია პერორალური ფთორის დამატება ან ფთორის შემცველი კბილის პასტის გამოყენება შესაბამის ასაკში.

AAP = ამერიკის პედიატრიის აკადემია; CDC = დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი; რ/ა = ასაკი, როდესაც უნდა განხორციელდეს რისკის შეფასება და დადებითი შედეგის შემთხვევაში ამას მოყვებს შესაბამისი გასინჯვა ან ტესტირება. X = ასაკი როდესაც შეფასება უნდა ჩატარდეს; ←X→ = ასაკობრივი ფარგლები, როდესაც შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს და სადაც X მიუთითებს სასურველ ასაკს.

R1 აღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, 0-დან 6 წლამდე ასაკში ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის მინიმალურ სტანდარტად ჩაითვალოს ოჯახის ექიმის/პედიატრის 13 ვიზიტი (რომელიც შეიძლება განხორციელდეს კომბინირებულად: პირისპირ და დისტანციურად) და ექთნის 13 ვიზიტი, რომელიც ასევე შესაძლებელია განხორციელდეს კომბინირებული სახით. რეკომენდაციები ბავშვთა მეთვალყურეობის ვიზიტების სიხშირესთან დაკავშირებით საქართველოში წარმოდგენილია ცხრილი N2-ში.

ცხრილი 2. რეკომენდაციები ბავშვთა მეთვალყურეობის ვიზიტების სიხშირესთან დაკავშირებით საქართველოში (0-6 წლამდე)

ასაკი	პირველი წელი							2 წლის	3 წლის	4 წლის	5 წლის
	2 კვირის	1 თვის	2 თვის	3 თვის	4 თვის	6-9 თვის	9-12 თვის	18-24 თვის	30-36 თვის		
ექიმთან პირისპირ ვიზიტი			1		1		1	1	2	1	1
ექთანთან პირისპირ ვიზიტი			1	1	1		1	1			1
ოჯახის ექიმის დისტანციური კონსულტაცია						2	1	1			
ექთნის დისტანციური კონსულტაცია									1	1	
ექიმის ბინაზე ვიზიტი	1										
ექთნის ბინაზე ვიზიტი	1	1						1	1	1	

10.2 კლინიკური შეკითხვა 2 - რა სარეგებლით ხასიათდება ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა და სკრინინგი 0-6 წლის ასაკში?

ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ზედამხედველობის და განვითარების სკრინინგის კომბინირებული გამოყენებით იზრდება განვითარებისა და ქცევითი დარღვევების ადრეული გამოვლენა^{11,12}, რაც ასოცირებულია გამოსავალის გაუმჯობესებასთან¹³. აშშ-ს ნაციონალური კვლევის მონაცემებით, ზედამხედველობისა და სკრინინგის კომბინირება, ცალკე აღებულ ზედამხედველობასთან ან სკრინინგთან შედარებით, ასოცირებულია ადრეული ჩარევის პროგრამებში ჩართვის გაუმჯობესებულ მაჩვენებლებთან (6.4 - 8.4% vs 2.7-3.6%)¹⁴.

ზოგადად, ქცევითი-განვითარებელი ჩარევების ეფექტურობა უფრო მაღალია ადრეულ ბავშვთა ასაკში¹⁵. ბავშვები, რომელთა განვითარების/ქცევის დარღვევების იდენტიფიცირებაც ხდება სკოლაში შესვლის შემდეგ, ხელიდან უშვებენ ადრეულ განვითარების სერვისებში მონაწილეობის შესაძლებლობას. არადიაგნოსტირებული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში მაღალია სოციალური და ემოციური დარღვევების, სკოლის ასაკის პრობლემების და დაბალი აკადემიური მოსწრების რისკი¹⁶.

ადრეული გამოვლენა საშუალებას იძლევა დროულად ჩატარდეს იდენტიფიცირებული სამედიცინო პრობლემების მკურნალობა, რაც შესაძლოა გამოვლინდეს ქცევისა და განვითარების დარღვევით (მაგალითად, მეტაბოლური დაავადებების დროს). ადრეული გამოვლენა ასევე ხელს უწყობს ბავშვზე მზრუნველებს, ჰქონდეთ ბავშვის შესაძლებლობების შესაბამისი მოლოდინები, განახორციელონ ადეკვატური განვითარებელი აქტივობები და სტიმულაცია, აგრეთვე ჰქონდეთ შეგრძნება რომ ყველაფერს აკეთებენ ბავშვის დასახმარებლად. დაკვირვებით კვლევებში,

განვითარებაზე ზედამხედველობა და სკრინინგი ასევე ასოცირებული იყო ბავშვზე მზრუნველების კმაყოფილების ზრდასთან.¹⁷

სისტემურ მიმოხილვებში, პროსპექტულ დაკვირვებით კვლევებსა და მცირე რაოდენობით რანდომიზებულ კვლევებში გამოვლინდა, რომ თუ განვითარების პრობლემების ან განვითარების პრობლემებთან ასოცირებული რისკფაქტორების გამოვლენა ხდება ადრეულ ეტაპზე და ხდება შესაბამისი სერვისის მიწოდება, ადგილი აქვს როგორც მოკლე-, ისე გრძელვადიანი გამოსავლების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ბავშვებში მომატებული რისკით¹⁸. განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების ჩართვა ადრეული განვითარების სერვისში ასოცირებული იყო სკოლის ასაკში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შემცირებასთან, უფრო მაღალ აკადემიურ მოსწრებასთან, თინეიჯერულ ასაკში ორსულობის სიხშირის შემცირებასთან, დასაქმების სიხშირის მატებასთან, კრიმინალური ქცევისა და ძალადობის ნაკლებ სიხშირესთან¹⁹. ზოგიერთმა კვლევამ მოახდინა დემონსტრირება, რომ ადრეული ჩარევის უპირატესობა ნარჩუნდება ჩარევიდან 15-49 წლის შემდეგ²⁰.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე:

R2 ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა და სკრინინგი, ორივე წარმოადგენს ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ვიზიტის მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელიც ეხმარება ექიმს, შეადაროს ცალკეული ბავშვის მახასიათებლები იმავე ასაკის პოპულაციურ ნორმას. რეგულარული შეფასების დროს შესაძლებელია ინდივიდუალური ბავშვის განვითარების ტრაექტორიის აგება და დინამიური შედარება, ანთროპომეტრიული მაჩვენებლების მრუდების ანალიზურად. განვითარებაზე ზედამხედველობა და სკრინინგი აუცილებელია პრობლემების ადრეული გამოვლენისა და შესაბამისი ჩარევების უზრუნველყოფის მიზნით.

10.3 კლინიკური შეკითხვა 3 - რა უპირატესობით ხასიათდება სმენის, მხედველობის და ბარძაყის თანდაყოლილი დისპლაზიის ადრეული გამოვლენა?

ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ჩვილ ბავშვთა ისეთი ფიზიოლოგიური პრობლემების ადრეულმა გამოვლენამ და მკურნალობამ, როგორცაა მხედველობის, სმენის პრობლემები და ბარძაყის თანდაყოლილი დისპლაზია, შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ამ დაავადებებთან დაკავშირებულ გამოსავლებზე. სმენის დაკარგვა გავრცელებული თანდაყოლილი პრობლემაა და შეადგენს 1-3 შემთხვევას 1000 ცოცხალ ახალშობილზე²¹; სკოლამდელი ბავშვების დაახლოებით 5%- 10%-ს აღნიშნება მხედველობის პრობლემები, რომელთა მკურნალობის გარეშე დატოვებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მხედველობის სიმახვილის დაქვეითება²². კვლევები მიუთითებს, რომ თუ სმენის მნიშვნელოვანი დაქვეითების გამოვლენა ხდება ბავშვის სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული მეტყველებისა და დასწავლის სირთულეები მნიშვნელოვნად მცირდება²³. ამასთანავე, ამბლიოპიის მიზეზების დასადგენი ტესტები ხელს უწყობს აღნიშნული პათოლოგიის გამოვლენას და ადრეული მკურნალობის დაწყებას²⁴.

ბარძაყის თანდაყოლილი დისპლაზიის შემსწავლელ კვლევაში დადგინდა, რომ ჩვილებს, რომელთა პრობლემის იდენტიფიცირება მოხდა დაბადებისას, ხოლო მკურნალობა ჩატარდა 1 თვემდე ასაკში, ესაჭიროებოდათ ნაკლები ქირურგიული ჩარევა და აღნიშნებოდათ უკეთესი გამოსავლები იმ ბავშვებთან შედარებით, რომელთა დიაგნოსტირებაც განხორციელდა მოგვიანებით, სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში²⁵. პრევენციული მედიცინის კანადის სამუშაო ჯგუფი (CTFPHC) აღნიშნავს, რომ დაავადების ტვირთის შემცირება შესაძლებელია, თუ ბარძაყის დისპლაზიის მკურნალობა ხორციელდება 1 თვემდე ასაკში, თუ მხედველობის კორექტირება მოხდება 24 თვემდე ასაკში და სმენის დამხმარე მოწყობილობების მიწოდება და სწავლება დაიწყება 3 წლამდე ასაკში. შესაბამისად, სხვადასხვა საერთაშორისო გაიდლაინები რეკომენდაციას იძლევიან, ჩატარდეს ბარძაყის, თვალების და სმენის განმეორებითი გასინჯვები, განსაკუთრებით, სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში.

R3 მტკიცებულებების მიმოხილვის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ ბარძაყის თანდაყოლილი დისპლაზიის ადრეული გამოვლენის მიზნით შესაბამისი გასინჯვა უნდა ჩატარდეს ჯანმრთელი ბავშვის მეთვალყურეობის ყველა ვიზიტზე წლამდე ასაკში, ხოლო შემდეგ 18 თვის ასაკში.

R4 მხედველობის პრობლემების შეფასება უნდა ჩატარდეს ახალშობილობის პერიოდში და ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ყველა მომდევნო ვიზიტზე. მხედველობის პრობლემების

მაღალი რისკის ან გასინჯვისას გამოვლენილი საეჭვო ნიშნების შემთხვევაში ბავშვი უნდა გაიგზავნოს თვალის სპეციალიზებული გამოკვლევისთვის ოფთალმოლოგთან. რისკის ჯგუფს მიეკუთვნება უკიდურესად დღენაკლული ახალშობილები; ბავშვები თანდაყოლილი კატარაქტის, რეტინობლასტომის და მეტაბოლური ან გენეტიკური დაავადების ოჯახური ანამნეზით, განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხებით ან ნევროლოგიური პრობლემებით, აგრეთვე თვალის ანომალიასთან ასოცირებული სისტემური დაავადებით.

R5 სმენის პრობლემების სკრინინგი უნდა ჩატარდეს ახალშობილობის პერიოდში, 1 თვის, 2 თვის, 4 წლის და 5 წლის ასაკში. ბავშვებში, რომელთაც აღენიშნებათ სმენის პრობლემების მომატებული რისკი, სკრინინგი უნდა ჩატარდეს ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ყველა ვიზიტზე.

აღნიშნული რისკის ფაქტორებია: მშობლის/მზრუნველის ეჭვი სმენასთან, მეტყველებასთან ან განვითარების შეფერხებასთან დაკავშირებით; ბავშვობაში სმენის პერმანენტული დაკარგვის ოჯახური ანამნეზი; >5 დღეზე ინტენსიური თერაპიის საჭიროება ნეონატალურ პერიოდში ან ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილიდან, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობის მიუხედავად: ექსტრაკორპორალური მემბრანული ოქსიგენაცია, დამხმარე სუნთქვითი მხარდაჭერა, ოტოტოქსიკური მედიკამენტების (გენტამიცინის და ტობრამიცინის) ან მარყუჟოვანი დიურეტიკების (ფუროსემიდი/ლაზიქსის) ზემოქმედება, ჰიპერბილირუბინემია, რომელსაც დასჭირდა ჩანაცვლებითი ტრანსფუზია; საშვილოსნოსშიდა ინფექცია, მაგალითად, ციტომეგალოვირუსი, ჰერპესი, წითურა, სიფილისი, ტოქსოპლაზმოზი; კრანოფაციალური ანომალიები, რომელიც მოიცავს ყურის ნიჟარის, სასმენი არხის, ყურის ბიბილოების და საფეთქლის ძვლის პათოლოგიებს; ფიზიკური ნიშნები, როგორცაა ჭადარა თმის კონა შუბლზე, რომელიც ასოცირებულია ნეიროსენსორული ან პერმანენტული გამტარებლობითი სმენაჩლუნგობის სინდრომთან; სმენის დაკარგვასთან, პროგრესირებადი ან გვიანი დებიუტის სმენაჩლუნგობასთან ასოცირებული სინდრომები, როგორცაა მაგალითად, ნეიროფიბრომატოზი, ოსტეოპეტროზი და აშერის სინდრომი; სხვა შედარებით ხშირად იდენტიფიცირებადი სინდრომებია ვადენზურგის, ალპორტის, პენდრედის, ჯერველის და ლანგე-ნელსონის სინდრომები; ნეიროდეგენერაციული დაავადებები, როგორცაა მაგალითად, ჰანტერის სინდრომი ან სენსორო-მოტორული ნეიროპათიები, მაგალითად, ფრიდრაიხის ატაქსია ან შარკო-მარი-ტუტის დაავადება; პოსტნატალური ინფექციები დადებითი კულტურით, რომლებიც ასოცირებულია ნეიროსენსორულ სმენაჩლუნგობასთან, მაგალითად, ბაქტერიული ან ვირუსული (განსაკუთრებით ჰერპესული და varicella zoster-ის ვირუსით გამოწვეული) მენინგიტი; თავის ტრავმა, განსაკუთრებით, ქალას ფუძის ან საფეთქლის ძვლის მოტეხილობა, რასაც დასჭირდა ჰოსპიტალიზაცია; ქიმიოთერაპია.

დეტალურად სმენისა და მხედველობის სკრინინგთან დაკავშირებული საკითხები იხილეთ დანართებში NN1 და 2.

10.4 კლინიკური შეკითხვა 4 - რა სიხშირით უნდა ჩატარდეს ადრეული ასაკის ბავშვებში ზრდის პარამეტრების (წონა, სიგრძე/სიმაღლე, თავის გარშემოწერილობა) შეფასება და რა უპირატესობით ხასიათდება ზრდის პარამეტრების რეგულარული შეფასება ბავშვის ჯანმრთელობის კუთხით?

ამ თემაზე ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვა მეტყველებს, რომ ბავშვის ზრდა მისი ჯანმრთელობისა და განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. არადამაკმაყოფილებელი ზრდა როგორც მუცლადყონის პერიოდში, ისე ადრეული ბავშვობის ასაკში, ასოცირებულია მოკლე- და გრძელვადიან ეფექტებთან, როგორცაა ბავშვთა ინფექციების სიხშირის მატება, ე.წ. „ცხოვრების სტილთან“ დაკავშირებული დაავადებების განვითარება, როგორცაა კორონარული არტერიების დაავადება, არტერიული ჰიპერტენზია და შაქრიანი დიაბეტი^{26,27}. ჭარბი კვება და სიმსუქნე თავის მხრივ, დაკავშირებულია ჯანმრთელობის არასასურველ გამოსავლებთან²⁸. როგორც კვლევები გვიჩვენებს, ბავშვის წონაც და ზრდის ტემპიც ასოცირებულია მოგვიანებით პერიოდში ჭარბწონიანობისა და სიმსუქნის განვითარებასთან²⁹.

ბავშვის ზრდის შეფასება საშუალებას იძლევა, შეფასდეს მისი ჯანმრთელობისა და კვების სტატუსი, რადგანაც ჯანმრთელობისა და კვების პრობლემები თითქმის ყოველთვის აისახება ზრდაში³⁰.

ზრდის შეფასება, რაც მოიცავს ბავშვის წონის, სიგრძე/სიმაღლის და თავის გარშემოწერილობის გაზომვას, ხოლო მიღებული შედეგების გადატანას შესაბამის ზრდის მრუდებზე, წარმოადგენს სწრაფ, არაინვაზიურ მეთოდს და იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ბავშვის ზოგადი ჯანმრთელობის შესახებ.

ლიტერატურის მიმოხილვამ ანთროპომეტრიული პარამეტრების გაზომვის სიხშირესთან დაკავშირებით გვიჩვენა, რომ ავტორიტეტული წყაროების უმრავლესობა თანხმდება შემდეგზე: **ბავშვის აწონვა** უნდა მოხდეს დაბადებისას, შემდეგ პირველი კვირის განმავლობაში რეგულარულად, როგორც კვების ეფექტურობის შეფასების ნაწილი. როგორც კი ბავშვის კვება ჩამოყალიბდება, ბავშვის აწონვა რეკომენდებულია ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის რუტინული ვიზიტების დროს. უფრო ხშირი აწონვა შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ არა უმეტეს თვეში ერთხელ პირველი 6 თვის განმავლობაში, ხოლო არა უმეტეს ორ თვეში ერთხელ 6-დან 12 თვემდე პერიოდში³¹.

ბავშვის ხაზოვანი ზრდა, რომელიც ფასდება სიგრძე/სიმაღლის გაზომვით, მისი ზოგადი ჯანმრთელობის, აგრეთვე, ფიზიკური და კოგნიტური განვითარების მნიშვნელოვანი საზომია^{32,33}. აღნიშნული სტანდარტები ასახავენ ბავშვის ზრდას იდეალურ გარემო პირობებში, როდესაც არ არსებობს შემაფერხებელი ფაქტორები, მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური ან კვების პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები. დროთა განმავლობაში ჩატარებული ზუსტი სერიული გაზომვები ანთროპომეტრიის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ერთეული გადახრები ზრდის მრუდიდან შესაძლებელია წარმოადგენდეს ნორმას, მაგალითად, მწვავე დაავადების გამო. თუმცა, სერიული გაზომვებისას მრუდის მყარი ცვლილება ზრდის ანომალური ხასიათის მაჩვენებელია და შემდგომ შეფასებას მოითხოვს. საერთაშორისო ავტორიტეტული წყაროები იძლევიან რეკომენდაციას, ბავშვის სიგრძე/სიმაღლე შეფასდეს ყველა პრევენციულ ვიზიტზე და მოხდეს მაჩვენებლების შედარება ზრდის სტანდარტულ მრუდებთან.

თავის გარშემოწერილობის გაზომვა წარმოადგენს სწრაფ, არაინვაზიურ მეთოდს, რომლის საშუალებითაც დგინდება, არის თუ არა ჩვილის თავის ზომა ზედმეტად დიდი (მაკროცეფალია) ან ზედმეტად მცირე (მიკროცეფალია).³⁴ თავის გარშემოწერილობის სერიული გაზომვა და შედარება სტანდარტულ მრუდებთან უკიდურესად მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანმრთელობის მონიტორინგისთვის. საერთაშორისო წყაროები რეკომენდაციას იძლევიან, ოქციპიტო-ფრონტალური გარშემოწერილობა გაიზომოს ყველა პრევენციულ ვიზიტზე დაბადებიდან 3 წლამდე ასაკში. ნევროლოგიური და განვითარების პრობლემების მქონე ბავშვებში თავის გარშემოწერილობა უნდა გაიზომოს ყველა ასაკში ყველა ვიზიტზე.

ოქციპიტო-ფრონტალური გარშემოწერილობის გაზომვა შეიძლება არასანდო იყოს სიცოცხლის მესამე-მეოთხე დღემდე, რადგანაც მისი ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს კეფალოჰემატომამ ან თავის ფორმირებამ სამშობიარო გზებში გამოჭრისას³⁵.

R6 არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა ანთროპომეტრიული მონაცემების გაზომვის შედეგ სიხშირეზე:

- სიგრძე/სიმაღლის, წონისა და თავის გარშემოწერილობის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის და იმუნიზაციის ვიზიტების დროს. წონის და სიგრძის შეფასება მიზანშეწონილია ავადმყოფობის ვიზიტის დროსაც.
- ბავშვის ზრდის ადეკვატური შეფასებისათვის საჭიროა დინამიური მეთვალყურეობა. ერთჯერადი შეფასება შეიძლება გახდეს ანთროპომეტრიული მახასიათებლების არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზი. ამავე დროს, ფიზიკური განვითარების შეფასება დინამიკაში საშუალებას იძლევა შეფასდეს ზრდის ტემპი ანუ კონკრეტული ანთროპომეტრიული პარამეტრის ცვლილებები დროის მონაკვეთში.

R7 წონის მონიტორინგი:

- პირველი თვის განმავლობაში ბავშვი მიზანშეწონილია აიწონოს 2 კვირაში ერთხელ;
- ახალშობილობის პერიოდის შემდეგ მიზანშეწონილია ბავშვის აწონვა თვეში ერთხელ (6 თვემდე მაინც), თუ ბავშვს უვლინდება წონის დარღვევა შესაძლებელია აწონვა წარმოებდეს უფრო ხშირად (საშუალოდ 2 კვირაში ერთხელ);
- 1-იდან 3 წლამდე ასაკში წონის კონტროლი საჭიროა 3-6 თვეში ერთხელ, 3-6 წლამდე 6 თვის ინტერვალით, ხოლო 6 წლის შემდეგ ყოველწლიურად

ბავშვის ფიზიკური განვითარების შეფასებისთვის თავდაპირველად უნდა ავსონოთ, გავზომოთ სიგრძე / სიმაღლე და თავის გარშემოწერილობა;

- სხეულის მასის, სიგრძე/სიმაღლის, თავის გარშემოწერილობის მონაცემების საფუძველზე იგება ფიზიკური განვითარების ინდივიდუალური მრუდები.
- ამისთვის გამოიყენება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შექმნილი სტანდარტული გადახრის ანუ Z ქულოვანი ზრდის დიაგრამები³⁶.
- პოპულაციის უმრავლესობის მაჩვენებელი ხვდება -2 და +2Z ქულას შორის. საშუალო მაჩვენებლიდან 2Z ქულაზე მეტი გადახრა ითვლება ატიპურად და საჭიროებს დამატებით კვლევას.

R8 სიგრძე/სიმაღლე, თავის გარშემოწერილობის მონიტორინგი

- თავის გარშემოწერილობის განსაზღვრა მიზანშეწონილია 3 წლამდე ასაკში 1-3 თვის ინტერვალით. დარღვევის შემთხვევაში საჭიროა ყოველთვიური კონტროლი.
- სიგრძის შეფასება 1 წლამდე ასაკში მიზანშეწონილია კვარტალში ერთხელ მაინც; თუ ბავშვს აღენიშნება ზრდის დარღვევა, მონიტორინგი უფრო ხშირად უნდა წარმოებდეს.

10.5 კლინიკური შეკითხვა 5 - რა სიხშირით უნდა ჩატარდეს ადრეული ასაკის ბავშვებში განვითარების სკრინინგი?

ამ საკითხის ირგვლივ ჩატარებულმა ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ არსებობს შეთანხმება ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს შორის, როგორცაა ამერიკის პედიატრიის აკადემია, ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და კლინიკური დახელოვნების ნაციონალური ინსტიტუტი და სხვა, განვითარების შეფერხების ადრეული გამოვლენისა და შესაბამისი ჩარევის მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნული მოიცავს პრობლემებს უხეში მოტორიკის, ნატიფი მოტორიკის, კომუნიკაციისა და სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებაში. მხოლოდ მეთვალყურეობით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის გამოცდილი მშობლების და პედიატრის მიერ ხორციელდება, შესაძლებელია გამოგვრჩეს პრობლემური შემთხვევები. შესაბამისად, ამერიკის პედიატრიის აკადემია 2006 წლიდან რეკომენდაციას იძლევა, სპეციფიკურ ასაკობრივ ჯგუფებში, პრევენციულ ვიზიტებზე მეთვალყურეობასთან ერთად ჩატარდეს ბავშვის განვითარების სკრინინგი.

ადრეული ასაკის ყველა ბავშვს მიზანშეწონილია ჩატარდეს რუტინული/უნივერსალური სკრინინგი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას არ უვლინდება რაიმე დარღვევა ან მშობელს არ აქვს ჩივილი განვითარებასთან დაკავშირებით. დადგინდა, რომ სკრინინგის გარეშე მხოლოდ ზედამხედველობის ჩატარების შემთხვევაში ვერ ხდება განვითარების მსუბუქი შეფერხების იდენტიფიცირება სკოლის ასაკამდე. რუტინული/უნივერსალური სკრინინგი მიზანშეწონილია ჩატარდეს 9, 18/24 და 30 თვის ასაკში. განვითარებაზე მეთვალყურეობა უნდა გაგრძელდეს მთელი ბავშობის პერიოდი.

ამავე დროს, განვითარების სკრინინგი ტარდება ნებისმიერ ასაკში, თუ მშობელს, სამედიცინო პერსონალს ან სხვა პირს, რომელიც ჩართულია ბავშვზე ზრუნვაში, უჩნდება ეჭვი ბავშვის განვითარებასა და ქცევასთან მიმართებაში.

მეტყველება და ენა - აშშ პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფმა (USPSTF) დაასკვნა, რომ არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია პირველად ჯანდაცვაში მოკლე ფორმალური ინსტრუმენტების რუტინული გამოყენების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, მეტყველების და ენის შეფერხების გამოვლენის მიზნით 5 წლამდე ასაკის ბავშვებში³⁷. (I განცხადება)

არსებობს გაურკვევლობა იმ ტესტების სიზუსტესთან დაკავშირებით, რომლებიც განკუთვნილია სპეციფიკურად ენისა და მეტყველების შეფერხების სკრინინგისთვის და გამოსავლებთან მიმართებაში ბავშვებისთვის, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხდა სპეციფიკური სკრინინგის მეშვეობით.

ამერიკის პედიატრიის აკადემიისა და Bright Futures³⁸-ს რეკომენდაციების თანახმად, სპეციფიკურად ენისა და მეტყველების პრობლემების სკრინინგის ნაცვლად, უმჯობესია ჩატარდეს ბავშვის განვითარების სრულყოფილი სკრინინგი მეთვალყურეობის ვიზიტებთან ერთად, რათა შეფასდეს განვითარების ტრაექტორია და პროგრესის არსებობა. აღნიშნული მიდგომით შესაძლებელია როგორც ენისა და მეტყველების, ისე განვითარების სხვა პრობლემების გამოვლენაც.

უხეში მოტორიკისა და განვითარების სხვა სკრინინგი 4 წლის ასაკში. Bright Futures არ იძლევა რეკომენდაციას 4 წლის ასაკში სკრინინგთან დაკავშირებით. 2006 წლის ამერიკის პედიატრიის აკადემიის დებულების შემდეგ ახალი მყარი მტკიცებულება არ გამოქვეყნებულა. განხორციელდა 4

წლის ასაკში მოტორული განვითარების შეფასების გადახედვა და აღნიშნული განიხილება ამ ასაკობრივ ვიზიტზე საექიმო გასინჯვის სავარაუდო კომპონენტად³⁹.

R9 ლიტერატურის მიმოხილვისა და შეჯერების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ განვითარების რუტინული სკრინინგი უნდა ჩატარდეს 9-12, 18, 24 და 30-36 თვის ასაკში ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებული და ნორმირებული „ასაკებისა და ეტაპების კითხვარით - ASQ-3. დღენაკლულობის შემთხვევაში განვითარების შეფასება ტარდება კორეგირებული ასაკის მიხედვით.

10.6 კლინიკური შეკითხვა 6 - რა ასაკში უნდა ჩატარდეს აუტიზმის სკრინინგი?

აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) ადრეული იდენტიფიკაცია მოითხოვს სპეციფიკურ სკრინინგულ ტესტს. განვითარების ზოგადი სკრინინგული ტესტები ასდ-ს პროგნოზირების თვალსაზრისით ნაკლებად სარწმუნოა, რადგანაც მათი საშუალებით ფასდება განვითარების განსხვავებული სფეროები, ვიდრე აუტიზმისთვის სპეციფიკური კითხვარებით. კვლევები, რომლებიც აფასებდნენ განვითარების ზოგადი სკრინინგული კითხვარების სპეციფიკურობას და მგრძობელობას, მეტყველებენ, რომ მათი გამოყენება შესაძლოა დაკავშირებული იყოს გადაჭარბებულ რეფერალთან ასდ-ზე დიაგნოსტიკური შეფასებისთვის^{40,41}. თუმცა, ორეტაპიანი სტრატეგიით, რომელიც მოიცავს აუტიზმისთვის სპეციფიკური სკრინინგ-ტესტის გამოყენებას იმ ბავშვებში, რომელთაც არადაამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენეს განვითარების ზოგადი სკრინინგის დროს, შესაძლებელია რისკის მქონე ბავშვების იდენტიფიცირების გაუმჯობესება და ცრუ დადებითი შემთხვევების შემცირება.

ამერიკის პედიატრიული აკადემია რეკომენდაციას იძლევა, ასდ-სპეციფიკური სკრინინგი ჩატარდეს 18 თვის და 2 წლის ასაკში, ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ვიზიტებზე, განვითარების ზოგადი შეფასების ტესტებთან ერთად. USPSTF ასკვნის, რომ ამჟამად არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია ასდ-ზე სკრინინგის რეკომენდაციის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ უფრო მცირე ასაკის ბავშვებში, როდესაც არ არსებობს მშობლის ან კლინიცისტის ეჭვი აუტიზმთან დაკავშირებით (I განცხადება). მიუხედავად იმისა, რომ USPSTF-ს მონაცემების თანახმად, სკრინინგით ზუსტად არის შესაძლებელი ასდ-ს მქონე ბავშვების გამოვლენა, მტკიცებულებები მკურნალობის სარგებელთან დაკავშირებით სხვა მხრივ ასიმპტომურ ინდივიდებში არასაკმარისია.

სამუშაო ჯგუფი სრულად იზიარებს ამერიკის პედიატრიის აკადემიისა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მოსაზრებას და შეთანხმდა შემდეგზე:

R10 სკრინინგი აუტისტური სპექტრის დარღვევაზე უნდა ჩატარდეს ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 18 და 24 თვის ასაკში სპეციფიკური ტესტით M-CHAT-R-ით.

R11 დამატებითი სკრინინგის საჭიროება შესაძლოა დადგეს, თუ ბავშვს ასდ-ს მაღალი რისკი აღენიშნება (მაგ.: და, ძმა, ან ოჯახის სხვა წევრი ასდ-თი) ან თუ სახეზეა ასდ-სთან ასოცირებული სიმპტომები

10.7 კლინიკური შეკითხვა 7 - რა ასაკშია რეკომენდებული რკინადეფიციტურ ანემიაზე სკრინინგი 0-6 წლამდე ბავშვთა პოპულაციაში და რომელი ტესტის გამოყენებაა რეკომენდებული?

ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა გაიდლაინების რეკომენდაცია ანემიის უნივერსალურ რუტინულ ლაბორატორიულ სკრინინგთან დაკავშირებით განსხვავებულია. ამერიკის პედიატრიის აკადემია, ითვალისწინებს რა სკრინინგთან ასოცირებულ უპირატესობებს ჯანმრთელობისთვის, როგორცაა მაგალითად, ნევროლოგიური დეფიციტის პრევენცია, რეკომენდაციას იძლევა ანემიის უნივერსალურ სკრინინგთან დაკავშირებით 12 თვის ასაკისთვის სისხლში ჰემოგლობინის კონცენტრაციის განსაზღვრით⁴². სხვა წყაროები, მაგალითად აშშ პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფი, გაერთიანებული სამეფოსა და კანადის გაიდლაინები არ იძლევიან რეკომენდაციას ადრეული ასაკის ბავშვებში უნივერსალურ ლაბორატორიულ სკრინინგთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც მოაქვთ პირდაპირი მტკიცებულების არარსებობა აღნიშნული მიდგომის სარგებლის ან ზიანის შესახებ^{43,44,45}. (I განცხადება).

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული წყარო იძლევა რეკომენდაციას რკინადეფიციტური ანემიის მიზნობრივი ლაბორატორიული სკრინინგის შესახებ ჩვილებსა და ბავშვებში რისკის ფაქტორებით, როგორცაა მალნუტრიცია, დღენაკლულობა, მცირე წონა დაბადებისას. კვებითი რისკ-ფაქტორები, სიმსუქნე ან რკინადეფიციტური ანემიის სიმპტომები. (იხილეთ დანართი N7-ცხრილი N7-1).

სკრინინგისთვის გამოყენებული ტესტი:

- **სისხლის საერთო ანალიზი** – უმრავლეს შემთხვევაში ყველაზე მარტივი და ხარჯთეფექტური მეთოდია სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც მოიცავს ჰემოგლობინის, ერითროციტების საშუალო მოცულობის და ერითროციტების განაწილების საზღვრების განსაზღვრას, რკინადეფიციტური ანემიის დროს, ჩვეულებრივ, ერითროციტების საშუალო მოცულობა შემცირებულია, ხოლო განაწილების საზღვრები გაზრდილი.
- **ჰემოგლობინის კონცენტრაცია** – კლინიკურ სიტუაციებში, სადაც ვერ ტარდება სისხლის საერთო ანალიზი, რკინადეფიციტური ანემიის სკრინინგის მინიმალური ტესტია ჰემოგლობინის კონცენტრაციის განსაზღვრა. ჰემოგლობინი ითვლება ნორმაზე ნაკლებად, თუ მისი სიდიდე <11 გ/დლ 6 თვიდან <5 წლის ასაკის ბავშვებში და <11.5 გ/დლ 5 წლიდან <12 წლის ბავშვებში. აღსანიშნავია, რომ ბავშვებს ნორმალური ჰემოგლობინით, შეიძლება ჰქონდეთ რკინადეფიციტური ანემია, რომლის გამოვლენაც შეუძლებელია მხოლოდ ჰემოგლობინის კონცენტრაციის განსაზღვრით.
- **შრატის ფერიტინი** – იმ შემთხვევაში, თუ შრატის ფერიტინის განსაზღვრა შესაძლებელი და ხელმისაწვდომია, ეს ტესტი საშუალებას იძლევა ანემიასთან ერთად შეფასდეს რკინის დეფიციტის არსებობა. აღნიშნული ხელს უწყობს იმ ბავშვების გამოვლენას, რომელთაც აღნიშნებათ რკინის დეფიციტი ანემიის გარეშე.

ზოგადად, შეზღუდული რესურსების პირობებში, თუ მოსახლეობაში გავრცელებულია ანემია, ლაბორატორიულ სკრინინგთან შედარებით უპირატესობა ენიჭება რკინის დამატებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე:

- R12** ყველა ბავშვის შემთხვევაში რეკომენდებულია ანემიაზე ლაბორატორიული სკრინინგი 9-დან 12 თვემდე პერიოდში. თუ ბავშვი იკვებება რკინით გამდიდრებული ფორმულით, შესაძლებელია სკრინინგი გადაიდოს 15-დან 18 თვემდე ასაკისთვის, რადგანაც ამ პერიოდში უკეთესად იქნება შესაძლებელი ბავშვის რკინის სტატუსის შეფასება, ფორმულიდან ძროხის რძეზე გადასვლის შემდეგ.
- R13** რკინის დეფიციტის რისკ-ფაქტორების შემთხვევაში (მაგ.: დღენაკლულები, ან ძროხის რძით კვება), რეკომენდებულია განმეორებით გასინჯვა, მაგალითად 15-დან 18 თვემდე ასაკში, ან რისკის დადგენის მომენტში.
- R14** ბავშვებში ჯანმრთელობის სპეციალური საჭიროებებით (ქრონიკული ინფექცია, ანთებითი დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დისფუნქცია, ნაწლავებზე ოპერაციული ჩარევა ანამნეზში ან შეზღუდული დიეტა) ლაბორატორიული სკრინინგის გამეორება რეკომენდებულია 15-დან 18 თვემდე ასაკში და შემდეგ, 2-დან 5 წლამდე ასაკში.

10.8 კლინიკური შეკითხვა 8 - რა პერიოდულობით არის რეკომენდებული მშობიარობის შემდგომი დეპრესიის სკრინინგი და რა არის სკრინინგის სარგებელი?

ამ თემაზე გამოქვეყნებული წყაროების უმრავლესობა რეკომენდაციას იძლევა, პირველად ჯანდაცვაში (მათ შორის, მეანების, გინეკოლოგების ან პედიატრების მიერ) ყველა ქალს მშობიარობის შემდეგ ჩაუტარდეს სკრინინგი დეპრესიაზე, რომელიც სასურველია ტარდებოდეს ისეთ პირობებში, სადაც ადგილზე იქნება დიაგნოზის შემდგომი მეთვალყურეობის და მკურნალობის განმარტოვებელი სერვისი (რეკომენდაციის ხარისხი **B**). აღნიშნული მიდგომა ემყარება აშშ-ს პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფის (USPSTF) გაიდლაინებს⁴⁶. გარდა ამისა, მშობიარობის შემდგომ დეპრესიაზე სკრინინგის რეკომენდაცია ეთანხმება ამერიკის მეანთა და გინეკოლოგთა კოლეგიის⁴⁷, გაერთიანებული სამეფოს კლინიკური დახელოვნების ნაციონალური ინსტიტუტის⁴⁸ და ამერიკის პედიატრიის აკადემიის⁴⁹ რეკომენდაციებს. სკრინინგის მიზანშეწონილობის საფუძველია ის ფაქტი, რომ პოსტნატალური დეპრესია წარმოადგენს სერიოზულ, გავრცელებულ, სათანადოდ არადაიაგნოსტირებულ და განკურნებად დაავადებას,

რომლის გამოსავლენადც არსებობს სტანდარტიზებული, სარწმუნო სკრინინგული ინსტრუმენტები⁵⁰.

სხვადასხვა მტკიცებულებები მეტყველებს, რომ პოსტნატალური დეპრესია მოქმედებს დედის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ასოცირებულია ბავშვის არასათანადო კვებასა და ჯანმრთელობასთან⁵¹ და შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ძუძუთი კვებაზე, დედასა და ჩვილს შორის მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებასა და პარტნიორთან ურთიერთობაზე. გარდა ამისა, პოსტნატალური დეპრესია ასოცირებულია ბავშვის განვითარების პრობლემებთან, ინტელექტუალურ დარღვევებთან და ფსიქოპათოლოგიურ მდგომარეობებთან⁵².

ყველაზე ფართოდ გამოყენებული სკრინინგული ინსტრუმენტი მშობიარობის შემდგომი დეპრესიის სკრინინგისთვის არის ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალა, რომელიც წარმოადგენს 10 პუნქტიან კითხვარს (იხილეთ დანართი 7 - ცხრილი N7-2). აღნიშნული კითხვარის მაქსიმალური ქულა არის 30. ზღვრულ მაჩვენებლად ითვლება 11 ქულა.

სკრინინგისთვის ოპტიმალურ დროდ ითვლება მშობიარობიდან 4-დან 8 კვირამდე პერიოდი. აღნიშნული ეფუძნება რანდომიზებულ კვლევებს, რომელთაც დაადგინეს, რომ ერთჯერადი სკრინინგი მითითებულ პერიოდში უპირატესი იყო სტანდარტულ ზრუნვასთან შედარებით⁴⁶. აღნიშნულის მიუხედავად, სკრინინგის დროისა და სიხშირის შესახებ არსებობს გარკვეული განსხვავებები, ხოლო განმეორებითი სკრინინგი მშობიარობიდან 1 წლის განმავლობაში (მაგალითად, სამჯერ) ზრდის იმ ქალთა რაოდენობას, რომელთა სკრინინგი დეპრესიაზე დადებითი აღმოჩნდა⁵³. სკრინინგის ნაწილის სახით, პაციენტს შეიძლება ჩაუტარდეს კონსულტირება დეპრესიული სინდრომის განვითარების რისკის შესახებ, განემარტოს დაავადების ადრეული სიმპტომები და შესაბამისი ჩარევისთვის მიმართვის საჭიროება.

R15 პოსტნატალური დეპრესიის სკრინინგის სიხშირესთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფი სრულად იზიარებს ამერიკის პედიატრიის აკადემიის რეკომენდაციას, რომლის თანახმადაც რეკომენდებულია დეპრესიაზე სკრინინგი ჩატარდეს ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის ვიზიტებზე 1 თვის, 2 თვის, 4 თვისა და 6 თვის ასაკში⁵⁴. სკრინინგისთვის რეკომენდებულია ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალის გამოყენება.

10.9 კლინიკური შეკითხვა 9 - როგორია ბილირუბინის სკრინინგთან დაკავშირებული რეკომენდაციები ახალშობილებში?

ამერიკის პედიატრიის აკადემია რეკომენდაციას იძლევა, ბილირუბინის უნივერსალურ სკრინინგთან დაკავშირებით 35 კვირის და მეტი გესტაციური ასაკის ყველა ახალშობილში, შრატის საერთო ბილირუბინის ან ტრანსკულტანური ბილირუბინის განსაზღვრის გზით, რასაც უნდა მოყვეს სტანდარტული მართვა და მეთვალყურეობა, ბილირუბინის დონის, გესტაციური ასაკის და ჰიპერბილირუბინემიის განვითარების სხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის საწყისი ბილირუბინის დონის და რისკფაქტორების გათვალისწინება, როგორც არასათანადო გამოვლენის, ისე ჰიპერდიაგნოსტიკისა და გადაჭარბებული მკურნალობის თავიდან ასარიდებლად. შეფასების მიზანია ქრონიკული ბილირუბინული ენცეფალოპათიის ან კერნიქტერუსის განვითარების პრევენცია. დროულ გამოვლენას ასევე შეუძლია შეამციროს შენაცვლებითი ტრანსფუზიის საჭიროება, რაც მნიშვნელოვან სიკვდილიანობასთან არის ასოცირებული. რეკომენდაციები ჩვილთა მეთვალყურეობის შესახებ, რომელთაც უტარდებათ ბილირუბინის სკრინინგი სამშობიარო სახლში, იხილეთ დანართი N7-ში - ცხრილი N7.3.

ამ საკითხზე ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად ვლინდება, რომ სიყვითლის მხოლოდ ვიზუალური შეფასება ახალშობილებში არ არის სანდო კრიტერიუმი შრატში ბილირუბინის სავარაუდო დონის გამოთვლის თვალსაზრისით. კლინიკურ შეფასებასთან ერთად აუცილებელია შეფასდეს ბავშვის კვება, წონაში მატება, შარდვის სიხშირე და მოცულობა.


ღარიბი რესურსების პირობებში პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის მოწოდებულია სიყვითლის ვიზუალური შეფასების ე.წ. კრამერის სქემა, რომელიც აღწერს დამოკიდებულებას კანის სიყვითლის გავრცელებასა და შრატში ბილირუბინის დონეს შორის.

ნეონატალური სიყვითლის ვიზუალური შეფასება (კრამერის წესი)

სხეულის ნაწილი	სიყვითლის დონე	შრატში ბილირუბინის დიაპაზონი	
		მკმოლ/ლ	მგ/დლ

სხეულის ნაწილი	სიყვითლის დონე	შრატში ბილირუბინის დიაპაზონი	
		მკმოლ/ლ	მგ/დლ
თავი და კისერი	1	68–133	4–8
ტორსის ზედა ნაწილი (ჭიპის ზევით)	2	85–204	5–12
ტორსის ქვედა ნაწილი და თეძოები (ჭიპის ქვემოთ)	3	136–272	8–16
ხელები და წვივები	4	187–306	11–18
ხელისგულები და ტერფები	5	≥306	≥18

სურათი. ნეონატალური სიყვითლის ვიზუალური შეფასება კრამერის წესის მიხედვით.



ტრენირებულმა პირველადი ჯანდაცვის ექიმმა/ექთანმა შესაძლებელია აღნიშნული წესი გამოიყენოს სკრინინგული მეთოდის სახით.

ახალშობილთა მძიმე სიყვითლის რისკფაქტორებია⁵⁵:

- დღენაკლულობა;
- დაბადებისას დაბალი წონა;
- სიყვითლის განვითარება დაბადებიდან პირველ 24 საათში;
- დედა სისხლის O ჯგუფით ან რეზუს უარყოფითი;
- გლუკოზა-6-ფოსფატდეჰიდროგენაზას (G6PD) დეფიციტი;
- შრატის საერთო ბილირუბინის სწრაფი მატება;
- სეფსისი;
- ლაქტაციის წარუმატებლობა ექსკლუზიურად ძუძუთი კვებაზე მყოფ ჩვილებში;
- ბილირუბინის მაღალი დონე სამშობიაროდან გაწერის წინ;

- კეფალოჰემატომა ან სისხლჩაქცევები;
- დიაბეტით დაავადებული დედის ჩვილი;
- მძიმე ნეონატალური სიყვითლის ოჯახური ისტორია და-ძმებში.

მძიმე სიყვითლის განვითარების რისკფაქტორების იდენტიფიცირება რეკომენდებულია ანტენატალური და პოსტნატალური ვიზიტების დროს. ამავე დროს, მშობლებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული რისკის შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე^{56, 57}:

- R16** ბილირუბინის რუტინული სკრინინგი პირველად ჯანდაცვაში რეკომენდებული არ არის, თუ არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი პათოლოგიურ ჰიპერბილირუბინემიასთან დაკავშირებით.
- R17** თუ ბავშვს სიყვითლე უვლინდება დაბადებიდან 24 საათში და მასზე მეთვალყურეობა ხორციელდება პირველად ჯანდაცვაში, აუცილებელია რეფერალი შრატის ბილირუბინის განსაზღვრისა და შემდგომი მართვისთვის;
- R18** შრატის ბილირუბინის გამოკვლევა უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს აღნიშნება კლინიკურად გამოხატული სიყვითლე, რომელიც ვრცელდება ხელებსა და წვივებზე და/ან ხელისგულებსა და ტერფებზე, რაც შეესაბამება კრამერის მე-4-5 ზონებს;
- R19** შრატის ბილირუბინის გამოკვლევა ასევე უნდა ჩატარდეს ახალშობილებს გახანგრძლივებული სიყვითლის შემთხვევაში (ჯანმრთელი დროული ახალშობილისთვის >2 კვირაზე, დღენაკლულისთვის >3 კვირა), თუ ამავე დროს ადგილი აქვს წონაში არადამაკმაყოფილებელ მატებას, კვების პრობლემებს და სხვა;
- R20** შრატის ბილირუბინის გამოკვლევა უნდა ჩატარდეს ჩვილებს აქოლიური განავლით ან მუქი ფერის შარდით, რომელიც ღებავს საფენს.

რეფერალი აუცილებელია:

- თუ ახალშობილს ესაჭიროება ფოტოთერაპია (იხილეთ ბილირუბინის ზღურბლოვანი მაჩვენებლები ფოტოთერაპიისთვის დანართი N7 - სურათი 1 და სურათი 2, ცხრილი 7.3.1);
- თუ სიყვიითლე გრძელდება 21 დღეზე მეტ ხანს;
- სიყვიითლესთან ერთად ვლინდება სხვა დაავადების ნიშნები (მაგ. სეფსისი)
- სახეზეა პირდაპირი (კონიუგირებული) ჰიპერბილირუბინემია (პირდაპირი ბილირუბინი შრატის საერთო ბილირუბინის 50%-ზე მეტია).

10.10 კლინიკური შეკითხვა 10 - რა ასაკიდანაა არტერიული წნევს სკრინინგი რეკომენდებული ბავშვებში?

სულ უფრო მატულობს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოზრდილებში ჰიპერტენზიის განვითარებას შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული წინამორბედი ნიშნები ბავშვობის ასაკში, რადგანაც არტერიული წნევის ციფრები ბავშვობაში წარმოადგენს ზრდასრულებში არტერიული წნევის პროგნოზულ მაჩვენებელს⁵⁸. ჰიპერტენზიამ ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში შეიძლება ხელი შეუწყოს ნაადრევი ათეროსკლეროზისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადების ადრეულ განვითარებას. შესაბამისად, ჰიპერტენზიის მქონე ბავშვების გამოვლენას და წარმატებულ მკურნალობას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ხანგრძლივ შედეგებზე. ამერიკის პედიატრიის აკადემია რეკომენდაციას იძლევა, წნევის რუტინული გაზომვა ჩატარდეს ბავშვის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ვიზიტებზე ყოველწლიურად, დაწყებული 3 წლის ასაკიდან. თუმცა, აშშ-ს პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფის (USPSTF) გაიდლაინების თანახმად, არტერიული წნევის სკრინინგი უნდა დაიწყოს 18 წლის ასაკიდან (რეკომენდაციის ხარისხი **A**), რადგანაც ამჟამად არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია 18 წლამდე ასაკში ბავშვებსა და მოზარდებში ჰიპერტენზიის სკრინინგის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ⁵⁹ (**I** განცხადება).

რაც შეეხება 3 წლამდე ასაკში ჰიპერტენზიის სკრინინგს, ის ტარდება სელექტიურად, რისკის შეფასების საფუძველზე. კერძოდ აღნიშნულ რისკფაქტორებს მიეკუთვნება:

- დღენაკლულობა, ძალიან მცირე წონა დაბადებისას ან სხვა ნეონატალური გართულება, რასაც დასჭირდა ინტენსიური თერაპია;
- გულის თანდაყოლილი დაავადება (ნამკურნალები ან არანამკურნალები);
- საშარდე ტრაქტის მორეციდივე ინფექციები, ჰემატურია ან პროტეინურია;
- დადგენილი თირკმლის დაავადება ან უროლოგიური მალფორმაცია;
- თირკმლის თანდაყოლილი დაავადების ოჯახური ისტორია;
- პარენქიმული ორგანოების ტრანსპლანტაცია;
- ავთვისებიანი სიმსივნე ან ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია;
- მკურნალობა მედიკამენტებით, რომლებიც იწვევენ არტერიული წნევის მატებას;
- სხვა სისტემური დაავადებები, რომლებიც ასოცირებულია ჰიპერტენზიასთან (მაგ.: ნეიროფიბრომატოზი, ტუბეროზული სკლეროზი);
- ქალასშიდა წნევის მატების მტკიცებულება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე:

R21 ≥ 3 წლის ბავშვებში რისკფაქტორების ან ჰიპერტენზიასთან ასოცირებული მდგომარეობების გარეშე, არტერიული წნევის გაზომვა რეკომენდებულია წელიწადში ერთხელ ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის ვიზიტების დროს;

R22 < 3 წლის ბავშვებში წნევის გაზომვა რეკომენდებულია ბავშვის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ყველა ვიზიტზე რისკფაქტორების არსებობის შემთხვევაში (იხილეთ ზემოთ); წნევის გასაზომად გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური ზომის მანჟეტი.

10.11 კლინიკური შეკითხვა 11 - რა ასაკიდანაა რეკომენდებული დისლიპიდემიის სკრინინგი ბავშვებში

ლიპიდური დარღვევების სკრინინგი ბავშვებში ეფუძნება მოსაზრებას, რომ პედიატრიული დისლიპიდემიის ადრეული გამოვლენა და მართვა ამცირებს ათეროსკლეროზული გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკსა და სიმძიმეს ზრდასრულ ასაკში⁶⁰. ლიპიდური დარღვევები შემთხვევათა უმრავლესობაში კლინიკურად არ ვლინდება და მხოლოდ სელექტიური სკრინინგი

(ე.ი. სკრინინგი მხოლოდ დადებითი ოჯახური ანამნეზის დროს) არ იძლევა ლიპიდური დარღვევების მქონე ბავშვთა მნიშვნელოვანი რაოდენობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ამერიკის პედიატრიის აკადემიისა და ამერიკის გულის, ფილტვისა და სისხლის ეროვნული ინსტიტუტის გაიდლაინების თანახმად, მტკიცებულებები საკმარისია ქოლესტეროლის უნივერსალური სკრინინგის მხარდასაჭერად პრეპუბერტულ ასაკში. ამ რეკომენდაციების მიხედვით, უზმოდ ლიპიდური პროფილი (საერთო ქოლესტეროლი, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტეროლი, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტეროლი და ტრიგლიცერიდები) უნდა შეფასდეს სქესობრივი მომწიფების დაწყებამდე და გვიან მოზარდობის პერიოდში (ერთხელ 9-11 წლის და ერთხელ 17-21 წლის ასაკში). სკრინინგი განხილული უნდა იქნას უფრო მცირე ასაკის ბავშვებში ოჯახური ჰიპერქოლესტეროლემიის შემთხვევაში.

თუმცა, USPSTF გაიდლაინების თანახმად, ამჟამად არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია დისლიპიდემიის სკრინინგის რეკომენდაციის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, 20 წლამდე ასაკში⁶¹. (I განცხადება)

8 წლამდე ასაკში (2, 4, 6, 8 წლის ვიზიტებზე) დისლიპიდემიის სკრინინგი ამერიკის პედიატრიის აკადემიის რეკომენდაციების თანახმად, უნდა ჩატარდეს სელექტიურად, რისკფაქტორების არსებობისას. კერძოდ, აღნიშნული რისკფაქტორებია:

- მშობელი, ბებია-ბაბუა, დეიდა, ბიძა ან და-ძმა გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით; სტენოკარდიით, ინსულტით, ან აორტო-კორონარული შუნტირებით/სტენტი/ანგიოპლასტიკით <55 წლის მამაკაცებსა და <65 წლის ქალებში;
- თუ მშობლის საერთო ქოლესტეროლის მაჩვენებელი ≥ 240 მგ/დლ ან დადგენილი აქვს დისლიპიდემია;
- პაციენტი დაავადებულია დიაბეტით, ჰიპერტენზიით, სხეულის მასის ინდექსი (სმი) ≥ 95 -ე პერცენტილზე (ან +2Z ქულაზე) ან ეწევა სიგარეტს;
- პაციენტს აღნიშნება საშუალო ან მაღალი რისკის სამედიცინო პრობლემა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე:

R23 დისლიპიდემიის სკრინინგი რეკომენდებულია შეთავაზებული იქნას 2 წლიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სელექტიურად, რისკფაქტორების არსებობისას (იხილეთ ზემოთ).

10.12 კლინიკური შეკითხვა 12 - არის თუ არა რეკომენდებული სისხლში ტყვიის რუტინული სკრინინგი 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებში?

აშშ პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფის (USPSTF) დასკვნის თანახმად, ამჟამად არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია ტყვიის რუტინული სკრინინგის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ 1-დან 5 წლამდე ასაკის უსიმპტომო ბავშვებში, რომელთაც აღნიშნებათ მომატებული რისკი⁶². (I განცხადება)

USPSTF არ იძლევა რეკომენდაციას ტყვიის რუტინულ სკრინინგთან დაკავშირებით 1-დან 5 წლამდე ასაკის უსიმპტომო ბავშვებში ზომიერი რისკით (რეკომენდაციის ხარისხი D).

ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მრჩეველთა კომიტეტი ბავშვთა ასაკში ტყვიით მოწამვლის პრევენციის საკითხებზე, რეკომენდაციას იძლევა, კლინიცისტმა ჩაუტაროს ბავშვის ოჯახის წევრებს განათლება ტყვიის ზემოქმედების პრევენციის შესახებ და მოახდინოს გარემოს შეფასება ტყვიის ზემოქმედების წყაროს იდენტიფიცირების მიზნით, მანამ, სანამ განახორციელებს ბავშვის ტესტირებას ტყვიით მოწამვლაზე. სისხლში ტყვიის სკრინინგი აუცილებელია იმ ბავშვების იდენტიფიცირებისთვის, ვისთვისაც პირველადი პრევენციული ღონისძიებები წარუმატებელი აღმოჩნდა⁶³.

კონტროლირებულ კვლევებში არ გამოვლენილა ასიმპტომურ ბავშვებში სისხლში ტყვიის დონის შემამცირებელი ჩარევების უპირატესობა ნეიროგანვითარებაზე დადებითი ზემოქმედების კუთხით. თუმცა, ბევრ ქვეყანაში ტყვიის სკრინინგი ითვლება სავალდებულოდ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. ამერიკის პედიატრიული აკადემია რეკომენდაციას იძლევა ტყვიის მიზნობრივი სკრინინგი ჩატარდეს 12 თვის და 24 თვის ასაკში იმ ბავშვებში, რომლებიც ცხოვრობენ

უბნებში, სადაც შენობების 25%-ზე მეტი აშენებულია 1960 წლამდე ან სადაც ბავშვთა პოპულაციაში სისხლში ტყვიის >5 µg/დლ (>50 ppb) მაჩვენებლის პრევალენტობა აღემატება 5%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე:

R24 სისხლში ტყვიის რუტინული სკრინინგი 0-დან 6 წლამდე ასაკში რეკომენდებული არ არის, თუ არ არსებობს ტყვიის ზემოქმედების რისკ-ფაქტორები. რეკომენდებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალმა შეაფასოს ბავშვზე ტყვიის ზემოქმედების რისკი¹ და მომატებული რისკის შემთხვევაში სკრინინგი ჩატარდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.13 კლინიკური შეკითხვა 13 - არის თუ არა რეკომენდებული პირის დრუს ჯანმრთელობის რუტინული შეფასება 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებში?

პირის დრუს ჯანმრთელობის შეფასება 3 წლამდე ასაკის ბავშვებში ხელს უწყობს იმ ბავშვების გამოვლენას, რომლებიც დენტალური პრობლემების განვითარების რისკის ქვეშ იმყოფებიან (იხილეთ დანართი 7 - ცხრილი N7-4)⁶⁴. კბილების პრობლემების განვითარების რისკფაქტორები შესაწავლილი იქნა სხვადასხვა პროსპექტულ კვლევაში და მოიცავს მონაცემებს როგორც ანამნეზიდან, ისე საექიმო გასინჯვიდან⁶⁵. როგორც ჩანს, გარემო ფაქტორები, როგორცაა მაგალითად არაფთორირებული სასმელი წყალი, შაქრის მოხმარება, კარიესის განვითარების უფრო მნიშვნელოვანი რისკფაქტორებია, ვიდრე გენეტიკური ფაქტორები⁶⁶. დაკვირვებით კვლევაში გამოვლინდა, რომ რისკფაქტორები, რომლებიც დოკუმენტირებული იყო ბავშვის სამედიცინო ისტორიაში 18 თვის ასაკამდე, წარმოადგენდა ადრეული ასაკის კარიესის განვითარების პროგნოზულ ფაქტორებს სტომატოლოგთან საწყისი ვიზიტის დროს⁶⁷. ბავშვები ჩამოთვლილი რისკფაქტორებით უნდა გაიგზავნონ ადრეული სტომატოლოგიური შეფასებისა და კონსულტირებისთვის⁶⁸:

- დედა/პირველადი მზრუნველი აქტიური კარიესით;
- მშობლის/მზრუნველის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;
- ძუძუთი ან ბოთლით კვება 12 თვის შემდეგ;
- შაქრიანი სასმელებისა და ხემსების ხშირი მოხმარება;
- სატუჩიანი ჭიქის ხანგრძლივი გამოყენება დღის მანძილზე;
- საწოვარიანი ბოთლის გამოყენება ძილის წინ, განსაკუთრებით, შაქრის შემცველი პროდუქტის მოხმარება აღნიშნული ბოთლით;
- თხევადი მედიკამენტის გამოყენება 3 კვირაზე მეტი ხანგრძლივობით;
- გარემოს თამბაქოს კვამლის ზემოქმედება (მწველები სახლში);
- ბავშვები ჯანმრთელობის სპეციალური საჭიროებებით;
- ფთორის არასაკმარისი ზემოქმედება;
- ხილული ნადები წინა ზედა კბილებზე;
- მინანქრის ქვები ან დეფექტები.

ამერიკის პედიატრიის აკადემიის გაიდლაინების თანახმად, პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალის მიერ რეფერალი რეკომენდებულია რისკის შეფასების საფუძველზე, უკვე 6 თვის ასაკში, პირველი კბილის ამოჭრიდან 6 თვის შემდეგ და არა უგვიანეს 12 თვის ასაკისა.

ფთორის აპლიკაცია - სარწმუნო მტკიცებულებები მეტყველებს, რომ ფთორის ლაქის აპლიკაცია 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის პირველად ჯანდაცვაში, როგორც კარიესის პრევენციის ყოვლისმომცველი მიდგომის ნაწილი, სარგებელით ხასიათდება.

USPSTF რეკომენდაციას იძლევა, პჯდ პერსონალმა აწარმოოს ფთორის ლაქის აპლიკაცია ყველა ჩვილისა და ბავშვის სარძევე კბილებზე პირველი კბილების ამოჭრის მომენტიდან 5 წლის ასაკამდე (რეკომენდაციის ხარისხი **B**), თუმცა, აპლიკაციის ოპტიმალური სიხშირის შესახებ სარწმუნო მტკიცებულებები არასაკმარისია.

¹ მაგალითად, ცხოვრობს ან ხშირად იმყოფება შენობაში ტყვიის საზიანო ზემოქმედების დადგენილი რისკით; ცხოვრობს ან ხშირად იმყოფება შენობაში, რომელიც აშენებულია 1960 წლამდე და არის ცუდ/მოუვლელ მდგომარეობაში; ლოკალურად დადგენილი ტყვიის მაღალი შემცველობის ხალხური საშუალებების გამოყენება, კალის ჭურჭლის ხშირი მოხმარება, მშობლის ისეთი პროფესია, რაც ზრდის ტყვიის ზემოქმედების რისკს, მაგალითად ლითონის შენადნობზე მუშაობა, აგრეთვე ბავშვის განვითარების შეფერხება ან ტყვიის ინტოქსიკაციის ნიშნები, რაც აძლიერებს ეჭვს ტყვიის საზიანო ზემოქმედებაზე.

ახლო წარსულში ჩატარებულ კოჰრენის სისტემურ მიმოხილვაში ფასდებოდა ფთორის აპლიკაციის ეფექტურობა ბავშვებსა და მოზარდებში.⁶⁹ 21 კვლევიდან 8 მოიცავდა 1-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებს, თითქმის ყველა კვლევაში ფთორის აპლიკაცია პირველად ამოჭრილ სარძევე კბილებზე ასოცირებული იყო კბილის კარიესის, დაკარგვის და ზჟენის საჭიროების დაახლოებით 37%-ით შემცირებასთან. ამ ანგარიშში არ დადგენილა აპლიკაციის ოპტიმალური სიხშირე. ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან გვერდით ეფექტებს, თუმცა აღნიშნული მოხსენიებული იქნა როგორც კვლევის ხარისხის შეზღუდვა.

ამერიკის პედიატრიის აკადემიის გაიდლაინების თანახმად, ფთორის ლაქის აპლიკაცია რეკომენდებულია ყველა ჩვილისა და ბავშვის კბილებზე, მინიმუმ 6 თვეში ერთხელ და 3 თვეში ერთხელ კარიესის მომატებული რისკის შემთხვევაში, დაწყებული პირველი კბილის ამოჭრის მომენტიდან და მანამ, სანამ ბავშვზე არ განხორციელდება რეგულარული მეთვალყურეობა სტომატოლოგის მიერ.

ფთორის დანამატები - ფთორის დანამატება, თუ არსებობს აღნიშნულის ჩვენება ფთორის მოხმარებისა და კარიესის რისკის შეფასების საფუძველზე (იხილეთ ცხრილი 7.4), უნდა დაიწყოს 6 თვის ასაკიდან (იხილეთ დანართი 7 - ცხრილი N7.5)⁷⁰ (რეკომენდაციის ხარისხი **B**). ფთორის სუპლემენტაცია საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი იმყოფება კარიესის განვითარების მაღალი რისკის ქვეშ, დასტურდება ფთორის სხვა წყაროების (მაგალითად, ფთორირებული კბილის პასტა, სავლები, ლაქი ან გელი) გამოყენების უეფექტობა და ოჯახი იყენებს არაფთორირებულ სასმელ წყალს⁷¹. აშშ-ს საზღვანდაცვის სამსახურის რეკომენდაციის თანახმად, კომუნალურ სასმელ წყალში ფთორის ოპტიმალური შემცველობა კარიესის პრევენციის მიზნით უნდა იყოს 0.7მგ/ლ⁷².

სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა საერთაშორისო რეკომენდაციები და ადგილობრივი თავისებურებები (სასმელ წყალში ფთორის შემცველობის შესახებ მონაცემების არარსებობა, ფთორის დანამატების ნაკლები ხელმისაწვდომობა) და შეთანხმდა შემდეგზე:

R25 რეკომენდებულია პირველადი ჯანდაცვის ექიმმა შეაფასოს პირის ღრუს ჯანმრთელობა დაწყებული 6 თვის ასაკიდან 6 წლის ასაკამდე, ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის ვიზიტებზე და რისკის არსებობის შემთხვევაში (იხილეთ ზემოთ) მოახდინოს რეფერალი სტომატოლოგთან; თუ ფთორის ლაქი ხელმისაწვდომია, რეკომენდებულია მისი აპლიკაცია პირველი კბილების ამოჭრიდან 6 თვეში ერთხელ 6 წლის ასაკამდე.

10.14 კლინიკური შეკითხვა 14 - რა უპირატესობით ხასიათდება მშობლების განათლება და გამაფრთხილებელი რეკომენდაციების მიწოდება (anticipatory guidance) ბავშვის ჯანმრთელობის გამოსავლების კუთხით?

ბავშვის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის პრაქტიკის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა მშობლების ინფორმაციული საჭიროებების დაკმაყოფილება და მათი პრობლემების გამოვლენა სისტემური, სტანდარტიზებული მიდგომით. აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მშობლების 94% ახსენებდა ერთ ან მეტ დაუკმაყოფილებელ საჭიროებას მშობლების სწავლების კუთხით. დადგენილია, რომ მშობლები, რომლებიც თვლიან, რომ მათი ინფორმაციული საჭიროებები დაკმაყოფილებულია, უფრო მეტად ახდენენ პოზიტიური მშობლობის პრაქტიკის დემონსტრირებას, ვიდრე ის მშობლები, რომელთა საჭიროებებიც დაკმაყოფილებული არ არის. უფრო მეტიც, როდესაც მშობლებს ეკითხებიან ბავშვის პრევენციული სამედიცინო მომსახურების ყველაზე ღირებული ასპექტის შესახებ, ისინი ასახელებენ გამაფრთხილებელ რეკომენდაციას და მშობლის განათლებას მათი შვილის პედიატრიული პროვაიდერის მხრიდან⁷³.

Brazelton გამაფრთხილებელი რეკომენდაციების სწავლებას აღწერს, როგორც პროცესს, რომლის დროსაც პედიატრიული მომსახურების მიმწოდებელი პროფესიონალი აფასებს პრობლემებს, რომლებთანაც უწევთ შეხება ბავშვსა და მისი ოჯახის წევრებს და იძლევა ბავშვის განვითარების დონის შესაბამის რჩევებს⁷⁴. იმისთვის, რომ გამაფრთხილებელი რჩევები იყოს ეფექტური, მათი მიწოდება უნდა მოხდეს დროულად (კერძოდ, კორექტულ ასაკში), შეესაბამებოდეს საზოგადოებას, სადაც ცხოვრობს ბავშვი და ოჯახი და იყოს ადეკვატური, რათა ოჯახმა მიიღოს ძირითადი რეკომენდაციები. აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას, სამედიცინო პერსონალი შეეხოს უსაფრთხოების მნიშვნელოვან თემებს, დაეხმაროს ოჯახს, მოაგვაროს ურთიერთობასთან დაკავშირებული პრობლემები, გაეცნოს საზოგადოებრივ სამსახურებს და ა. შ. ამისთვის

აუცილებელია სამედიცინო პროფესიონალმა მოახდინოს თემების პრიორეტიზაცია. ამერიკის პედიატრიის აკადემია რეკომენდაციას იძლევა, ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის თითოეულ ვიზიტზე შეირჩეს კონკრეტული ასაკისთვის სპეციფიკური და ეფექტური თემა, რომელზეც მშობლებს ჩაუტარდებათ სწავლება.

აღნიშნულის გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე:

- R26** 0-დან 6 წლამდე ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის რუტინული ვიზიტის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს მშობლისთვის გამაფრთხილებელი რეკომენდაციების მიწოდება კონკრეტული ასაკისთვის და ბავშვის განვითარების დონისთვის შესაბამის პრიორიტეტულ თემებზე.
- R27** მშობლებს უნდა მიეწოდოთ გამაფრთხილებელი ინფორმაცია ბავშვის კვების, ფიზიკური აქტივობის, განვითარების ხელშეწყობის, უსაფრთხოების, თამაშის მნიშვნელობის, საშიშროების ნიშნების ამოცნობის შესახებ და ა. შ. კონსულტირების სავარაუდო თემებია:
 - კონსულტირება ბავშვის კვებასა და ძუძუთი კვებაზე, დამატებით საკვებზე, ვიტამინი D-ს დამატებაზე, იოდის, D ვიტამინის, A ვიტამინის დეფიციტის განვითარების რისკის შესახებ;
 - კონსულტირება ბავშვის უსაფრთხოების საკითხებზე (უეცარი სიკვდილის სინდრომი - SIDS), ავტომობილით მგზავრობის, ბინაში უსაფრთხოების პირობებზე და ა. შ.
 - კონსულტირება განვითარების ხელშეწყობისა და ტიპური ქცევის, დისციპლინის, ფიზიკურ დასჯასა და ემოციურ ძალადობასთან დაკავშირებული რისკის და პრობლემების, შენჯღრეული ბავშვის სინდრომის (SHAKEN baby syndrome) შესახებ.

შეჯამებული სახით 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა პრევენციული სერვისების მინიმალური სტანდარტი იხილეთ დანართი N7 - ცხრილი N7.6.

0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა პრევენციულ სერვისებთან დაკავშირებული რეკომენდაციები	
R28	განხორციელეთ ახალშობილებისა და ბავშვების ჯანმრთელობის, ზრდის, ფიზიკური და მენტალური განვითარების სისტემური მეთვალყურეობა, მათ შორის, საჭიროებისამებრ სმენის, მხედველობის, ბარძაყის დისპლაზიის, სათესლეების ჩამოუსვლელილობის, განვითარების შეფერხების და აუტისტური სპექტრის დარღვევების, აგრეთვე, დედის პოსტნატალური დეპრესიის სკრინინგი.
R29	მხედველობის, სმენის, ბარძაყის დისპლაზიის და სათესლეების ჩამოუსვლელილობის სკრინინგის პროცედურების ჩატარების დეტალები იხილეთ დანართებში №1-4.
R30	რეკომენდებულია სმენასთან დაკავშირებული პრობლემების სკრინინგი, სულ მცირე, ერთხელ მაინც, სიცოცხლის პირველი წლის მანძილზე განხორციელებული მეთვალყურეობის ვიზიტების დროს (იხილეთ დანართი №2).
R31	18 თვის და 24 თვის ასაკში რეკომენდებულია აუტისტური სპექტრის დარღვევების სკრინინგი MCHAT ⁷⁵ ტესტის საშუალებით.
R32	რეკომენდებულია განვითარების რუტინული სკრინინგი (9 ან 12, 18 ან 24 და 30 ან 36 თვის ასაკში) შერჩეული ინსტრუმენტების საშუალებით (როგორცაა ASQ ან PEDS ან GMSD კითხვარები).
R33	რეკომენდებულია ბინაზე პატრონაჟის ვიზიტის განხორციელება სამშობიაროდან გამოწერის შემდეგ 14 დღის ვადაში, სანიტარულ-ჰიგიენური და სოციალურ-ეკონომიკური, უსაფრთხოების, დედის მხრივ საშიშროების ნიშნების, დედის დეპრესიის, ბოროტად მოპყრობისა და უზულებელყოფის ნიშნების და ახალშობილის ჯანმრთელობის მგომარეობის შეფასების მიზნით.
R34	ხელი შეუწყეთ იმუნიზაციის განხორციელებას პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით და იმუნიზაციის წახალისებას მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით. ჩაატარეთ ბავშვის გასინჯვა აცრამდე (სისტემური მეთვალყურეობის რეკომენდაციების შესაბამისად), დროულად დაადგინეთ და მართეთ ვაქცინაციის გვერდითი ეფექტები.

<p>R35</p>	<p>მიაწოდეთ მშობლებს გამაფრთხილებელი ინფორმაცია ბავშვის კვების, ფიზიკური აქტივობის, განვითარების ხელშეწყობის, უსაფრთხოების, თამაშის მნიშვნელობის, საშიშროების ნიშნების ამოცნობის შესახებ და ა. შ.</p> <ul style="list-style-type: none"> – კონსულტირება ბავშვის კვებასა და ძუძუთი კვებაზე, დამატებით საკვებზე, ვიტამინი D-ს დამატებაზე, იოდის, D ვიტამინის, A ვიტამინის დეფიციტის განვითარების რისკის შესახებ; – კონსულტირება ბავშვის უსაფრთხოების საკითხებზე (უცარი სიკვდილის სინდრომი - SIDS), ავტომობილით მგზავრობის, ბინაში უსაფრთხოების პირობებზე და ა. შ. – კონსულტირება განვითარების ხელშეწყობისა და ტიპური ქცევის, დისციპლინის, ფიზიკურ დასჯასა და ემოციურ ძალადობასთან დაკავშირებული რისკის და პრობლემების, შენჯღრეული ბავშვის სინდრომის (SHAKEN baby syndrome) შესახებ.
<p>R36</p>	<p>მშობლებსა და მომვლელებს მიაწოდეთ ინფორმაცია ბავშვის ზრდის, ფიზიკური, მენტალური და ემოციური განვითარების საჭიროებების შესახებ და უზრუნველყავით მხარდაჭერა. კერძოდ, განვითარებითი პრობლემის არსებობაზე საექვო ყველა შემთხვევა უნდა რეფერირდეს ბავშვის ადრეული ინტერვენციის პროგრამაში (ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა)⁷⁶.</p>
<p>R37</p>	<p>დროულად გამოავლინეთ ზრდისა და განვითარების სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და გააგზავნეთ შესაბამისი პროფილის სპეციალისტთან. განვითარების დარღვევის არსებობაზე დადებითი სკრინინგული პასუხის შემთხვევაში, ბავშვის განვითარებისა და სამედიცინო შეფასება უნდა მოხდეს კოორდინირებულად. განვითარების დარღვევის ყველა იდენტიფიცირებული შემთხვევა უნდა ჩაერთოს ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პროგრამაში.</p>
<p>R38</p>	<p>რეკომენდებულია მონაწილეობა მიიღოთ ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ყველა ოფიციალურ პრევენციულ-პრომოციულ პროგრამაში, რათა შეამციროთ იმ რისკ-ფაქტორების ზემოქმედება, რომელთაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ ბავშვის ჯანმრთელობაზე.</p>
<p>ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები</p>	
<p>R39</p>	<p>განვითარების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია დეტალური ანამნეზის შეგროვება, რომლის დროსაც ხდება მშობლის ჩვილის გამოვლენა, განვითარების ანამნეზის შეკრება და განვითარებაზე მოქმედი რისკის და ხელშეწყობი ფაქტორების დადგენა.</p>
<p>R40</p>	<p>ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, რეკომენდებულია მშობელს ჰკითხოთ, ხომ არ აქვს რაიმე ჩვილი ბავშვის ქცევის, მეტყველებისა, თუ მოძრაობის მიმართ, ხომ არ აქვს ბავშვს სწავლის პრობლემები, ხომ არ უჭირს ერთ დავალებაზე კონცენტრირება და სხვ.</p>
<p>R41</p>	<p>მშობლის ჩვილის გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ისეთი პრობლემა, რომელიც მეთვალყურეობის პროცესში ძნელი შესამჩნევია. ამავე დროს, თუ მშობელს არ აქვს ჩვილი, ეს არ გამორიცხავს განვითარების შეფერხების არსებობას. დადგენილია, რომ განვითარების შეფერხების/დარღვევის მქონე ბავშვთა მშობლების 20-25%-ს არ აქვს ჩვილი.</p>
<p>R42</p>	<p>ანამნეზის შეგროვების შემდეგ რეკომენდებულია ჩატარდეს ბავშვზე უშუალო დაკვირვება, რომლის დროსაც ფასდება განვითარების ცალკეული სფეროს (მოტორული, კოგნიტური, სოციალურ-ემოციური) ასაკის შესაბამისი ნიშანსვეტები, ამავე დროს უნდა შეფასდეს საშიშროების ნიშნები მეტყველების და ქცევის სფეროში.</p>
<p>R43</p>	<p>მნიშვნელოვანია მაჩვენებლების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი შეფასება. არა მარტო ის ფაქტი, აკეთებს თუ არა ბავშვი რომელიმე კონკრეტულ დავალებას, არამედ თუ როგორ აკეთებს მას.</p>
<p>R44</p>	<p>განვითარების ნიშანსვეტი ასახავს ასაკის შესაბამის მიღწევებს, იმ უნარ-ჩვევებს, რომელსაც ასრულებს მოცემულ ასაკის ბავშვთა პოპულაციის ნახევარი. ნიშანსვეტების შეფასებისას ხდება განსაზღვრა, ასრულებს თუ არა ბავშვი ამ უნარს. მაგ.: დამოუკიდებლად გადატრიალება,</p>

	წამოჯდომა, ღულუნი, პირველი დიმილი, სიტყვის წარმოთქმა. განვითარება შეიძლება ჩაითვალოს ნორმის შესაბამისად, თუ ბავშვი სათანადო ასაკში აღწევს შესაბამის ნიშანსვეტს განვითარების ყველა სფეროში (იხილეთ დანართი 7 - ცხრილი N7.7).
R45	რეკომენდებულია გაითვალისწინოთ, რომ ბავშვმა შესაძლებელია გამოტოვოს რომელიმე ეტაპი, მაგ: დადგეს და გაიაროს ცოცვის გარეშე. ბავშვის განვითარება ინდივიდუალური პროცესია და ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება რამდენადმე ჩამორჩეს ან წინ გაუსწროს ასაკს, რაც დამოკიდებულია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, სოციალურ გარემოზე, აღზრდისა და მოვლის პირობებზე და სხვ. ის ფაქტი, რომ ბავშვი ვერ ასრულებს ასაკის შესაბამის ნიშანსვეტს, ყოველთვის არ მიუთითებს განვითარების პრობლემაზე, შესაძლებელია იგი გამოწვეული იყოს აღზრდითი ხასიათის მიზეზებით.
R46	ბავშვზე უშუალო დაკვირვების დროს პირველ რიგში ფასდება ასაკობრივი ნიშანსვეტები ანუ ბავშვის ასაკის შესაბამისი მიღწევები. იმის მიხედვით თუ როგორ ასრულებს ბავშვი ასაკობრივ ნიშანსვეტებს, განსხვავებულია შემდგომი ქმედება.
R47	თუ ბავშვი ასრულებს ასაკობრივ ნიშანსვეტებს, მისი განვითარება შეესაბამება ასაკს და ის არ საჭიროებს დამატებით კვლევას. ამ დროს გრძელდება გეგმიური მეთვალყურეობა. ექიმმა უნდა მისცეს დედას რეკომენდაციები როგორ შეუწყოს ხელი განვითარებას.
R48	თუ ბავშვი ვერ ასრულებს ასაკობრივ ნიშანსვეტს და/ან აქვს 2 და მეტი რისკ-ფაქტორი და/ან გამოვლინდა მშობლის ჩივილი - რეკომენდებულია რიგგარეშე სკრინინგის ჩატარება, რათა გამოვლინდეს განვითარების გადახრის რისკის მქონე ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ ღრმა გამოკვლევას.
R49	დღენაკვლობის შემთხვევაში განვითარების შეფასება ტარდება კორეგირებული ასაკის მიხედვით.
R50	უკვე მიღწეული ნიშანსვეტების გაქრობა (დაკარგვა) ნებისმიერ სფეროში, წარმოადგენს ძალიან სერიოზულ საშიშროების ნიშანს და საჭიროებს დაუყოვნებელ რეფერალს.
R51	განვითარებაზე მეთვალყურეობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეტყველების შეფერხებისა და ქცევითი დარღვევების (აუტისტური სპექტრის დარღვევა) საშიშროების ნიშნებს.
განვითარების შეფერხების საშიშროების ნიშნები - მეტყველება (ექსპრესიული და რეცეფციული)	
R52	გაითვალისწინეთ მეტყველების განვითარების შეფერხების საშიშროება შემდეგ შემთხვევებში, თუ: <ul style="list-style-type: none"> – 2 თვის -არ იღიმება; – 3 თვის - არ რეაგირებს დედის გამოჩენაზე, არ იჩენს მისადმი ინტერესს; – 9 თვის - არ ამბობს მარცვლებს “ბა“, ან „მა“; – 15 თვის - არ ამბობს პირველ სიტყვას; – 18 თვის - გაცნობიერებულად არ იყენებს სიტყვებს; – 20 თვე - არ ასრულებს მარტივ დავალებას; – 2 წლის - არ იყენებს სიტყვების კომბინაციას; – 2 წლის - მშობლებისათვის რთულია ბავშვის საუბრის შინაარსის გაგება; – 3 წლის - უცხოთვის რთულია ბავშვის საუბრის შინაარსის გაგება; – 3 წლის - ვერ აჯგუფებს საგნებს ფერისა და ფორმის მიხედვით; – 5 წლის - ვერ იყენებს მარტივ გრამატიკულ წესებს (აწყობა და წარსული დრო და ა.შ).
აუტისტური სპექტრის დარღვევების საშიშროების ნიშნები (ქცევითი საშიშროების ნიშნები)	
R53	აუტისტური სპექტრის დარღვევის საშიშროების ნიშნებს მიეკუთვნება შემდეგი ნიშნები: <ul style="list-style-type: none"> – არ არის თვალი-თვალთან კონტაქტი; – არ რეაგირებს სახელზე 9-12 თვის ასაკში; – არ ტიტინებს 12 თვის ასაკისთვის; – არ არის შესტიკულაცია 14 თვის ასაკისთვის (მაგ. თითით მინიშნება, ხელის დაქნევა დასამშვიდობებლად); – არ არის არც ერთი სიტყვა 15 თვის ასაკისთვის;

	<ul style="list-style-type: none"> - 24 თვის ასაკისთვის არ თამაშობს წარმოსახვით თამაშებს (ვითომ აჭმევს ან აძინებს თოჯინას); - არ არის 2 სიტყვის კომბინაცია 2 წლის ასაკისთვის (ექოლალა - გაგონილი სიტყვებისა და ფრაზების გამეორება - არ მიიღება მხედველობაში); - მბრუნავ და მოტრიალე საგანზე მხედველობის დიდი ხნით ფოკუსირება; - ინტერესები ძალიან შეზღუდული; - უჩვეულოდ რეაგირებს ხმაზე, სუნზე, გემოზე ან სხვა შეგრძნებაზე; - მეტყველების ან სოციალური უნარის დაკარგვა ნებისმიერ ასაკში.
R54	საშიშროების ნიშნების აღმოჩენისთანავე რეკომენდებულია დაუყოვნებელი რეფერალი ინტერვენციულ სერვისში ჩასართავად და პარალელურად განვითარების ღრმა შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.
	აუტისტური სპექტრის დარღვევების ადრეულ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები
R55	<p>აუტიზმის ადრეული იდენტიფიკაცია მოითხოვს</p> <ul style="list-style-type: none"> - განვითარებაზე ზედამხედველობის დროს მეტყველების და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეფასებას; - აუტიზმის სკრინინგს.
R56	<p>აუტიზმზე სკრინინგი რეკომენდებულია ჩაუტარდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ყველა ბავშვს 18 ან/და 24 თვის ასაკში; - ნებისმიერი ასაკის ბავშვს იმ შემთხვევაში თუ ვლინდება აუტიზმისთვის დამახასიათებელი კლინიკური და ე.წ “საშიშროების ნიშნები” და/ან მშობლის ჩივილი. - სკრინინგი ტარდება სპეციალური კითხვარით (MCHAT)². მოცემული ტესტის სენსიტიურობა 95 %, ხოლო სპეციფიკურობა 99% შეადგენს (იხილეთ დანართი №5 და №6).
R57	აუტიზმისთვის დამახასიათებელი საშიშროების ნიშნების არსებობისას, მიზანშეწონილია სკრინინგის და/ან რეფერალის ჩატარება.
	იმუნიზაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები
R58	ყველა ბავშვს უნდა ჩაუტარდეს პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით სავალდებულო ვაქცინაცია (იხილეთ დანართი 7 ცხრილი №7.8).
R59	აცრის წინ ექიმი ვალდებულია შეამოწმოს ბავშვის აცრის სტატუსი, შეაფასოს ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა და გასცეს ნებართვა აცრის ჩატარების თაობაზე.

0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის ვიზიტების მოცულობა და შინაარსი

პირველი ვიზიტი - 2 კვირამდე - ექიმი ბინაზე, ექთანი ბინაზე

ანამნეზის შეგროვება	
პრენატალური ანამნეზი	<input type="checkbox"/> ორსულობის ჯერადობა <input type="checkbox"/> მიმდინარეობა <input type="checkbox"/> პრობლემები ორსულობის პერიოდში <input type="checkbox"/> ორსულზე მეთვალყურეობა <input type="checkbox"/> ჩატარებული მკურნალობა
ინტრანატალური ანამნეზი	<input type="checkbox"/> მშობიარობის ჯერადობა <input type="checkbox"/> მიმდინარეობა <input type="checkbox"/> გართულება

	<input type="checkbox"/> სამედიცინო ჩარევა
პოსტნატალური ანამნეზი	<input type="checkbox"/> სამშობიარო ბლოკში პირველი ადაპტაცია <input type="checkbox"/> დაბადების წონა და სიგრძე <input type="checkbox"/> დისადაპტაციური სინდრომების არსებობა <input type="checkbox"/> ახალშობილის წონა სამშობიაროდან გაწერისას <input type="checkbox"/> კვების ხასიათი, რეჟიმი, ტექნიკა
გასინჯვა	
ზოგადი მდგომარეობა	<input type="checkbox"/> სხეულის პოზა <input type="checkbox"/> კანი, ფერი <input type="checkbox"/> გამონაყრის არსებობა <input type="checkbox"/> ჭიპის ჭრილობის მდგომარეობა
გაზომვა და შესაბამის მრუდზე ბავშვის მაჩვენებლების აღნიშვნა	<input type="checkbox"/> წონა <input type="checkbox"/> სიგრძე <input type="checkbox"/> თავის გარშემოწერილობა
თვალები	<input type="checkbox"/> გამონადენის არსებობა <input type="checkbox"/> გუგების შეფასება, წითელი რეფლექსი
ძვალ-სახსროვანი და კუნთოვანი სისტემა	<input type="checkbox"/> თავის ფორმა <input type="checkbox"/> დიდი ყიფლიბანდი <input type="checkbox"/> კუნთთა ტონუსი <input type="checkbox"/> ბარლოუს და ორთოლანის ტესტი <input type="checkbox"/> ზურგის დათვლიერება დეფორმაციების გამოვლენის მიზნით
სასუნთქი და გულსისხლძარღვთა სისტემა	<input type="checkbox"/> ფილტვების აუსკულტაცია, სუნთქვის სიხშირე და რიტმი <input type="checkbox"/> გულის აუსკულტაცია, პულსის სიხშირე, ავსება და რიტმი
ნერვული სისტემა	<input type="checkbox"/> ახალშობილთა რეფლექსები <input type="checkbox"/> ცოცვის <input type="checkbox"/> წოვის <input type="checkbox"/> მოროს <input type="checkbox"/> ძიების <input type="checkbox"/> ტაცების <input type="checkbox"/> ავტომატური დგომის და სიარულის <input type="checkbox"/> ხელისგულ ნიკაპის ახალშობილთა რეფლექსები დეტალურად იხილეთ დანართი 7 - ცხრილი 7.9.
მუცლის ღრუს ორგანოები	<input type="checkbox"/> ნაწლავების პერისტალტიკა <input type="checkbox"/> მუცლის პალპაცია
გენიტალიები	<input type="checkbox"/> ორივე სათესლე ჯირკვალი სათესლე პარკში ჩამოსულია
დეფეკაცია და დიურეზი	<input type="checkbox"/> შარდვა/დეფეკაცია ცვლილებების გარეშე
ძუძუთი კვების ტექნიკა და ეფექტურობა	<input type="checkbox"/> სწორი <input type="checkbox"/> არასწორი
სკრინინგი	<input type="checkbox"/> სმენა (თუ ჯერ არ ჩატარებულა ყველა ახალშობილი უნდა გაიგზავნოს სმენის სკრინინგ-ტესტზე) <input type="checkbox"/> მხედველობა* (ინსტრუმენტული სკრინინგი სელექციურად ტარდება სკრინინგულ კითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში) <input type="checkbox"/> არტერიული წნევის სკრინინგი** სელექციურად სპეციფიკური რისკის ბავშვებში <input type="checkbox"/> მენჯ-ბარძაყის დისპლაზია
გარემო პირობების შეფასება	<input type="checkbox"/> ოჯახში თამბაქოს მწვეველების არსებობა <input type="checkbox"/> ძალადობის ნიშნები <input type="checkbox"/> მშობლების ან მომვლელის ემოციური სტატუსი (გადაღლა, ადელვება, დეპრესია)
იმუნიზაცია	<input type="checkbox"/> ამ ასაკში ბავშვს უნდა ჰქონდეს ჩატარებული B ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო BCG ვაქცინა

- უკიდურესად დღენაკლული ახალშობილი, თანდაყოლილი კატარაქტის, რეტინობლასტომის, მეტაბოლური ან გენეტიკური დაავადების ოჯახური ანამნეზი, განვითარების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ან ნევროლოგიური დეფიციტი, თვალის პათოლოგიასთან დაკავშირებული სისტემური დაავადებები. ასეთ შემთხვევაში ბავშვი იგზავნება ოფთალმოლოგთან

** სპეციფიკური რისკის შემთხვევაში სისხლის წნევა უნდა გაიზომოს ყველა ვიზიტზე 3 წლამდე ასაკში. რისკის ფაქტორებია: დღენაკლული, ძალიან მცირე წონა დაბადებისას ან სხვა ნეონატალური გართულება, რომელსაც დასჭირდა ინტენსიური თერაპია; გულის თანდაყოლილი დაავადება; საშარდე ტრაქტის მორეციდივე დაავადება, ჰემატურია, პროტეინურია; თირკმლის დადგენილი დაავადება ან უროლოგიური მალფორმაცია; თირკმლის დაავადების ოჯახური ანამნეზი; ორგანოების ტრანსპლანტაცია; ავთვისებიანი სიმსივნე ან ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია; წნევის ამწევი მედიკამენტებით მკურნალობა, ჰიპერტენზიასთან ასოცირებული სისტემური დაავადება (მაგ. ნეიროფიბრომატოზი, ტუბეროზული სკლეროზი); მომატებული ინტრაკრანიალური წნევა. წნევის გაზომვისთვის საჭირო იქნება სპეციალური ზომის მანჟეტის გამოყენება.

- **ექთანი** - სამშობიაროში ჩატარებული მეტაბოლური სკრინინგების და აცრების გადამოწმება, ანთროპომეტრია, ოჯახური გარემოს შეფასება, დედის კონსულტირება ამ ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე
- **ექიმი** - ანამნეზი, გასინჯვა, სკრინინგი, იმუნიზაცია, ამ ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე კონსულტირება, დედის დეპრესიის სკრინინგი (ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალა).
- **განვითარებაზე მეთვალყურეობა** - კვების დროს სიფხიზლის პერიოდის გაზრდა, ძილის პერიოდების თანდათანობით გახანგრძლივება -ლამით 4-5 საათი, მშვიდდება მშობლის ხმაზე, აქვს წოვის, ყლაპვის, პრიმიტიული რეფლექსები, მუცელზე წოლისას მცირე დროით წევს თავს მაღლა.
- **საშიშროების ნიშნები:** ცხელება, სუნთქვის გახშირება >60/წთ, გულმკერდის ჩადრეკა სუნთქვისას, შარდის გამოყოფის არარსებობა, საკვების მიღებაზე უარი, ლებინება, უჩვეულო ძილიანობა და შეფხიზლების სირთულე, კრუნჩხვა, ჩირქოვანი გამონადენი ჭიპიდან.
- **მშობლის კონსულტირების თემატიკა:**
 - ძუძუთი კვების სარგებლიანობა, კვების ტექნიკა და პრინციპები, პრობლემების პრევენცია;
 - თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზეა, მშობელს უნდა გაეწიოს კონსულტირება ხელოვნური კვების პრინციპების შესახებ (საკვების მომზადების ტექნიკა, ბავშვის კვების ტექნიკა, საათობრივი კვება);
 - განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური განვითარება, გლობალური განვითარება, ბავშვთან ურთიერთობა, “კოლდინგი” – ხელში დაჭერა, სწორი მიჯაჭვულობის ჩამოყალიბება მშობელთან);
 - ტირილი, მისი მიზეზები და მართვა;
 - ახალშობილის მოვლა (ჭიპის დამუშავება, კანის, თვალის, ყურის, ცხვირის ტუალეტი და სხვ.);
 - უსაფრთხოების წესები (ბავშვის საწოლის და ეტლის შერჩევა, გათბობის სისტემა, პოზიცია ძილის დროს, შენჯღრევასთან დაკავშირებული რისკები და სხვ.);
 - საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი;
 - დედის რეპროდუქციული ჯანმრთელობა.
- **მონაცემების დოკუმენტირება და შემდგომი ვიზიტის თარიღის განსაზღვრა**

მეორე ვიზიტი - 1 თვის ასაკში - ექთანი ბინაზე	
ანამნეზი	<input type="checkbox"/> მშობლის ჩივილი - სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემები <input type="checkbox"/> ოჯახური და სოციალური ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახში თამბაქოს მწვევლების არსებობა <input type="checkbox"/> ძალადობის ნიშნები <input type="checkbox"/> მშობლების ან მომვლელის ემოციური სტატუსი (გადაღლა, ადელვება, დეპრესია)
განვითარებაზე მეთვალყურეობა	<input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური - უყურებს მშობელს და ხანმოკლედ აყოლებს თვალს, აქვს თვითდამშვიდების ქცევა (მაგ: ხელის პირთან მიტანა), უყურებს საგნებს წამიერად, მშვიდდება ხელში აყვანისას <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - გამოსცემს მოკლე ხმოვან ბგერებს, მოულოდნელ ხმაზე აქვს მკვეთრი რეაქცია, მშვიდდება მშობლის ხმაზე, მგრძნობიარეა გარემოს მიმართ (ჭარბი ტირილი, ტრემორი, სხვადასხვა ხმიანობის ტირილი საჭიროების გამოსავლენად) <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - მუცელზე წოლისას ნიკაპს აცილებს ზედაპირს, ზედა და ქვედა კიდურების ერთდროული მოძრაობა <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - მშვიდ მდგომარეობაში ოდნავ გაშლილია მუჭი
სისტემების მიმოხილვა	<p>სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩივილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან:</p> <input type="checkbox"/> თავი (ფორმა), თვალი (გამონადენი), ცხვირი, ყური, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა და სხვ)
ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით	<input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (წონა - სიგრძის მრუდის ჩათვლით) გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს : <input type="checkbox"/> კანის გამონაყარი, დაზიანება, სისხლჩაქცევა, ფერი, ყიბლიბანდი, ქალას დეფორმაცია, თვალები/ქუთუთოები, ჭიპი; ხერხემალი/ ზურგი, პოზა, ტონუსი, მოძრაობის სიმეტრიულობა,
სკრინინგი	<p>უნივერსალური სკრინინგი:</p> <input type="checkbox"/> დედის დეპრესია <input type="checkbox"/> სმენის სიმახვილე - თუ ჯერ არ ჩატარებულა, აუცილებელია ჩატარდეს <input type="checkbox"/> ნეონატალური მეტაბოლური სკრინინგი - გადამოწმდეს ჩატარებულია თუ არა, თუ პასუხი დადებითია რეფერალი (მაგ.: ფენილკეტონურია და ა. შ.) <p>სელექციური სკრინინგი</p> <input type="checkbox"/> სპეციფიკური რისკის შემთხვევაში მხედველობის გამოკვლევაზე რეფერალი* (იხილეთ ზემოთ) <input type="checkbox"/> სისხლის წნევა (მაღლი რისკის ან რისკის ცვლილების შემთხვევაში)** (იხილეთ ზემოთ)
იმუნიზაცია	<input type="checkbox"/> ამ ასაკში ბავშვს უნდა ჰქონდეს ჩატარებული B ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო BCG ვაქცინა

განვითარების ნიშანსვეტები 1 თვის ასაკში	
უხეში მოტორიკა	<input type="checkbox"/> მუცელზე წოლისას ზემოთ წევს თავს რამდენიმე წამით <input type="checkbox"/> ზურგზე წოლისას ორივე მიმართულებით ატრიალებს თავს
ნატიფი მოტორიკა	<input type="checkbox"/> აფიქსირებს მზერას სახეზე და ცდილობს თვალის გაყოლებას
სოციალურ/ემოციური	<input type="checkbox"/> აქვს სპონტანური ღიმილი <input type="checkbox"/> გამოარჩევს დედის ხმას

კოგნიტური/მეტყველება	<input type="checkbox"/> კრთება ძლიერ ხმაურზე <input type="checkbox"/> გამოსცემს ტირილისგან განსხვავებულ ხმას
----------------------	--

ექთნის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები:

კვების შეფასება:

- * ტიპი - ბუნებრივი; ხელოვნური; შერეული;
- * გამოკითხვით - ძუძუთი კვების ჯერადობა, ხანგრძლივობა, ხელოვნური კვებისას - რაოდენობა, საკვების ტიპი,
- * დააკვირდით კვების ტენიკას - ძუძუზე მოჭიდება, პოზიცია, ხელოვნური კვების დროს ბოთლის პოზიცია
- * შეაფასეთ კვების ეფექტურობა - შარდვის სიხშირე, წონის ნამატი

მშობლის კონსულტირება:

- * მშობლის კონსულტირება პრიორიტეტულ 5 თემაზე
- * D ვიტამინის რეკომენდებული პრევენციული მიღება (ექიმთან შეთანხმებით 400სე დღეში)
- * კვების ტექნიკა და პრინციპები;
- * განვითარების ხელშეწყობა (ბავშვთან ურთიერთობა, თამაში);
- * ძილი;
- * უსაფრთხო გარემო; უეცარი სიკვდილის სინდრომის პრევენციული რჩევები;
- * საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი;
- * მომავალი იმუნიზაცია და მისი მნიშვნელობა ბავშვის ჯანმრთელობისთვის, შესაძლო გართულებები;
- * დედის რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

ვიზიტის პრიორიტეტული თემები:

- * პირველი რიგის პრიორიტეტი - ბავშვის მიმართ მშობლის ჩივილის გამოვლენა;
- * დამატებითი პრიორიტეტული თემები:
 - ჯანმრთელობის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები** (რისკები [საცხოვრებელი გარემო და პირობები, საკვების უსაფრთხოება, თამბაქოს მეორადი კვამლის ზემოქმედება, ოჯახური ძალადობა, დედის მიერ ალკოჰოლის ან სხვა ნივთიერებების გამოყენება]; ძლიერი და დამცავი ფაქტორები [ოჯახის მხარდაჭერა]);
 - მშობლებისა და ოჯახის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა** (დედის დეპრესია, ოჯახური ურთიერთობები);
 - ახალშობლის ქცევა და განვითარება** - ძილი და სეირნობა, მიჯაჭვულობა, მედია, თამაშის დრო, სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა;
 - კვების ზოგადი რეკომენდაციები** - კვების რეჟიმი, რჩევები ბუნებრივი და ხელოვნური კვების შესახებ;
 - უსაფრთხოება** - მანქანაში გამოსაყენებელი ბავშვის სავარძელი, უსაფრთხო ძილი, ჩამოვარდნის პრევენცია, გადაუდებელი დახმარება, პედიატრიული ძალადობრივი თავის ტრავმა (ბავშვის შენჯღრევის სინდრომი - shaken baby syndrome)
- მონაცემების დოკუმენტირება და შემდგომი ვიზიტის თარიღის განსაზღვრა.**

მესამე ვიზიტი 2 თვის ასაკში - პუდ ცენტრში-ექიმთან და ექთანთან პირისპირ	
ანამნეზი	<input type="checkbox"/> მშობლის ჩვილის გამოვლენა <input type="checkbox"/> განვლილი პერიოდის ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი
განვითარებაზე მეთვალყურეობა	<input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური - სოციალური, საპასუხო ღიმილი, წარმოთქვამს ბგერებს რათა გამოხატოს სიხარული ან გაბრაზება <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - ღუღუნებს, <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - მუცელზე წოლისას წევს თავს და გულმკერდს, იჭერს თავს როდესაც უჭირავთ ვერტიკალურ პოზიციაში <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - შლის და მუშტად კრავს ხელს, მიაქვს ხელები ერთმანეთთან ხანმოკლე დროით
სისტემების მიმოხილვა	სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩვილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: <input type="checkbox"/> თავი (ფორმა), თვალი (გამონადენი), ცხვირი, ყური, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა და სხვ)
მშობლის და ჩვილის ურთიერთობაზე დაკვირვება	<input type="checkbox"/> მშობლის რეაგირება ბავშვის მოთხოვნილებებზე და ქცევით მანიშნებლებზე <input type="checkbox"/> მშობლის ბავშვთან ურთიერთობა (ღიმილი, საუბარი, ხელში აყვანა და ა.შ) <input type="checkbox"/> დაკვირვება მშობლის გუნება განწყობაზე, ოჯახის წევრების მხრიდან მხარდაჭერაზე
ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით	<input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (წონა - სიგრძის მრუდის ჩათვლით) სრული საექიმო გასინჯვა: <input type="checkbox"/> გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს: კანის დაზიანებები, თავის ფორმა, ყიფლიბანდი , თვალები (გამონადენი, შემდგრევა, წითელი რეფლექსი), მზერის ფიქსაცია და თვალის გაყოლება; შუილი, ბარძაყის პულსი (შეადარეთ ზედა კიდურების პულსს); ტორტიკოლისი (თავის ან კისრის ასიმეტრიული პოზიცია, კისერმრუდობა) ნერევეული სისტემა- ტონუსი, ძალა, მოძრაობის სიმეტრიულობა <input type="checkbox"/> ჩაატრეთ: ორთოლანის და ბარლოუს მანევრი
სკრინინგი	<input type="checkbox"/> სმენა (თუ ჯერ არ ჩატარებულა ყველა ახალშობილი უნდა გაიგზავნოს სმენის სკრინინგ-ტესტზე) <input type="checkbox"/> მხედველობა* (სელექციურად ტარდება სკრინინგულ კითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში) <input type="checkbox"/> არტერიული წნევის სკრინინგი** სელექციურად სპეციფიკური რისკის ბავშვებში <input type="checkbox"/> ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი ჩატარებულია თუ არა , დადებითი პასუხის შემთხვევაში რეფერალი
იმუნოზაცია	ამ ასაკში უნდა ჩატარდეს ვაქცინაცია: <input type="checkbox"/> დყატ+ B ჰეპ+ჰიბ+იპვ (ჰექსა/DPaT+HepB+Hib+IPV) <input type="checkbox"/> პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (პნევმო/PCV) <input type="checkbox"/> როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (როტა/Rota)

- ექთანი** - ამ ასაკში რეკომენდებულია აცრის ჩატარება, აცრის ჩატარებამდე ტემპერატურის გაზომვა და ბავშვის ისტორიაში დოკუმენტირება, ანთროპომეტრია, დედის კონსულტირება ამ ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე

- ექიმი - ანამნეზი, გასინჯვა, სკრინინგი, იმუნიზაცია, ამ ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე კონსულტირება.
- მშობლის კონსულტირება ვიზიტის პრიორიტეტულ თემებზე:
 - * პირველი რიგის პრიორიტეტი - ბავშვის მიმართ მშობლის ჩვილის გამოვლენა და იმუნიზაციის ჩატარება;
 - * დამატებითი პრიორიტეტული თემები:
 - * ჯანმრთელობის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები ([რისკები: საცხოვრებელი გარემო, საკვების უსაფრთხოება და სხვ.]; ძლიერი და დამცავი ფაქტორები [ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვზე მზრუნველობა]);
 - * მშობლებისა და ოჯახის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (დედის დეპრესია, და-ძმის შეგუება);
 - * ჩვილის ქცევა და განვითარება (დედასა და შვილს შორის დამოკიდებულება და კომუნიკაცია, ძილი, მედია, თამაშის დრო, ჭირვეულობა);
 - * კვების ზოგადი რეკომენდაციები-შიშშილისა და მამღრობის ნიშნების ამოცნობა; ბუნებრივი და ხელოვნური კვების რეკომენდაციები; ნახევრადმყარი საკვების მიწოდების რეკომენდებული ვადა (6 თვიდან, არანაკლებ 4 თვე);
 - * გამოკითხეთ - ძუძუთი კვების ჯერადობა, ხანგრძლივობა, ხელოვნური კვებისას - რაოდენობა, საკვების ტიპი,
 - * დააკვირდით კვების ტექნიკას - ძუძუზე მოჭიდება, პოზიცია, ხელოვნური კვების დროს ბოთლის პოზიცია;
 - * შეაფასეთ კვების ეფექტურობა - შარდვის სიხშირე, წონის ნამატე;
 - * ლაქტაციის შენარჩუნების ძირითადი პრინციპები,
 - * უსაფრთხოება - მანქანაში გამოსაყენებელი ბავშვის სავარძელი, უსაფრთხო ძილი, უსაფრთხო გარემო ბინაში: დამწვრობის, დახრჩობის, გადმოვარდნის პრევენცია, პედიატრიული ძალადობრივი თავის ტრავმა (ბავშვის შენჯღრევის სინდრომი).
 - * განვითარების ხელშეწყობა;
 - * უსაფრთხო გარემო;
 - * საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.
 - * მომავალი იმუნიზაცია და მისი მნიშვნელობა ბავშვის ჯანმრთელობისთვის, შესაძლო გართულებები.

განვითარების ნიშანსვეტები 2 თვის ასაკში	
უხეში მოტორიკა	<input type="checkbox"/> მუცელზე წოლისას ზემოთ წევს თავს და მცირედ გულმკერდს <input type="checkbox"/> ხელში ვერტიკალურად დაჭერისას მცირე დროით იჭერს თავს
ნატიფი მოტორიკა	<input type="checkbox"/> აფიქსირებს მზერას სახეზე და აყოლებს თავს <input type="checkbox"/> აფიქსირებს მზერას საგანზე და აყოლებს თავს დიდ კაშკაშა ფერის საგანს
სოციალურ/ემოციური	<input type="checkbox"/> ვლინდება სოციალური, საპასუხო ღიმილი უფროსის ხმაზე
კოგნიტური/მეტყველება	<input type="checkbox"/> რეაგირებს ხმებსა და ხმაურზე <input type="checkbox"/> დულუნებს

განვითარების შეფერხების საშიშროების ნიშნები: გაითვალისწინეთ მეტყველების განვითარების შეფერხების საშიშროება თუ 2 თვის არ იღიმება.

მეოთხე ვიზიტი 3 თვის ასაკში - ამბულატორიაში ზოგადი პრაქტიკის ექთანთან	
ანამნეზი	<input type="checkbox"/> მშობლის ჩვილის გამოვლენა <input type="checkbox"/> განვლილი პერიოდის ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი
განვითარებაზე მეთვალყურეობა	<input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური - სოციალური, საპასუხო ღიმილი, წარმოთქვამს ბგერებს რათა გამოხატოს სიხარული ან გაბრაზება <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - ლუღუნებს, <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - მუცელზე წოლისას წევს თავს და გულმკერდს, იჭერს თავს როდესაც უჭირავთ ვერტიკალურ პოზიციაში <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - შლის და მუშტად კრავს ხელს, მიაქვს ხელები ერთმანეთთან ხანმოკლე დროით
სისტემების მიმოხილვა	სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩვილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: <input type="checkbox"/> თავი (ფორმა), თვალი (გამონადენი), ცხვირი, ყური, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა და სხვ)
მშობლის და ჩვილის ურთიერთობაზე დაკვირვება	<input type="checkbox"/> მშობლის რეაგირება ბავშვის მოთხოვნილებებზე და ქცევით მანიშნებლებზე <input type="checkbox"/> მშობლის ბავშვთან ურთიერთობა (ღიმილი, საუბარი, ხელში აყვანა და ა.შ) <input type="checkbox"/> დაკვირვება მშობლის გუნება განწყობაზე, ოჯახის წევრების მხრიდან მხარდაჭერაზე
ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით	<input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (წონა - სიგრძის მრუდის ჩათვლით)
იმუნიზაცია	ამ ასაკში უნდა ჩატარდეს ვაქცინაცია: <input type="checkbox"/> დეატ+ B ჰეპ +ჰიბ+იპვ (ჰექსა/DPaT+HepB+Hib+IPV) <input type="checkbox"/> როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (როტა/Rota)

განვითარების ნიშანსვეტები 3 თვის ასაკში	
უხეში მოტორიკა	× მუცელზე წოლისას ეყრდნობა წინამხარს და კარგად იჭერს თავს
ნატიფი მოტორიკა	× თვალს აყოლებს საგანს × ზოგჯერ შლის მუშტებს და ათვალეერებს თითებს × იწყებს ხელების პირში ჩადებას × თვალს აყოლებს ადამიანს, რომელიც მოძრაობს ოთახში
სოციალურ/ემოციური	× სახის გამომეტყველებით გამოხატავს უკმაყოფილებას
კოგნიტური/მეტყველება	× ეპოტინება მშობლის სახეს × ზურგზე წოლისას აყოლებს თვალს წრიულად მოძრავ საგანს × წარმოთქვამს ბგერებს × რეაგირებს მუსიკაზე × რეაგირებს საუბარზე

რეკომენდაციები ზოგადი პრაქტიკის ექთნისთვის:

- შეამოწმეთ მზერის ფიქსაციისა და ფართო დიაპაზონში (90-180°) საგნებისთვის ან სინათლისთვის თვალის გაყოლების უნარი
- გასინჯეთ გუგა (ფორმა, რეაქცია სინათლეზე)
- ჩაატარეთ იმუნიზაცია აცრის კალენდრის მიხედვით, რასაც წინ უსწრებს ანამნეზის შეგროვება, განვითარების მონიტორინგი, სრული გასინჯვა, კონსულტირება. იმუნიზაციის ჩატარებამდე აუცილებელია ტემპერატურის გასინჯვა და დაფიქსირება ბავშვის განვითარების ისტორიაში.
- დააფიქსირეთ ბავშვის გასინჯვის შედეგად გამოვლენილი პრობლემები
- ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში მოახდინეთ რეფერალი ოჯახის ექიმთან.
- ესაუბრეთ მშობელს შემდეგ თემებზე:
 - × ლაქტაციის შენარჩუნების ძირითადი პრინციპები;
 - × D ვიტამინის რეკომენდებული პრევენციული მიღება;
 - × განვითარების ხელშეწყობა;
 - × უსაფრთხოება, ზურგზე წოლის სარგებლიანობა და შენჯღრევით გამოწვეული დაზიანებები;
 - × მანქანაში გამოსაყენებელი ბავშვის სავარძელი, უსაფრთხო ძილი, უსაფრთხო გარემო ბინაში: დამწვრობის, დახრჩობის, გადმოვარდნის პრევენცია,
 - × საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.
 - × მომავალი იმუნიზაცია და მისი მნიშვნელობა ბავშვის ჯანმრთელობისთვის, შესაძლო გართულებები.
- გაითვალისწინეთ მეტყველების განვითარების შეფერხების საშიშროება, თუ 3 თვის - არ რეაგირებს დედის გამოჩენაზე, არ იჩენს მისადმი ინტერესს.

მე-5 ვიზიტი 4 თვის ასაკში - ექიმთან პჯდ კლინიკაში	
ანამნეზი	<input type="checkbox"/> მშობლის ჩივილის გამოვლენა - სამედიცინო, სოციალური, ფსიქოლოგიური პრობლემები <input type="checkbox"/> განვლილი პერიოდის ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი
განვითარებაზე მეთვალყურეობა	<input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური - იცინის ხმამაღლა, უყურებს დედას ან მზრუნველს როდესაც ნაწყენია <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - აბრუნებს თავს ბგერების მიმართულებით, ღულუნებს <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - მუცელზე წოლისას ეყრდნობა იდაყვებს და მტევნებს, ბრუნდება მუცლიდან ზურგზე <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - აჩერებს მტევნებს გაშლილ მდგომარეობაში; თამაშობს თითებით სხეულის შუა ხაზზე, იტაცებს ხელთან მიტანილ სათამაშოს.
სისტემების მიმოხილვა	<input type="checkbox"/> სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩივილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: <input type="checkbox"/> თავი (ფორმა), თვალი (გამონადენი), ცხვირი, ყური, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა და სხვ)
მშობლის და ჩვილის ურთიერთობაზე დაკვირვება	<input type="checkbox"/> მშობლის რეაგირება ბავშვის მოთხოვნილებებზე და ქცევით მანიშნებლებზე <input type="checkbox"/> მშობლის ბავშვთან ურთიერთობა (ღიმილი, საუბარი, ხელში აყვანა და ა.შ) <input type="checkbox"/> ჩვილის საპასუხო რეაქცია

	<input type="checkbox"/> მტირალი ჩვილის დამშვიდება
ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით	<input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (წონა - სიგრძის მრუდის ჩათვლით) <input type="checkbox"/> სრული საექიმო გასინჯვა; <input type="checkbox"/> გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს : <ul style="list-style-type: none"> × კანის დაზიანებები, გამონაყარი, სისხლნაჟღერებები, თავის ფორმა და დეფორმაციები, ყიფლიბანდები, თვალები (გამონადენი, გუგის შემღვრევა, წითელი რეფლექსი, მხედველობის სიმახვილის შეფასება მზერის ფიქსაცია/თვალის გაყოლების მეშვეობით; შუილი, ბარძაყის პულსი; × გულისა და ფილტვების აუსკულტაცია; × მენჯ-ბარძაყის დისპლაზიის ნიშნების გამოვლენა - ქვემო კიდურების განსხვავებული სიგრძის, ბარძაყის ნაკეცების ასიმეტრიის და შესაბამისი განზიდვის საფუძველზე; × ნერვული სისტემა, ტონუსი, ძალა, მოძრაობის სიმეტრიულობა, ახალშობილთა პრიმიტიული რეფლექსების განლევა/გაქრობა
სკრინინგი	<p>უნივერსალური:</p> <input type="checkbox"/> დედის დეპრესიის სკრინინგი <p>სელექციური:</p> <input type="checkbox"/> ანემიის სკრინინგი ჰემოგლობინის ან ჰემატოკრიტის განსაზღვრით; <input type="checkbox"/> არტერიული წნევა; <input type="checkbox"/> სმენის სკრინინგი; <input type="checkbox"/> მხედველობის სკრინინგი. <input type="checkbox"/> რეფერალი დადებითი სკრინინგის შემთხვევაში
იმუნოზაცია	<p>ამ ასაკში უნდა ჩატარდეს ვაქცინაცია:</p> <input type="checkbox"/> დეკატ+ B ჰეპ +ჰიბ+იპვ (ჰეპსა/DPaT+HepB+Hib+IPV) <input type="checkbox"/> პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (პნევმო/PCV)

რეკომენდაციები ოჯახის ექიმისთვის:

- შემოწმეთ მზერის ფიქსაციისა და ფართო დიაპაზონში (90-180°) საგნებისთვის ან სინათლისთვის თვალის გაყოლების უნარი;
- გასინჯეთ გუგა (ფორმა, რეაქცია სინათლეზე);
- ოფთალმოსკოპით შემოწმეთ წითელი რეფლექსი;
- ჩაატარეთ სიელმის დადგენა დაფარვის ტესტით;
- ჩაატარეთ სმენასთან დაკავშირებული პრობლემების სკრინინგი: 3-4 თვის ასაკში დედის ხმაზე ბავშვი უნდა დაწყნარდეს ან გაიღიმოს მაშინაც კი, როცა ვერ ხედავს. გვერდიდან ან უკნიდან დალაპარაკებისას უნდა შემოატრიალოს თავი ან თვალები.
- მიაქციეთ ყურადღება მხედველობითი და სმენითი გამლიზინებლისადმი საპასუხო რეაქციას
- შეაფასეთ საშიშროების ნიშნები
- შეაფასეთ ანთროპომეტრული მონაცემები (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) დაიტანეთ მრუდებზე და შეაფასეთ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წონის ნამატს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს კვების ეფექტურობა.
- ჩაატარეთ ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი - ბარლოუს და ორთოლანის ტესტი
- ჩაატარეთ ამ ასაკისთვის რეკომენდებული იმუნოზაცია. იმუნოზაციის ჩატარებამდე აუცილებელია ტემპერატურის გასინჯვა და დაფიქსირება ბავშვის განვითარების ისტორიაში.
- ჩაატარეთ მშობლის კონსულტირება ვიზიტის პრიორიტეტულ თემებზე.
- გააგრძელეთ D ვიტამინის რეკომენდებული პრევენციული მიღება
- დააფიქსირეთ ბავშვის გასინჯვის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:
 - × ჯანმრთელი, განვითარება ასაკის შესაბამისი
 - × ვლინდება ჯანმრთელობის პრობლემა (დაკონკრეტდეს)
 - × ვლინდება ფიზიკური განვითარების პრობლემა (დაკონკრეტდეს)
 - × ვლინდება გლობალური განვითარების პრობლემა - დაკონკრეტდეს

- ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში მოახდინეთ რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან.

რეკომენდაციები ზოგადი პრაქტიკის ექთნისთვის:

- ესაუბრეთ მშობელს შემდეგ თემებზე:
 - × ლაქტაციის შენარჩუნების ძირითადი პრინციპები;
 - × განვითარების ხელშეწყობა - თამაში, კითხვა, ხელში დაკავება;
 - × უსაფრთხო გარემო და დაზიანებების პრევენცია;
 - × სათამაშოს შერჩევა;
 - × დამატებითი კვების მნიშვნელობა, დანიშვნის ვადები. საკვების სახეობა, დამატებითი კვების ტექნიკა;
 - × საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.
 - × მომავალი იმუნიზაცია და მისი მნიშვნელობა ბავშვის ჯანმრთელობისთვის, შესაძლო გართულებები;
 - × კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული პრობლემები: გამლიერებული ნერწყვდენა, ჭირვეულობის მატება.

განვითარების ნიშანსვეტები 4 თვის ასაკში	
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × მუცელზე წოლისას ეყრდნობა მტევნებს, წევს გულმკერდს; × იწყებს მუცლიდან ზურგზე გადაბრუნებას; × ხელის მოკიდების და წამოჯდომის მცდელობისას თავი არ უვარდება უკან.
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × ცდილობს მიწვედეს სათამაშოს ორივე ხელით; × ხელთან მიტანილ სათამაშოს სტაცებს და მიაქვს პირთან; × ხელისგულები უპირატესად გაშლილია; × თამაშობს საჟღარუნოთი; × კვების დროს მცირე ხნით კიდებს ხელს ძუძუს ან ბოთლს.
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × ხმამაღლა იცინის თამაშის დროს, × წყვეტს ტირილს მშობლის ხმაზე.
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × ათვალერებს გარემოს; × იწყებს ნაცნობი ადამიანების განსხვავებას უცხოებისგან; × აბრუნებს თავს ბგერების მიმართულებით.

ორი ვიზიტი 6-9 თვის ასაკში - ოჯახის ექიმთან დისტანციურად	
ანამნეზი	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მშობლის ჩივილის გამოვლენა - სამედიცინო, სოციალური, ფსიქოლოგიური პრობლემები <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახში თამბაქოს მწვევლების არსებობა <input type="checkbox"/> ძალადობის ნიშნები <input type="checkbox"/> მშობლების ან მომვლელის ემოციური სტატუსი (გადაღლა, აღელვება, დეპრესია), წინა ვიზიტის შემდგომ ინტერვალში მომხდარი ახალი გარემოებანი ოჯახში - სტრესი, ავადმყოფობა
განვითარებაზე მეთვალყურეობა	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური - უყურებს ან უღიმის საკუთარ გამოსახულებას, იხედება სახელის დამახებისას. <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - გამოთქვამს მარცვლებს „გა“, „ბა“, „მა“

	<input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - ტრიალდება ზურგიდან მუცელზე, წამიერად ჯდება დამოუკიდებლად <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - გადააქვს სათამაშო ერთი ხელიდან მეორეში, მცირე ზომის საგნებს ზედაპირს ურტყამს.
სისტემების მიმოხილვა	სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩვილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: <input type="checkbox"/> თავი (ფორმა), თვალი (გამონადენი, სიელმე), ცხვირი, ყურები, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება, ჭიპის ფორმა), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა და სხვა ნებისმიერი ჩვილი განვითარების საკითხებზე)
მშობლის და ჩვილის ურთიერთობაზე დაკვირვება	<input type="checkbox"/> მშობლის რეაგირება ბავშვის მოთხოვნილებებზე და ქცევით მანიშნებლებზე და ბავშვის საპასუხო რეაქცია; <input type="checkbox"/> მშობლის თავდაჯერებულობა ბავშვთან ურთიერთობისას. <input type="checkbox"/> ბავშვის/მშობლის ურთიერთობა <input type="checkbox"/> ოჯახური მხარდაჭერა
ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით	<input type="checkbox"/> ანთროპომეტრია თუ მშობელმა იცის სასწორის გამოყენება (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (წონა - სიგრძის მრუდის ჩათვლით) <input type="checkbox"/> დისტანციური შეფასება: <input type="checkbox"/> განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს : <input type="checkbox"/> კანის დაზიანებები, გამონაყარი, სისხლნაქუნთები, თავის ფორმა და დეფორმაციები, ყიფლიანდები, თვალელები
სკრინინგი	უნივერსალური: <input type="checkbox"/> დედის დეპრესიის სკრინინგი სელექციური: <input type="checkbox"/> მხედველობა (სპეციფიკური რისკის შემთხვევაში) <input type="checkbox"/> სისხლის წნევა მაღლი რისკის ან რისკის ცვლილების შემთხვევაში <input type="checkbox"/> სმენის სკრინინგი, თუ ჩატარებული არ არის <input type="checkbox"/> რეფერალი დადებითი სკრინინგის შემთხვევაში
იმუნიზაცია	ამ ასაკში უკვე ჩატარებული უნდა ჰქონდეს: <input type="checkbox"/> BCG და ჰეპატიტი B - სამშობიაროში <input type="checkbox"/> ჰიბ+დფტ+ჰეპ B +იპვ - 3 დოზა(2,3,4 თვე) <input type="checkbox"/> პკვ - 2 დოზა (2,4 თვე) <input type="checkbox"/> როტა - 2 დოზა (2,3 თვე)
კონსულტირება/გამაფრთხილებელი რეკომენდაციები	<input type="checkbox"/> განვითარების ხელშეწყობა <input type="checkbox"/> უსაფრთხო გარემო <input type="checkbox"/> სათამაშოს შერჩევა <input type="checkbox"/> სხვადასხვა საკვების დანიშვნის ვადები, დამატებითი კვების ტექნიკა <input type="checkbox"/> კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული პრობლემები <input type="checkbox"/> პირის ღრუს ჰიგიენა <input type="checkbox"/> საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი. <input type="checkbox"/> D ვიტამინის რეკომენდებული პრევენციული მიღება <input type="checkbox"/> რკინის პრევენციული დოზირება ექსკლუზიური ბუნებრივი კვების დროს

რეკომენდაციები ექიმს:

- **ვიზიტები წარმოებს დისტანციურად, ვიდეოზარის მეშვეობით:** კონსულტაციისთვის გამოიყენეთ კარგად განათებული ოთახი და სთხოვეთ პაციენტს, მანაც უზრუნველყოს კარგი განათება. კონსულტაციის დაწყებამდე შეამოწმეთ ვიდეოზარის ტექნიკური ხარისხი. თან იქონიეთ ბავშვის სამედიცინო ისტორია მონაცემების დასაფიქსირებლად.
- გაითვალისწინეთ დისტანციური კონსულტაციის შესაძლებლობების შეზღუდვები: რამდენად საკმარისია ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს კლინიკური გადაწყვეტილების მიღება, ან ხომ არ არის პირისპირ გამოკვლევისა და/ან შეფასების საჭიროება.

- დისტანციური გასინჯვით შეიძლება შეფასდეს საშიშროების ზოგადი ნიშნები (ე.წ. წითელი დროშის ნიშნები), მხედველობა, მობილობა, კუნთების ძალა, გარეგნული ცვლილებები და მოვისმინოთ ბავშვის ხველა.
- კუნთთა ტონუსისა და ძალის დისტანციური შეფასების დააკვირდით ქვემო კიდურებზე ნაკეცების სიმეტრიულობას, კიდურების მოძრაობას;
- მხედველობის შეფასებისთვის ასევე დაგჭირდება მშობლის ან მომვლელის დახმარება, რათა ბავშვის თვალები მოექცეს ვიდეოკამერის ფოკუსში. ამ გზით შესაძლებელი იქნება გუგების და თვალების მოძრაობის სიფართის შეფასება.
- ბავშვს/მშობელს შეიძლება ვასწავლოთ გარკვეული ფიზიკური პარამეტრების გასინჯვა, მაგალითად, აწონვა, სიგრძისა და თავის გარშემოწერილობის გაზომვა, პულსის, სუნთქვის სიხშირის დათვლა ან სხეულის კონკრეტული ნაწილის ფოტოს გადაღება და გაზიარება (როგორც წესი, ფოტოზე გამოსახულების ხარისხი, ვიდეოსთან შედარებით, უფრო მაღალია).
- **განვითარების მონიტორინგი:** გამოავლინეთ მშობლის ჩივილი განვითარების საკითხებში და დაუკვირდით ასაკობრივ ნიშანსვეტებს.

განვითარების ნიშანსვეტები	6 თვის	7 თვის	8 თვის
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × მცირე ხნით ჩერდება დამჯდარ მდგომარეობაში ხელებზე ყრდნობით × მუცელზე წოლისას ზედაპირს ეხება მხოლოდ მუცლით, კიდურები მცირე ხნით სცილდება მყარ ზედაპირს 	<ul style="list-style-type: none"> × ზის მყარად, ეყრდნობა განზე დადებულ ხელებს × ბუქნაობს ვერტიკალურად დაჭერისას 	<ul style="list-style-type: none"> × ჯდება დამოუკიდებლად × მთელი სხულით ეხება იატაკს, მუცელზე ხოხავს
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × ერთი ხელით იღებს სათამაშოს და გადააქვს ხელიდან ხელში × კვებისას ორივე ხელს ათავსებს ძუძუზე ან ბოთლზე 	<ul style="list-style-type: none"> × ათვალიერებს და ხელიდან ხელში გადააქვს საგანი 	<ul style="list-style-type: none"> × ურტყამს სათამაშოს საგნის ზედაპირს ჩვენების შემდეგ × ამოქვს კუბი ჭიქიდან × შეუძლია საგნის მაკრატელისებურად დაჭერა 4 თითით და ცერით
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × უცხოებს - გამოარჩევს უცხო ადამიანს ნაცნობისგან × გამოხატავს სიხარულს თამაშის დროს 	<ul style="list-style-type: none"> × ხმით გამოხატავს სიხარულს ან უკმაყოფილებას, × უცხოებს, × გამოხატავს სიხარულს თამაშის დროს 	<ul style="list-style-type: none"> × გამოხატავს და აგრძნობინებს მშობელს თავის ემოციებს × თვალს აყოლებს მშობლის მზერას
კოგნიტიური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × ხმით გამოხატავს სიხარულს ან უკმაყოფილებას × ურტყამს სათამაშოს და ანჯღრევს მას × უყურებს მოსაუბრეს × უღიმის და სარკეში თავის გამოსახულებას ესაუბრება × იწყებს თანხმოვნების გამეორებას 	<ul style="list-style-type: none"> × პოულობს ნაწილობრივ დამალულ საგანს × უყურებს მოსაუბრეს × უყურებს დასახელებულ ნაცნობს საგანს × წარმოთქვამს მარცვლებს 	<ul style="list-style-type: none"> × ეძებს იატაკზე უხმაუროდ დავარდნილ საგანს × მზერით შეხედავს ოჯახის წევრს, როდესაც ეკითხებიან „სად არის დედა, მამა?“ × ამბობს 2 ერთნაირ მარცვალს ერთად „და-და, მა-მა“ არასპეციფიურად × ბამავს ხმებს

- დააფიქსირეთ ბავშვის გასინჯვის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:
 - × ჯანმრთელი, განვითარება ასაკის შესაბამისი
 - × ვლინდება ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარების ან გლობალური განვითარების პრობლემა (დაკონკრეტდეს)
 - × ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში მოახდინეთ რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან ან დაიბარეთ პირისპირ გასინჯვისთვის.

ვიზიტი 9 თვის ასაკში - დისტანციურად ოჯახის ექიმთან

<p>ანამნეზი</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მშობლის ჩვილის გამოვლენა - სამედიცინო, სოციალური, ფსიქოლოგიური პრობლემები <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახში თამბაქოს მწეველების არსებობა <input type="checkbox"/> ძალადობის ნიშნები <input type="checkbox"/> მშობლების ან მომვლელის ემოციური სტატუსი (გადაღლა, აღლევა, დეპრესია), წინა ვიზიტის შემდგომ ინტერვალში მომხდარი ახალი გარემოებანი ოჯახში - სტრესი, ავადმყოფობა
<p>განვითარებაზე მეთვალყურეობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური - ხმარობს ელემენტარულ ქესტიკულაციას (მაგ.: ხელების აწევა ხელში აყვანის მანიშნებლად ან ხელის დაქნევა დამშვიდობების მიზნით); თვალს აყოლებს ძირს დავარდნილ საგნებს; თამაშობს „ჭიტას“ და უკრავს ტაშს; რეაგირებს საკუთარ სახელზე. <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - წარმოთქვამს და-და-ს ან მა-მა-ს არამიზანმიმართულად; ათვალერებს ირგვლივ კითხვაზე: „სად არის შენი ბოთლი, ან სათამაშო?“ ცდილობს მოზრდილის ბგერების გამეორებას <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - ჯდება სხვისი დახმარების გარეშე; ცდილობს წამოდგომას; ადვილად გადადის მჯდომარე მდგომარეობიდან მწოლიარეში და პირიქით; ცოცავს ხელებსა და მუხლებზე დაყრდნობით. <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - იღებს საჭმელს და ჭამს, მცირე ზომის ნივთებს იჭერს 3 თითით და ცერით; მიზანმიმართულად მიიწევს საგნებისკენ; ურტყამს საგნებს ერთმანეთს.
<p>სისტემების მიმოხილვა</p>	<p>სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩვილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> თავი (ფორმა), თვალი (გამონადენი, სიელმე), ცხვირი, ყურები, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება, ჭიპის ფორმა), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა და სხვა ნებისმიერი ჩვილი განვითარების საკითხებზე)
<p>მშობლის და ჩვილის ურთიერთობაზე დაკვირვება</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მშობლის მიერ ბავშვის განვითარების სტიმულაცია თამაშით და საუბრის გზით, <input type="checkbox"/> უსაფრთხო გარემოში მოძრაობის საშუალება გარემოს შესწავლის მიზნით, <input type="checkbox"/> მშობლის საპასუხო რეაქცია ბავშვის დამოუკიდებელ ქცევაზე / გადაადგილებაზე უსაფრთხო გარემოში <input type="checkbox"/> მშობლის მოლოდინი ბავშვის განვითარების საკითხებზე
<p>ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (წონა - სიგრძის მრუდის ჩათვლით) თუ მშობელს აქვს ბინაზე შესაბამისი აღჭურვილობა და გაზომვას ატარებს თქვენი დისტანციური მეთვალყურეობის ქვეშ <input type="checkbox"/> დისტანციური შეფასება: <input type="checkbox"/> განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს: თავის ფორმა, თავის პოზიციით განპირობებული დეფორმაცია, თვალები (თვალის კაკლის მოძრაობის სიფართე, გუგები) <input type="checkbox"/> ნერვული სისტემა - ტონუსი, მოძრაობის ძალა და სიმეტრიულობა.
<p>სკრინინგი</p>	<p>უნივერსალური სკრინინგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> განვითარების სკრინინგი <input type="checkbox"/> პირის ღრუს ჯანმრთელობის რისკის შეფასება (ფტორის შემცველი მედიკამენტის დანიშვნის გადაწყვეტილების მიღება) <p>სელექციური სკრინინგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> არტერიული წნევა; <input type="checkbox"/> სმენის სკრინინგი; <input type="checkbox"/> ტყვიის სკრინინგი; <input type="checkbox"/> პირის ღრუს ჯანმრთელობა <input type="checkbox"/> მხედველობის სკრინინგი.
<p>იმუნოზაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ბავშვის აცრების სტატუსის გადამოწმება

ვიზიტი წარმოებს დისტანციურად, ვიდეოზარის მეშვეობით: კონსულტაციისთვის გამოიყენეთ კარგად განათებული ოთახი და სთხოვეთ პაციენტს, მანაც უზრუნველყოს კარგი განათება. კონსულტაციის დაწყებამდე შეამოწმეთ ვიდეოზარის ტექნიკური ხარისხი. თან იქონიეთ ბავშვის სამედიცინო ისტორია მონაცემების დასაფიქსირებლად.

- გაითვალისწინეთ დისტანციური კონსულტაციის შესაძლებლობების შეზღუდვები: რამდენად საკმარისია ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს კლინიკური გადაწყვეტილების მიღება, ან ხომ არ არის პირისპირ გამოკვლევისა და/ან შეფასების საჭიროება.
- დისტანციური გასინჯვით შეიძლება შეფასდეს სამიშროების ზოგადი ნიშნები (ე.წ. წითელი დროშის ნიშნები), მობილობა, გარეგნული ცვლილებები და მოვისმინოთ ბავშვის ხველის ხასიათი
- დისტანციური შეფასებისას დააკვირდით ქვემო კიდურებზე ნაკვეცების სიმეტრიულობას, კიდურების მოძრაობას;
- ბავშვს/მშობელს შეიძლება ვასწავლოთ გარკვეული ფიზიკური პარამეტრების გასინჯვა, მაგალითად, აწონვა, სიგრძისა და თავის გარშემოწერილობის გაზომვა, პულსის, სუნთქვის სიხშირის დათვლა ან სხეულის კონკრეტული ნაწილის ფოტოს გადაღება და გაზიარება (როგორც წესი, ფოტოზე გამოსახულების ხარისხი, ვიდეოსთან შედარებით, უფრო მაღალია).
- განვითარების მონიტორინგი: გამოავლინეთ მშობლის ჩვილი განვითარების საკითხებში და დაუკვირდით ასაკობრივ ნიშანსვეტებს. **9 თვე და 0 დღიდან 10 თვე და 30 დღის ჩათვლით განვითარების სკრინინგი ტარდება ასაკისა და ეტაპების კითხვარი (ASQ-3):** <https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/04/26/98d870cbe75812c546cb79ec49264dcf.pdf>

განვითარების ნიშანსვეტები 9 თვის ასაკში	
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × იწყებს ხოხვას კიდურებზე ყრდნობით, მუცელს აშორებს იატაკს × ეჭიდება საგანს და ცდილობს ადგომას
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × ამოაქვს სათამაშო ყუთიდან × ურტყამს 2 სათამაშოს (კუბს) ერთმანეთს × უჭირავს სათამაშო 2 თითით და ცერით
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × ცნობს ნაცნობ ადამიანებს × აქვს განშორების შფოთვა × ცდილობს ხმით ყურადღების მიპყრობას
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × ქაჩავს ზონარს, რომელზეც მიბმულია სათამაშო, რათა მიწვდეს მას × კარგად რეაგირებს სახელზე × ამბობს გადაბმულად ორ მარცვალს: „მა-მა“, „ბა-ბა“

განვითარების საშიროების ნიშნები 6-9 თვის ასაკში:

6 თვის

- არ ცდილობს მიწვდეს სათამაშოს, რომელიც მისი მხედველობის არეშია
- არ ამჟღავნებს მიჯაჭვულობას მშობლისადმი
- არ რეაგირებს ხმაზე

9 თვის

- არ ამბობს მარცვლებს „ბა“, ან „მა“;
- არ რეაგირებს სახელზე
- ვერ დგას მყარად ორივე ფეხზე თუ ბალანსირებისთვის ორივე ხელით უჭირავთ
- ვერ გადააქვს სათამაშო ერთი ხელიდან მეორეში

დააფიქსირეთ ბავშვის გასინჯვის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:

- × ჯანმრთელი, განვითარება ასაკის შესაბამისი
- × ვლინდება ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარების ან გლობალური განვითარების პრობლემა (დაკონკრეტდეს)
- × ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში მოახდინეთ რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან ან დაიბარეთ პირისპირ გასინჯვისთვის.

ვიზიტი 12 თვის ასაკში პუდ კლინიკაში - ოჯახის ექიმთან და ზოგადი პრაქტიკის ექიმთან

<p>ანამნეზი</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მშობლის ჩვილის გამოვლენა - სამედიცინო, სოციალური, ფსიქოლოგიური პრობლემები <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი <input type="checkbox"/> ძალადობის ნიშნები <input type="checkbox"/> მშობლების ან მომვლელის ემოციური სტატუსი (გადაღლა, აღელვება, დეპრესია), წინა ვიზიტის შემდგომ ინტერვალში მომხდარი ახალი გარემოებანი ოჯახში - სტრესი, ავადმყოფობა
<p>განვითარებაზე მეთვალყურეობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური - ეძებს დამალულ საგნებს; ახდენს ახალი შესტების იმიტაციას. <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - ამბობს „დადას“ ამ „მამას“ მიზანმიმართულად; ამბობს კიდევ ერთ განსხვავებულ სიტყვას მაინც ან პირად სახელს; ასრულებს ისეთ მითითებებს, როგორცაა მაგალითად: „მომეცი რაიმე საგანი“; აბრუნებს თავს საკუთარი სახელის გაგონებაზე, რეაგირებს სიტყვებზე „არა“ ან „ნახვამდის“ მაშინაც კი, როცა თანმხლებ შესტს ვერ ხედავს. <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - დგას დამოუკიდებლად, საყრდენის გარეშე, დგამს პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს. <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - აგდებს მცირე საგანს ჭიქაში; იღებს მცირე ზომის საგნებს 2 თითით (მარწუხისებურად); თავისით იღებს და ჭამს საკვებს.
<p>სისტემების მიმოხილვა</p>	<p>სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩვილის აღმოსაჩენად ზავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> თავი (ფორმა), თვალი (გამონადენი, სიელმე), ცხვირი, ყურები, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება, ჭიპის ფორმა), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა და სხვა ნებისმიერი ჩვილი განვითარების საკითხებზე)
<p>მშობლის და ჩვილის ურთიერთობაზე დაკვირვება</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მშობლის ურთიერთობა ზავშვთან <input type="checkbox"/> ზავშვის ვიზუალური კონტაქტი მშობელთან - თვალი თვალთან კონტაქტი , <input type="checkbox"/> ზავშვს მოაქვს მშობელთან სათამაშო გაზიარების მიზნით; <input type="checkbox"/> მშობლის მიერ ზავშვის წახალისება; <input type="checkbox"/> უფროსი და-მმის ურთიერთობა ზავშვთან; <input type="checkbox"/> დედის ემოცია ზავშვზე საუბრისას (დადებითი, უარყოფითი)
<p>სრული გასინჯვა ანთროპომეტრიით</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (წონა - სიგრძის მრუდის ჩათვლით) <input type="checkbox"/> სრული ობიექტური გასინჯვა; გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგ : <input type="checkbox"/> კანი (წარმონაქმნები, სისხლჩაქცევები, café-au-lait ლაქები); თვალები (თვალის მოძრაობის სიფართო, გუგები, შემღვრევა და წითელი რეფლექსი, მხედველობა მზერის ფიქსაციისა და თვალის გაყოლების მეთოდის გამოყენებით); <input type="checkbox"/> პირის ღრუ / კბილები / ღრძილები - (კარიესის, დემინერალიზაციის ნიშნები; ემალის დეფექტი, კბილის ლაქები), მუცელი (მასის არსებობა) <input type="checkbox"/> გულისა და ფილტვების აუსკულტაცია, შუილის არსებობა <input type="checkbox"/> გენიტალია (ვაჟებში სათესლე ჯირკვლების სრული ჩამოსვლა სათესლე პარკში; გოგონებში - სასირცხო ბაგეების მდგომარეობა, მცირე ბაგეების ადჰეზია (შეწებება); <input type="checkbox"/> ნერვული სისტემა - სიარულის, ხელების ძალის და კუნთოვანი ტონუსის შეფასება.
<p>სკრინინგი</p>	<p>უნივერსალური:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> განვითარების სკრინინგი <input type="checkbox"/> ანემია (სისხლის საერთო ანალიზი) <input type="checkbox"/> სისხლში ტყვიის შემცველობა (ტყვიის მაღალი გავრცელების არეში); <input type="checkbox"/> პირის ღრუს ჯანმრთელობა - ფტორის პრეპარტის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება <p>სელექციური:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> არტერიული წნევა (სპეციფიკური რისკის ან რისკის ცვლილების შემთხვევაში); <input type="checkbox"/> სმენის სკრინინგი - რეფერალი დიაგნოსტიკური აუდიოლოგიური კვლევისთვის - სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში; <input type="checkbox"/> ტყვიის შემცველობა სისხლში (დაბალი გავრცელების არეში) - სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში;

	<input type="checkbox"/> პირის ღრუს ჯანმრთელობა (სასმელ წყალში ფტორის დაბალი შემცველობისას) - პერორალური ფტორის დანიშვნა; <input type="checkbox"/> მხედველობა - რისკის შეფასებისას მაღალი რისკის შემთხვევაში - რეფერალი ოფთალმოლოგთან.
იმუნიზაცია	ამ ასაკში ტარდება: <input type="checkbox"/> წითელა, წითურა , ყბაყურა (წწყ/MMR) <input type="checkbox"/> პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (პნევმო/PCV)

ექიმის ფუნქციები:

- სრულყოფილი ანამნეზის შეგროვება, ბავშვის სრული ობიექტური გასინჯვა
- 12 თვის ასაკში აუცილებელია ჰემოგლობინისა და ჰემატოკრიტის განსაზღვრა.
- განვითარებაზე მეთვალყურეობა და სკრინინგი
- საშიშროების ნიშნების გამოვლენა და დროული რეფერალი
- იმუნიზაციის ჩატარება
- მშობლის კონსულტირება და გამაფრთხილებელი რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე:
 - × **ჯანმრთელობის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები** (რისკები - საცხოვრებელი გარემო და საკვების უსაფრთხოება, თამბაქო, ალკოჰოლი და წამალდამოკიდებულება; ძლიერი და დამცავი ფაქტორები - სოციალური კავშირი ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, ბავშვზე ზრუნვის და ბინაზე მომსახურების სერვისების პერსონალთან და ა. შ.).
 - × **რუტინული ქცევის ჩამოყალიბება** - ბავშვის განვითარების და ქცევის ცვლილებებთან ადაპტაცია, მედიასთან ურთიერთობა.
 - × **კვება და მადის ცვლილება** - დამოუკიდებელი ჭამა, ძუძუთი კვება და საერთო მაგიდაზე გადასვლა, სასარგებლო საკვები.
 - × **კბილების მოვლის დამკვიდრება** - პირველი სტომატოლოგიური შემოწმება და კბილების ჰიგიენა
 - × **უსაფრთხოება** - მანქანის სავარძელი, დაცემა, დახრჩობის პრევენცია და წყლის უსაფრთხოება, მზისგან დაცვა, შინაური ცხოველები, უსაფრთხო გარემო სახლში: მოწამვლის და გადაცდენის პრევენცია.

ექთნის ფუნქციები:

- იმუნიზაცია აცრის კალენდრის მიხედვით. იმუნიზაციის ჩატარებამდე აუცილებელია ტემპერატურის გასინჯვა და დაფიქსირება ბავშვის განვითარების ისტორიაში.
- ჰემოგლობინისა და ჰემატოკრიტის განსაზღვრისთვის აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფა
- მშობლის კონსულტირება და გამაფრთხილებელი რეკომენდაციების მიცემა შემდეგ თემებზე:
 - × განვითარების ხელშეწყობა
 - × უსაფრთხო გარემო
 - × სათამაშოს შერჩევა
 - × საოჯახო საკვებზე გადასვლა და ჯანსაღი კვების ხელშეწყობა
 - × კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული პრობლემები, პირის ღრუს ჰიგიენა
 - × ძილის პრობლემები, შიშები და მათი დამლევის გზები
 - × საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

განვითარების ნიშანსვეტები 12 თვის ასაკში	
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × დგას კარგად, ხელები და ფეხები განზე აქვს × იწყებს ნაბიჯების გადადგმას
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × უჭირავს ფანქარი × შეუძლია მცირე საგნის დახვეწილი მარწუხისებრი დაჭერა × ჯღაბნის ჩვენების შემდეგ × ცდილობს 2 კუბისგან კოშკის აშენებას
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × შესტიკულაციით მიუთითებს საგანზე, რომელიც უნდა × მშობელს აჩვენებს სათამაშოს, უბრალო გაზიარების მიზნით და არა

	დასახმარებლად
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × ხდის ყუთს თავს და ეძებს სათამაშოს × ასრულებს ერთსაფეხურიან დავალებას × მოდის, რეაგირებს დამახეზაზე × ცდილობს გაიმეოროს მშობლების ბგერები × იცის 2 საგნის დასახელება მაინც და ცნობს და უყურებს მათ მოთხოვნისას × იცის 1-2 სიტყვა

განვითარების საშიშროების ნიშნები 1 წლის ასაკში:

- ვერ დგება ფეხზე როდესაც ორივე ხელით უჭირავთ
- არ რეაგირებს სახელზე
- არ ტიტინებს
- არ უთითებს საგნებზე შესტიკულად

ვიზიტი 18 თვის ასაკში - პუდ კლინიკაში პირისპირ ექიმთან და ექთანთან
განახლებული ანამნეზი
<ul style="list-style-type: none"> ▪ მშობლის ჩივილი - სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემები ▪ განვლილი პერიოდის ანამნეზი ▪ ოჯახის ანამნეზი ▪ სოციალური ანამნეზი
განვითარებაზე მეთვალყურეობა
<ul style="list-style-type: none"> ▪ სოციალური/ ემოციური და თვითმოქმედებულობა - სხვებთან ერთად ერთვება თამაშში; ცდილობს დამოუკიდებლად ჩაცმა-გახდას; უთითებს წიგნში ნახატებზე; მოზრდილის ყურადღების მისაქცევად უთითებს ინტერესის ობიექტზე; ტრიალდება და უყურებს მოზრდილს ახალი მოვლენის შემთხვევაში; იწყებს კოფის ხმარებას; დახმარების მისაღებად იყენებს სიტყვებს. ▪ კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - იცის სულ მცირე, სხეულის ორი ნაწილი; ასახელებს სულ მცირე 5 ნაცნობ საგანს, როგორცაა მაგალითად, ბურთი ან რძე. ▪ უხეში მოტორიკა - ხელმოკიდებული ადის კიბეზე ფეხის მონაცვლეობის გარეშე; ზის პატარა სკამზე; სიარულის დროს უჭირავს სათამაშო. ▪ ნატიფი მოტორიკა - სპონტანურად “წერს-ჩხაპნის“; ფეხზე მდგომი პოზიციიდან ისვრის პატარა ბურთს.
სისტემების მიმოხილვა
სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩივილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: თავი (ფორმა) , თვალი (სიელმე), ცხვირი, ყური, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა , ხელების და ფეხების მოძრაობა, განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვ.)
მშობლის და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვება
<ul style="list-style-type: none"> ▪ მშობლის და ბავშვის ურთიერთობა, ▪ მოაქვს მშობელთან წიგნი/სათამაშო გაზიარების მიზნით; ▪ მშობლის მიერ ბავშვის კარგი ქცევის წახალისება; ▪ მშობლის მიერ ბავშვისთვის შეზღუდვის დაწესება.
სრული გასინჯვა ანთროპომეტრიით
<ul style="list-style-type: none"> ▪ ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (წონა - სიგრძის მრუდის ჩათვლით) <p>სრული საექიმოგასინჯვა;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგ: კანი (წარმონაქმნები, სისხლჩაქცევები, café-au-lait ლაქები); თვალები (თვალის მოძრაობის სიფართო, გუგები, შემღვრევა და წითელი რეფლექსი, მხედველობა მხერის ფიქსაციისა და თვალის გაყოლების მეთოდის გამოყენებით); პირის ღრუ / კბილები / ღრძილები - (კარიესის, დემინერალიზაციის ნიშნები; ემალის დეფექტი, კბილის ლაქები), მუცელი (მასის არსებობა), გულისა და ფილტვების აუსკულტაცია, გენიტალია (ვაჟებში სათესლე ჯირკვლების სრულად ჩამოსულია სათესლე პარკში; გოგონებში - სასირცხო ბაგეების მდგომარეობა, მცირე ბაგეების ადჰეზია

(შეწებება); ნერვული სისტემა - ტანადობა და სიარულის მანერა - კუნთთა ტონუსი და ზედა კიდურების კონტროლის უნარი, ხერხემლის ფორმა.
სკრინინგი
<p>უნივერსალური სკრინინგი:</p> <ul style="list-style-type: none"> აუტიზმის სკრინინგი MCHAT R-ის გამოყენებით განვითარების სკრინინგი ასაკი და ეტაპების კითხვარით (ASQ) <p>სელექციური სკრინინგი:</p> <ul style="list-style-type: none"> ანემია - (რისკის არსებობისას ჰემოგლობინის ან ჰმატოკრიტის განსაზღვრა); არტერიული წნევა (სპეციფიკური რისკის ან რისკის ცვლილების შემთხვევაში); სმენის სკრინინგი - რეფერალი დიაგნოსტიკური აუდიოლოგიური კვლევისთვის სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში; ტყვიის შემცველობა სისხლში - სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში; პირის ღრუს ჯანმრთელობა (სასმელ წყალში ფტორის დაბალი შემცველობისას) - პერორული ფტორის დანიშვნა; მხედველობა - რისკის შეფასებისას მაღალი რისკის შემთხვევაში რეფერალი ოფთალმოლოგთან.
იმუნიზაცია
<ul style="list-style-type: none"> დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი (დფტ/DPT) პოლიომიელიტის ინაქტივირებული ვაქცინა (იპვ/IPV)

- ბავშვი ასრულებს ასაკობრივ ნიშანსვეტებს, ე.ი მისი განვითარება შეესაბამება ასაკს და ის არ საჭიროებს დამატებით კვლევას. ამ დროს გრძელდება გეგმიური მეთვალყურეობა, ექიმმა უნდა მისცეს დედას რეკომენდაციები როგორ შეუწყოს ხელი მის შემდგომ განვითარებას.
- ბავშვი ვერ ასრულებს ასაკობრივ ნიშანსვეტებს (2 ან მეტი სფერო ან ქვესფერო) და/ან გამოვლინდა მშობლის ჩივილი - რეკომენდებულია რიგგარეშე სკრინინგის ჩატარება, რათა გამოვლინდეს განვითარების შეფერხების რისკის მქონე ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ ღრმა გამოკვლევას. თუ ბავშვი ვერ ასრულებს ერთი რომელიმე სფეროს ასაკობრივ ნიშანსვეტებს მიზანშეწონილია რიგგარეშე სკრინინგის დროს ფოკუსირება მოცემულ სფეროზე.
- განვითარებაზე ზედამხედველობის პროცესში 2 და მეტი რისკ-ფაქტორის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია უფრო ხშირი მეთვალყურეობა.
- სკრინინგის დადებითი შედეგის (გამოვლინდა პრობლემა) და მეტყველების შეფერხებისა და ქცევითი დარღვევების (აუტისტური სპექტრის დარღვევების) საშიშროების ნიშნების აღმოჩენის და ნებიმიერი სფეროში უკვე მიღწეული ნიშანსვეტების გაქრობის (დაკარგვის) შემთხვევაში აუცილებელია ბავშვის რეფერალი განვითარების და ქცევის ღრმა, გაფართოებული შეფასებისათვის შესაბამის მულტიპროფილურ კლინიკებში.
- განვითარების შეფასების პარალელურად უნდა მოხდეს ბავშვის ჯანმრთელობის შეფასებაც და ინტერვენციულ სერვისებში დაუყოვნებელი ჩართვა.

განვითარების ნიშანსვეტები 18 თვის ასაკში	
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × ჯდება პატარა სკამზე დამოუკიდებლად × დარბის კარგად × დამდგარი ისვრის ბურთს
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × აშენებს 4 კუბიან კოშკს × იმეორებს არაზუსტად ვერტიკალურ დახტულ ხაზს
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × გაიარა M-CHAT R ტესტი × ერთვება წარმოსახვით თამაშში სხვებთან ერთად × იმორცხვებს, როდესაც ცუდად იქცევა, × ავლენს მესაკუთრეობის შეგრძნებას
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × აწყვილებს ერთნაირ საგნებს × უთითებს 2-3 საგანზე, როდესაც თხოვენ × უთითებს თავის თავზე × ესმის "ჩემი"-ს მნიშვნელობა × უთითებს ნაცნობ ადამიანებზე, მათი დასახელებისას

	<ul style="list-style-type: none"> × იყენებს 10-25 სიტყვას × ბაძავს გარემოს ხმებს - მაგ.: ძაღლის ყეფა × ასახელებს წიგნში მითითებულ ერთ ნახატს (მაგ.: რა ქვია ამას? ან ეს ვინაა)
--	--

მშობლის კონსულტირება:

- **ტემპერამენტი, განვითარება, ტუალეტის ჩვევა, ქცევა და დისციპლინა** - მშობლის გარეშე ყოფნასთან დაკავშირებული შფოთვა, ქცევის მართვა თანმიმდევრული შეზღუდვებით, ტუალეტის ჩვევის ჩამოყალიბების ნიშნების ამოცნობა და მშობელთა მოლოდინი, მომდევნო ბავშვის ყოლის დაგეგმვა ან მოლოდინი.
- **კომუნიკაცია და სოციალური განვითარება** - მეტყველების განვითარების ხელშეწყობა, მარტივი სიტყვების და ფრაზების გამოყენება, ჩართულობა თამაშში, საუბარში, სიმღერასა და კითხვაში.
- **ტელევიზორის ყურება და ციფრული მედია** - კითხვის, ფიზიკური აქტიურობის და უსაფრთხო თამაშის ხელშეწყობა.
- **ჯანსაღი კვება** - სასარგებლო საკვები, წყალი, რძე და წვენი; დამოუკიდებლობის გამოხატვა სხვადასხვა საკვების მოწონება/უგულუბელყოფის მეშვეობით.
- **უსაფრთხოება** - მანქანის სავარძელი, მშობლების მიერ ღვედის გამოყენება, მზის დამწვრობისგან დაცვა, უსაფრთხო გარემო სახლში: მოწამვლის, დაცემის პრევენცია, სახანძრო უსაფრთხოება.

ექთნის ფუნქციები:

- იმუნიზაცია აცრის კალენდრის მიხედვით. იმუნიზაციის ჩატარებამდე აუცილებელია ტემპერატურის გასინჯვა და დაფიქსირება ბავშვის განვითარების ისტორიაში.
- მშობლის კონსულტირება და გამაფრთხილებელი რეკომენდაციები

განვითარების საშიშროების ნიშნები 18 თვის ასაკში - ვერ დადის, იყენებს 4-5 სიტყვაზე ნაკლებს გაცნობიერებულად, კარგავს უკვე შეძენილ ჩვევას.

ვიზიტი 2 წლის ასაკში - დისტანციურად ოჯახის ექიმთან და ექთნის ვიზიტი ბინაზე
განახლებული ანამნეზი
<ul style="list-style-type: none"> ▪ მშობლის ჩივილი - სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემები ▪ განვლილი პერიოდის ანამნეზი ▪ ოჯახის ანამნეზი ▪ სოციალური ანამნეზი
განვითარებაზე მეთვალყურეობა
<ul style="list-style-type: none"> ▪ სოციალური/ ემოციური და თვითმომსახურეობა - თამაშობს სხვა ბავშვებთან ერთად, პარალელური თამაში-ბავშვები თამაშობენ ერთნაირ თამაშს მსგავსი მასალებით, გვერდიგვერდ, მაგრამ ერთმანეთთან საუბრისა და ურთიერთქმედების გარეშე; შეუძლია ზოგიერთი ტანსაცმლის გახდა; კარგად იღებს ჭურჭლის შიგთავსს კოვზით. ▪ კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - იყენებს 50-მდე სიტყვას; შეუძლია ორსიტყვიანი წინადადების აწყობა; ასრულებს ორეტაპიან მითითებას; ასახელებს სხეულის სულ მცირე 5 ნაწილს, როგორცაა მაგალითად, ცხვირი, პირი ან ხელი; შეუძლია მეტყველება, რომლის 50% გასაგებია უცხოებისთვის. ▪ უხეში მოტორიკა - ურტყამს ბურთს; დახტის ორი ფეხით; დარბის კოორდინაციის დაცვით; ძვრება სათამაშო მოედნის კიბეზე. ▪ ნატიფი მოტორიკა - ერთმანეთზე აწყობს საგნებს; ფურცლავს წიგნს; შეუძლია სახელურის მობრუნება, ჩამრთველის ჩართვა, სახურავის მოტრიალება; ხატავს ხაზებს.
სისტემების მიმოხილვა
<ul style="list-style-type: none"> ▪ სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩივილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: თავი (ფორმა), თვალი (სიელმე), ცხვირი, ყური, ყელი, სუნთქვა, მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება), გული, ფილტვები. გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა, განვითარებასთან დაკავშირებული

პრობლემები და სხვ)
მშობლის და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვება
<ul style="list-style-type: none"> ▪ მშობლის და ბავშვის ურთიერთობა; ▪ მშობლების მიერ ბავშვისთვის შეზღუდვების დაწესება; ▪ მშობლის მიერ საგნების დასახელების სწავლება; ▪ მშობლის ემოცია ბავშვზე საუბრისას (დადებითი, უარყოფითი) .
სრული გასინჯვა ანთროპომეტრიით
<ul style="list-style-type: none"> ▪ ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (სმი მრუდის ჩათვლით) - ატარებს ექთან ბინაზე ▪ დისტანციური გასინჯვა შეზღუდვების გათვალისწინებით და გასინჯვა ექთნის მიერ ბინაზე; ▪ გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგ : კანი (წარმონაქმნები, სისხლჩაქცევები, café-au-lait ლაქები); თვალები (თვალის მოძრაობის სიფართო, გუგები, შემღვრევა და წითელი რეფლექსი, მხედველობა მზერის ფიქსაციისა და თვალის გაყოლების მეთოდის გამოყენებით); პირის ღრუ / კბილები / ღრძილები - (კარიესის, დემინერალიზაციის ნიშნები; ემალის დეფექტი, კბილის ლაქები), მუცელი (მასის არსებობა) გენიტალია; ნერვული სისტემა - სირბილი, ფურცელზე ჩხაპნა, ადამიანებთან ურთიერთობა, დავალების შესრულების უნარი, მეტყველება (მკაფიო გამოთქმა).
სკრინინგი
<p>უნივერსალური სკრინინგი:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ აუტიზმის სკრინინგი MCHAT R -ის გამოყენებით ▪ ტყვიის შემცველობა სისხლში - ტყვიის მაღალი შემცველობის რეგიონებში; <p>სელექციური სკრინინგი:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ანემია - (რისკის არსებობისას ჰემოგლობინის ან ჰემატოკრიტის განსაზღვრა); ▪ არტერიული წნევა (სპეციფიკური რისკის ან რისკის ცვლილების შემთხვევაში); ▪ დისლიპიდემია - სკრინინგული კითხვებისას მაღალი რისკის შემთხვევაში ლიპიდური პროფილი; ▪ სმენის სკრინინგი - რეფერალი დიაგნოსტიკური აუდიოლოგიური კვლევისთვის სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში; ▪ ტყვიის შემცველობა სისხლში - სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში; ▪ პირის ღრუს ჯანმრთელობა (სასმელ წყალში ფტორის დაბალი შემცველობისას) - პერორული ფტორის დანიშვნა; ▪ მხედველობა - რისკის შეფასებისას მაღალი რისკის შემთხვევაში რეფერალი ოფთალმოლოგთან.
ოჯახური გარემო
<ul style="list-style-type: none"> ▪ მშობლების და ბავშვის ურთიერთობა, ბავშვის დასჯის ფორმები ▪ ოჯახში თამბაქოს მწვევლების არსებობა ▪ ძალადობის ნიშნები

ექიმის ფუნქციები

- დისტანციური მეთვალყურეობის ვიზიტის განხორციელება
- ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების შეფასება და შედეგების დაფიქსირება:
 - × ჯანმრთელი, განვითარება ასაკის შესაბამისი
 - × ვლინდება ჯანმრთელობის პრობლემა(დაკონკრეტდეს)
 - × ვლინდება ფიზიკური განვითარების პრობლემა (დაკონკრეტდეს)
 - × ვლინდება გლობალური განვითარების პრობლემა (დაკონკრეტდეს)
- მომდევნო ვიზიტის დაგეგმვა
- მშობლის კონსულტირება/განათლება:
- პირველი რიგის პრიორიტეტი - ბავშვის მიმართ მშობლის ჩივილის გამოვლენა, და აუტიზმის სკრინინგის ჩატარება
- დამატებითი პრიორიტეტული თემები:
 - × **ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები** - რისკები (პარტნიორის ძალადობა, საცხოვრებელი გარემო და საკვების უსაფრთხოება, თამბაქო, ალკოჰოლი და წამალდამოკიდებულება), ძლიერი მხარეები და დამცავი ფაქტორები (მშობელთა კეთილდღეობა);

- × ტემპერამენტი და ქვევა - განვითარება, ტემპერამენტი, ფიზიკური აქტივობის და უსაფრთხო თამაშის ხელშეწყობა, შეზღუდვების დაწესება მედია-საშუალებების გამოყენებაზე.
- × მეტყველების განვითარების შეფასება - როგორ ურთიერთობს ბავშვი და მეტყველებასთან დაკავშირებული მოლოდინები, კითხვის წახალისება.
- × უსაფრთხოება - მანქანის საბავშვო სავარძელი, ქუჩაში (სახლის გარეთ) უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება.

განვითარების ნიშანსვეტები 24 თვის ასაკში	
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × ჩადის კიბეზე, ეჭიდება მოაჯირს და საფეხურზე დგამს ორივე ფეხს × ბურთს ურტყამს ფეხს ჩვენების გარეშე × თავს ზემოდან ისვრის ბურთს
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × კუბებს ალაგებს მატარებელივით ერთ ხაზაში × ხატავს წრეს (იმეორებს) × ავლებს ჰორიზონტალურ ხაზს
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × შეუძლია უდილებო ტანსაცმლის გახდა და შარვლის ჩაწევა
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × ახარისხებს საგნებს × უსაბამებს საგნებს ნახატებს × იცის ნაცნობი საგნების გამოყენება (მაგ.: კოვზი, ფანქარი, კბილის ჯაგრისი) × ასრულებს ორსაფეხურიან დავალებას (მაგ.: აიღე წიგნი და მიუტანე მამას) × ესმის „მე“, „მენ“ × უთითებს 5-10 ნახატზე × იყენებს ორსიტყვიან წინადადებას (ზმნა და არსებითი სახელი - მაგ. მინდა ბურთი) × ტელეგრაფიული ანუ წყვეტილი მეტყველება მაგ.: დედა მოდი. თინას ჭამა უნდა. × იცის 50-ზე მეტი სიტყვა × მეტყველების 50% გასაგებია × თავს მიმართვას სახელით. მაგ. ნიტას უნდა, გიო კარგია. × ასახელებს 3 სურათს

ექთანი - ახორციელებს ბინაზე ვიზიტს,

- აფასებს ოჯახურ გარემოს
- აკვირდება მშობლების და ბავშვის ურთიერთობას, ბავშვის დასჯის ფორმებს, ოჯახში თამბაქოს მწვევლების არსებობას, ძალადობის ნიშნებს
- ატარებს ანთროპომეტრიას და მონაცემების დატანას შესაბამის მრუდებზე,
- ინფორმაცია შეაქვს ბავშვის განვითარების ისტორიაში,
- ატარებს მშობლის კონსულტირებას/განათლებას ვიზიტის პრიორიტეტულ თემებზე.

განვითარების შეფერხების შესაძლო საშიშროების ნიშნები 2 წლის ასაკში:

- ფეხს არ ურტყამს ბურთს, დადის თითის წვერებზე;
- არ არის 2 სიტყვიანი წინადადება 2 წლის ასაკისთვის (ექოლალა არ მიიღება მხედველობაში);
- არ არის მხედველობითი კონტაქტი, მიზეზის გარეშე იკბინება, კივის, ურტყამს.

ვიზიტი 30 თვის ასაკში - ოჯახის ექიმთან პირისპირ პუდ კლინიკაში, ექთანი დისტანციურად განახლებული ანამნეზი
<input type="checkbox"/> მშობლის ჩივილი - სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემები <input type="checkbox"/> განვლილი პერიოდის ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი
განვითარებაზე მეთვალყურეობა
<input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური და თვითმომსახურეობა - ჯდება ქოთანზე (მოსაშარდად); იღებს საკვებს

<p>ჩანგლით; იბანს და იმშრალეს ხელეხს; მოსწონს წარმოსახვითი თამაში; ცდილობს ყურადღების მიპყრობას სიტყვებით „შემომხედე“.</p> <p><input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - სწორად იყენებს ნაცვალსახელებს; შეუძლია გარკვეული ქმედების მიზეზის ახსნა, მაგალითად, სვიტრის საჭიროება სიცივეში; ცნობს სულ მცირე, ერთ ფერს.</p> <p><input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - ადის კიბეზე ფეხების მონაცვლეობით; კარგად დარბის დაცემის გარეშე.</p> <p><input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - იხატავს ვერტიკალურ ხაზებს; ფანქარს იჭერს ცერა და სხვა თითებით და არა მუჭით; იჭერს დიდი ზომის ბურთს.</p>
<p>სისტემების მიმოხილვა</p> <p>სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩვილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: - თავი (ფორმა), თვალი (სიღმე), ცხვირი (ცხვირით სუნთქვის გამწვანება), ყური (ტკივილი), ყელი (ტკივილი), სუნთქვა (სუნთქვის სიხშირე), გულისა და ფილტვების აუსკულტაცია, მუცელი (დებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება), გენიტალია და ანუსი, კანი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელეხის და ფეხების მოძრაობა, განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვ.)</p>
<p>მშობლის და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვება</p> <p><input type="checkbox"/> მშობლის და ბავშვის ურთიერთობა (საუბრობს ასაკის შესაბამისად, ათვალთვლებენ წიგნს ერთად, კითხვის დროს ურთიერთობენ),</p> <p><input type="checkbox"/> მშობლის მიერ ბავშვისთვის დაწესებული შეზღუდვები</p> <p><input type="checkbox"/> მშობლის მიერ საგნების დასახელების სწავლება;</p> <p><input type="checkbox"/> მშობლის მიერ ბავშვის დაწყნარების უნარის შეფასება.</p>
<p>სრული გასინჯვა ანთროპომეტრიით</p> <p><input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე (სმი მრუდის ჩათვლით)</p> <p><input type="checkbox"/> გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს: კანი (წარმონაქმნები, სისხლჩაქცევები, ხალები); თვალები (თვალის მოძრაობის სიფართო, გუგები, შემღვრევა და წითელი რეფლექსი, მხედველობის სიმახვილე მზერის ფიქსაციისა და თვალის გაყოლების მეთოდის გამოყენებით); პირის ღრუ / კბილები / ღრძილები - (კარიესის, დემინერალიზაციის ნიშნები; ემალის დეფექტი, კბილის ლაქები), სუნთქვის სიხშირე / შუილი, მუცელი (მასის არსებობა) გენიტალია; ნერვული სისტემა - კუნთთა ტონუსი, მოძრაობა, მეტყველება.</p>
<p>სკრინინგი</p> <p>უნივერსალური სკრინინგი:</p> <p><input type="checkbox"/> განვითარების სკრინინგი - ასაკის და საფეხურების კითხვარით (ASQ-3)</p> <p>სელექციური სკრინინგი:</p> <p><input type="checkbox"/> ანემია - (რისკის არსებობისას ჰემოგლობინის ან ჰემატოკრიტის განსაზღვრა);</p> <p><input type="checkbox"/> არტერიული წნევა (სპეციფიკური რისკის ან რისკის ცვლილების შემთხვევაში);</p> <p><input type="checkbox"/> სმენის სკრინინგი - რეფერალი დიაგნოსტიკური აუდიოლოგიური კვლევისთვის სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში;</p> <p><input type="checkbox"/> პირის ღრუს ჯანმრთელობა (სასმელ წყალში ფტორის დაბალი შემცველობისას) - პერორული ფტორის დანიშვნა;</p> <p><input type="checkbox"/> მხედველობა - რისკის შეფასებისას მაღალი რისკის შემთხვევაში რეფერალი ოფთალმოლოგთან.</p>
<p>ოჯახური გარემო</p> <p><input type="checkbox"/> მშობლების და ბავშვის ურთიერთობა, ბავშვის დასჯის ფორმები</p> <p><input type="checkbox"/> ოჯახში თამბაქოს მწვევლების არსებობა</p> <p><input type="checkbox"/> ძალადობის ნიშნები</p>

ექიმის ფუნქციები - ჩაატარეთ:

- განვითარების მონიტორინგი და სკრინინგი
- ბავშვის სრული გასინჯვა
- მშობლის კონსულტირება
- დააფიქსირეთ ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემა და დაგეგმეთ შემდგომი ვიზიტი
- უზრუნველყავით დროული რეფერალი საჭიროების შემთხვევაში

განვითარების ნიშანსვეტები 30 თვის ასაკში

უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × ადის კიბეზე მოაჯირზე ყრდნობით და ფეხების მონაცვლეობით × ხტის ადგილზე
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × აშენებს კოშკს 8 კუბისაგან × აშენებს მატარებელს კუბებებისგან და აერთებს მათ
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × ბაძავს მოზრდილთა მოქმედებებს (ვითომ ტელეფონზე ლაპარაკობს, ვითომ ალაგებს)
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × უთითებს სურათის მცირე დეტალებზე. მაგ.: აჩვენებს ძაღლის თვალებს, მანქანის საჭეს × ასრულებს 2 თანდებულთან დავალებას. მაგ.: ჩადევი სათამაშო ყუთში, ყუთზე, მაგიდაზე, მაგიდის ქვეშ. × უთითებს საგანზე მისი დანიშნულების მიხედვით. მაგ.: მაჩვენე ფეხზე რას ვიცვამთ და უთითებს ფეხსაცმელზე × ექოლალთა (გამეორებები) და ინტონაციური მეტყველება გამჭარალთა × ასახელებს საგნების დანიშნულებას ფუნქციების მიხედვით × საკუთარ თავს მიმართავს სწორი ნაცვალსახელით × ყვება მისთვის ნაცნობ ამბავს/მოთხრობის ნაწილს (გადმოსცემს შინაარს)

ექთანი - ახორციელებს ბინაზე ვიზიტს,

- აფასებს ოჯახურ გარემოს
- აკვირდება მშობლების და ბავშვის ურთიერთობას, ბავშვის დასჯის ფორმებს, ოჯახში თამბაქოს მწვევლების არსებობას, ძალადობის ნიშნებს
- ატარებს ანთროპომეტრიას და მონაცემების დატანას შესაბამის მრუდებზე,
- ინფორმაცია შეაქვს ბავშვის განვითარების ისტორიაში,
- ატარებს მშობლის კონსულტირებას/განათლებას ვიზიტის პრიორიტეტულ თემებზე:
 - × **პირველი რიგის პრიორიტეტი** - ბავშვის მიმართ მშობლის ჩვილის გამოვლენა, და განვითარების სკრინინგის ჩატარება
 - × **დამატებითი პრიორიტეტული თემები:**
 - × **ოჯახური რუტინა** - რუტინული საქმიანობის დღე-ღამური რიტმი, ოჯახის საყვარელი აქტივობები, ბავშვის გარემოს თანმიმდევრულობა.
 - × **მეტყველებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა** - მარტივი სიტყვების გამოყენება და ერთად კითხვა.
 - × **სოციალური განვითარების ხელშეწყობა** - სხვა ბავშვებთან ერთად თამაში, არჩევანის შეთავაზება, ტელევიზორისა და სოციალური მედიის გამოყენების შეზღუდვა;
 - × **სკოლამდელი საკითხები** - საბავშვო პროგრამებისა და სათამაშო წრეებისთვის მზაობა, ტუალეტის ჩვევის სწავლება;
 - × **უსაფრთხოება** - მანქანის საბავშვო სავარძელი, უსაფრთხოება ქუჩაში, წყალთან, მზისგან დაცვა, სახანძრო და დამწვრობასთან დაკავშირებული საფრთხეები.

განვითარების შესაძლო შეფერხების საშიშროების ნიშნები 30 თვის ასაკში:

- × თავისუფლად ვერ ადის და ჩადის კიბის ორ საფეხურზე
- × ვერ ჭამს კოვზით დახმარების გარეშე
- × ვერ ამბობს სამ ან მეტსიტყვიან წინადადებას.

დისტანციურად
განახლებული ანამნეზი
<input type="checkbox"/> მშობლის ჩივილი - სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემები <input type="checkbox"/> განვლილი პერიოდის ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი
განვითარებაზე მეთვალყურეობა
<input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური და თვითმომსახურეობა - შეუძლია დამოუკიდებლად: პალტოს, პერანგის, ქურთუკის ჩაცმა, საკვების მიღება, ტულეტში შესვლა და მოშარდვა. შეუძლია წარმოსახვით თამაშებში ჩართვა, ჯგუფური თამაში და გაზიარება <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - იყენებს 3 სიტყვიან წინადადებებს, მისი მეტყველების 75% გასაგებია უცნობისათვის, იცის შედარების აღმნიშვნელი სიტყვები (უფრო დიდი, უფრო პატარა ან სულ პატარა), ესმის მარტივი ზედსართავები - ზე, ქვეშ. ყვება საბავშვო ტელეგადაცემის ან წიგნიდან მოთხრობის შინაარს; <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - დაყავს სამთვლიანი ველოსიპედი, ძვრება ტახტზე ან სკამზე, ხტება წინ; <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - ხატავს სრულ წრეს, იყენებს საბავშვო მაკრატელს, ხატავს ადამიანის გამოსახულებას თავით და სხეულის რომელიმე ერთი ნაწილით.
სისტემების მიმოხილვა
<input type="checkbox"/> სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩივილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: თავი (ფორმა, თავის ტკივილი), თვალი (გამონადენი, სიელმე), ცხვირი (ცხვირით სუნთქვის გაძნელება), ყური, ყელი (ტკივილი), სუნთქვა (სიხშირე), მუცელი (ღებინება, წამოქაფება, ნაწლავთა მოქმედება), კანი -გამონაყარი, განვითარება (კუნთის ძალა, ხელების და ფეხების მოძრაობა და მეტყველება)
მშობლის და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვება
<input type="checkbox"/> მშობლისა და ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, (ელაპარაკება თუ არა მშობელი ბავშვს გარკვევით, სასაუბრო ინტონაციის გამოყენებით, აძლევს თუ არა ბავშვს არჩევანის საშუალებას), <input type="checkbox"/> ვიზიტის დროს მშობელი ხელს ეწყობს ბავშვის ჩართულობას, <input type="checkbox"/> მშობელი ამჩნევს და აქებს ბავშვს კარგი ქცევისათვის, მიუღებელი ქცევისას როგორ ახერხებს შენიშვნის მიცემას და ქცევის აღმოფხვრას.
ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით
<input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე. <input type="checkbox"/> სხეულის მასის ინდექსის გამოანგარიშება და შესაბამის მრუდზე დატანა <input type="checkbox"/> სრული ობიექტური გასინჯვა: არტერიული წნევის გაზომვა და ასაკისა, სიმაღლის და სქესის შესაბამის ნორმულ მონაცემებთან შედარება <input type="checkbox"/> გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს: თვალები (თვალის მოძრაობის სიფართოე, გუგები, შემღვრევა და წითელი რეფლექსი, მხედველობა მხერის ფიქსაციისა და თვალის გაყოლების მეთოდის გამოყენებით); <input type="checkbox"/> პირის ღრუს შეფასება წყლული, გინგივიტი, კბილების დათვალიერება - კარიესი, დემინერალიზაციის უბნები, ლაქები. <input type="checkbox"/> ნერვული სისტემა - მკაფიო მეტყველების უნარი <input type="checkbox"/> მუცლის პალპაცია - პალპირებადი მასა <input type="checkbox"/> გულისა და ფილტვების გასინჯვა (სუნთქვის სიხშირე, შუილი)
სკრინინგი
უნივერსალური სკრინინგი: <input type="checkbox"/> პირის ღრუს ჯანმრთელობის რისკის შეფასება (ფტორის შემცველი მედიკამენტის დანიშვნის გადაწყვეტილების მიღება) <input type="checkbox"/> მხედველობის ინსტრუმენტული სკრინინგი სელექციური სკრინინგი: <input type="checkbox"/> არტერიული წნევა; <input type="checkbox"/> სმენის სკრინინგი; <input type="checkbox"/> ტყვიის სკრინინგი; <input type="checkbox"/> ანემიის სკრინინგი

იმუნიზაცია

ბავშვის აცრების სტატუსის გადამოწმება

ექიმის ფუნქციები - ჩაატარეთ:

- განვითარების მონიტორინგი და სკრინინგი
- ბავშვის სრული ობიექტური გასინჯვა
- მშობლის კონსულტირება
- დააფიქსირეთ ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემა და დაგეგმეთ შემდგომი ვიზიტი
- უზრუნველყავით დროული რეფერალი საჭიროების შემთხვევაში

განვითარების ნიშანსვეტები 36 თვის (3 წლის) ასაკში

უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × წონასწორობას იკავებს 1 ფეხზე 3 წმ-ით × ადის კიბეზე ფეხის მონაცვლეობით მოაჯირზე ხელის მოკიდების გარეშე × მართავს სამთვლიან ველოსიპედს × ფეხს დგამს სიარულის დროს სწორად, ქუსლი-თითები × იჭერს ნასროლ ბურთს გაჭიმული ხელებით
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × იხატავს წრეს × ჭრის საბავშვო მაკრატლით ფურცელს მოუხერხებლად × ძაფზე აცვამს მცირე ზომის მძივებს
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × იწყებს გაზიარებას მითითებით/მითითების გარეშე × აქვს წარმოსახვითი მოვლენების შიში × თამაშობს წარმოსახვით თამაშებს
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × ხატავს 2-3 ნაწილიან ადამიანს × ესმის დიდი/პატარა და მეტი/ნაკლების მნიშვნელობა × იცის საკუთარი სქესი × იცის საკუთარი ასაკი × აჯგუფებს ციფრებს/ასოებს × უთითებს ნახატის დეტალებზე. მაგ.: ძროხის რქა, მანქანის კარი × ესმის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები - სირბილი, თამაში, რეცხვა × ესმის უარყოფა × აჯგუფებს საგნებს (მაგ.: სათამაშოები, საკვები) × ესმის რას ნიშნავს გრძელი/მოკლე × იყენებს 200-ზე მეტ სიტყვას × იყენებს 3 სიტყვიან წინადადებას × სწორად იყენებს ნაცვალსახელებს × მეტყველების 75% გასაგებია × იყენებს მრავლობით რიცხვს × ასახელებს სხეულის ნაწილებს ფუნქციის მიხედვით × ითხოვს წიგნის წაკითხვას

- **ექთანი - დისტანციური კონსულტაცია ვიდეოზარის საშუალებით:**
- დაუკვირვით დედის(მშობლის/მომვლელის) და ბავშვის ურთიერთობას
- შეაფასეთ ოჯახური გარემო
- ესაუბრეთ მშობელს შემდეგ საკითხებზე:
 - × გამახვილეთ ყურადღება ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდებზე: ერთობლივი კითხვა, თამაში, თავისუფალი დროის მართვა.
 - × არ მისცეთ ბავშვს ძალადობრივი ქმედებების უფლება: კბენა, დარტყმა, ყვირილი. შეაწყვიტინეთ და აუხსენით მისი შეცდომა. დაეხმარეთ ბოდიშის მოხდაში.
 - × დააწესეთ ლიმიტაციები ქცევაზე და ყველა მოზრდილი ოჯახში აიძულეთ თანაბრად მოექცეს ბავშვს როგორც შექებისას, ასევე დასჯისას.
 - × მიაქციეთ ყურადღება ფიზიკური აქტივობას. ითამაშეთ აქტიური თამაშობანი ერთობლივად

- × ევრანთან გატარებული დროის მკაცრი ლიმიტები დააწესეთ (ჯამში 1-2 საათი დღეში კომპიუტერთან, ტელევიზორთან ან სმარტფონთან)
- × გააკონტროლეთ ტელევიზიით ან კომპიუტერით სარგებლობისას ნანახის შინაარსი
- × დააწესეთ კვებისა და ჰიგიენის წესები და მისდით მათ განუხრელად და მკაცრად
 - დააფიქსირეთ ნებისმიერი გამოვლენილი პრობლემა და უზრუნველყავით დროული რეფერალი ოჯახის ექიმთან

ვიზიტი 4 წლის ასაკში - ოჯახის ექიმთან პჯდ კლინიკაში, ექთნის 1 ვიზიტი ბინაზე და 1 კონსულტაცია დისტანციურად
განახლებული ანამნეზი
<input type="checkbox"/> მშობლის ჩივილი - სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემები <input type="checkbox"/> განვლილი პერიოდის ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი
განვითარებაზე მეთვალყურეობა
<input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური და თვითმომსახურეობა - შეუძლია დამოუკიდებლად და მცირე დახმარებით ჩაცმა და გახდა, კბილების გახეხვა; ტულეტში შესვლა და დამოუკიდებელი კუჭის მოქმედება. შეუძლია კარგად ჩამოყალიბებულ წარმოსახვით თამაშებში ჩართვა; <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - იყენებს 4 სიტყვიან წინადადებებს, მისი მეტყველების 100% გასაგებია უცნობისათვის, იცის პასუხი ისეთ კითხვებზე, როგორცაა: რას აკეთებ როდესაც გეძინება, ხატავს მოზრდილისათვის აღქმად ნახატებს, იცავს მარტივ წესებს სამაგიდო თამაშოებებისას, ყვება წაკითხული მოთხრობის შინაარსს; <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - ხტება წინ დაახლოებით 30 სმ- ზე. ადის კიბეზე ფეხის მონაცვლეობით დახმარების გარეშე; <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - ხატავს ადამიანის სხეულის 3 ნაწილით მაინც, ხატავს მარტივ ჯვარს, ხსნის და იკრავს საშუალო ზომის დილებს, ფანქარი უკავია ცერა და საჩვენებელი თითით და არა მთელი მუჭით.
სისტემების მიმოხილვა
<input type="checkbox"/> სპეციფიკური შევითხვების დასმა მშობლის ჩივილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან: თავი (ფორმა, თავის ტკივილი) , თვალი (გამონადენი, სიელმე), ცხვირი, ყური, ყელი, სუნთქვა, ტკივილი გულმკერდის არეში, მუცელი (გულისრევა და ღებინება, ნაწლავთა მოქმედება), კანი -გამონაყარი, განვითარება (კუნთის ძალა , მოძრაობა და მეტყველება)
მშობლის და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვება
<input type="checkbox"/> მშობლისა და ბავშვის კომუნიკაცია, <input type="checkbox"/> მშობელი აძლევს ბავშვს საშუალებას დამოუკიდებლად უპასუხოს ექიმის კითხვებს, ბავშვს შეუძლია მოშორდეს მშობელს აწონვისა და გაზომვის, ასევე გასიჯვის დროს, <input type="checkbox"/> მშობელი აქცევს ყურადღებას ბავშვის ქცევას და სიტყვიერად უსწორებს მიუღებელ საქციელს, <input type="checkbox"/> მშობელი აქცევს ყურადღებას და-მმასთან ბავშვის ურთიერთობას,
ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით
<input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე. <input type="checkbox"/> სხეულის მასის ინდექსის გამოანგარიშება და შესაბამის მრუდზე დატანა <input type="checkbox"/> არტერიული წნევის გაზომვა და ასაკისა, სიმაღლის და სქესის შესაბამის ნორმულ მონაცემებთან შედარება <input type="checkbox"/> გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს: თვალები (თვალის მოძრაობის სიფართო, გუგები, შემღვრევა და წითელი რეფლექსი, მხედველობა მზერის ფიქსაციისა და თვალის გაყოლების მეთოდის გამოყენებით); <input type="checkbox"/> კბილები - ლაქები, გინგივიტი. <input type="checkbox"/> ყელი, ყური, ცხვირი - ცხვირიდან სუნთქვის გამწვანება; <input type="checkbox"/> ნერვული სისტემა - ნატიფი და უხეში მოტორული უნარები: შეაფასეთ სურათის დახატვის უნარი. შეაფასეთ მეტყველების უნარი, მეტყველების შინაარსი და აბსტრაქციის /განზოგადების უნარი,არტიკულაციის შესაძლო პრობლემები; <input type="checkbox"/> მუცლის პალპაცია - პალპირებადი მასა <input type="checkbox"/> გულისა და ფილტვების აუსკულტაცია
სკრინინგი
უნივერსალური სკრინინგი: <input type="checkbox"/> სმენის შეფასება აუდიომეტრიით

- პირის ღრუს ჯანმრთელობის რისკის შეფასება
- მხედველობის ინსტრუმენტული სკრინინგი - მხედველობის სიმახვილის შეფასება, როდესაც არ არის შესძლებელია ტაბულების გამოყენება.
- სელექციური სკრინინგი:**
- არტერიული წნევა;
- დისლიპიდემიის შეფასება რისკების არსებობის შემთხვევაში
- სმენის სკრინინგი;
- ტყვიის სკრინინგი;
- ანემიის სკრინინგი
- ფტორის დაბალი შემცველობის დროს განიხილეთ ფტორის დამატება

იმუნიზაცია

- ბავშვის აცრების სტატუსის გადამოწმება

ექიმის ფუნქციები - ჩაატარეთ:

- განვითარების მონიტორინგი და სკრინინგი
- ბავშვის სრული ობიექტური გასინჯვა
- მშობლის კონსულტირება
- დააფიქსირეთ ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემა და დაგეგმეთ შემდგომი ვიზიტი
- უზრუნველყავით დროული რეფერალი საჭიროების შემთხვევაში

განვითარების ნიშანსვეტები 4-5 წლის ასაკში

უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × დგას და წონსაწორობას ინარჩუნებს ცალ ფეხზე 4 -8 წმ × ხტის ცალ ფეხზე 2-3 ჯერ × ადგილიდან ხტება 30-60 სმ-ზე × ისვრის ბურთს თავს ზემოთ 3 მ -მდე × იჭერს გადმოგდებულ ბურთს
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × იხატავს ოთხკუთხედს × შეუძლია თასმით 1 კვანძის შეკვრა × შეუძლია პატარა წრის გამოჭრა ქაღალდისგან × წერს სახელის ნაწილს × ქაღალდზე მუშაობს (ხატვისას ან წერისას) ზემოდან ქვემოთ და მარცხნიდან მარჯვნივ
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × ყავს საუკეთესო მეგობარი × ჯგუფურ თამაშში ჩართულია × შეუძლია საკუთარი გრძნობების შეფასება - მოწყენილია, მხიარულია და სხვ.
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × ხატავს ადამიანს 4-6 ნაწილით × სწორად იძლევა 5-ამდე საგანს თხოვნისას (მაგ.: მომეცი 3 ფანქარი) × იცის მარტივი ანალოგიები: მამა-ბიჭი, დედა- გოგო. × უთითებს 5-6 ფერზე × უთითებს ასოებსა და რიცხვებს, რომელსაც ასახელებენ × მიყოლებით ითვლის 4-მდე × ასრულებს 3 საფეხურიან დავალებას × ასახელებს საგანს, როდესაც ეკითხებიან ამ საგნის აღწერას: ის ცურავს წყალში (თევზი), შენ ამით შეგიძლია გაჭრა (მაკრატელი) და სხვ. × იმეორებს 4-6 სიტყვიან წინადადებას × ყვება ამბავს × იცის 300-1000 სიტყვა × იყენებს გრძნობების გამომხატველ სიტყვებს × მეტყველება სრულად გასაგებია მცირედი არტიკულაციური შეცდომებით × იყენებს დროის აღმნიშვნელ სიტყვებს

- ექთანი - 1 დისტანციური კონსულტაცია ვიდეოზარის საშუალებით და 1 ვიზიტი ბინაზე;
- დაუკვირვით დედის(მშობლის/მომვლელის) და ბავშვის ურთიერთობას

- შეაფასეთ ოჯახური გარემო
- ესაუბრეთ მშობელს შემდეგ საკითხებზე:
 - × **ჯანმრთელობის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები** (რისკები - საცხოვრებელი გარემო და საკვების უსაფრთხოება, თამბაქო, ალკოჰოლი და ნარკოტიკები; ოჯახის წევრის ძალადობრივი ქმედებები. უსაფრთხოება ადგილობრივ თემში/გარემოში. ძლიერი და დამცავი ფაქტორები - ჩართულობა სოციალურ და მხარდაჭერა).
 - × **სასკოლო მზაობა** (მეტყველების სიციხადე და ლაპარაკის სრული აღქმა, შეგრძნებების გამოხატვის უნარი, სხვა ბავშვებთან სოციალური ურთიერთობის შესაძლებლობები, სტრუქტურირებული სასწავლო პროცესისადმი მზაობა, ადრეული ასაკის ბავშვთა პროგრამები და წინასასკოლო დაწესებულებები)
 - × **ჯანსაღი კვებითი ჩვევები და პიროვნული უნარ-ჩვევები** (კვებითი ღირებულების მქონე საკვები, წყალი, წვენი; ჯანმრთელობის ხელშემწყობი ყოველდღიური რუტინა)
 - × **მედიის გამოყენება** (გამოყენების შეზღუდვა, ფიზიკური აქტივობებისა და უსაფრთხო თამაშის ხელშემწყობა)
 - × **უსაფრთხოება** (მანქანის სავარძელის დამარეგულირებელი ან ასაკისა და წონის შესატყვისი სავარძელი ღვედებით, უსაფრთხოება გარემოში, წყალთან უსაფრთხოება, მზისგან დაცვა, შინაური ცხოველები, იარაღის უსაფრთხო შენახვის წესები)

ვიზიტი 5-6 წლის ასაკში - პედიკლინიკაში პირისპირ ოჯახის ექიმთან და ზოგადი პრაქტიკის ექთანთან
განახლებული ანამნეზი
<input type="checkbox"/> მშობლის ჩივილი - სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემები <input type="checkbox"/> განვლილი პერიოდის ანამნეზი <input type="checkbox"/> ოჯახის ანამნეზი <input type="checkbox"/> სოციალური ანამნეზი <input type="checkbox"/> ბავშვის გამოკითხვა: მისი აზრი საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ, მისი აზრი ზოგადად ჯანმრთელობის შესახებ და მისი აზრი საკუთარი ძლიერი მხარეების შესახებ
განვითარებაზე მეთვალყურეობა
<input type="checkbox"/> სოციალური/ ემოციური და თვითმომსახურეობა - ასრულებს მარტივ დავალებებს, შეუძლია მოსმენა და მშვიდად ჯდომა მოსმენისას, იცვამს და იხდის მინიმალური დახმარებით. <input type="checkbox"/> კოგნიცია/ მეტყველება (ექსპრესიული/ რეცეპციული) - აქვს კარგი არტიკულაცია, ყვება მარტივ ამბავს და იყენებს სრულ წინადადებებს, იყენებს სწორად დროს, ზედასართავ სახელებს, ითვლის 10-მდე და იცის მინიმუმ 4 ფერი. <input type="checkbox"/> უხეში მოტორიკა - ბალანსირებს 1 ფეხზე და ინრჩუნებს წონასწორობას, ხტება სიმაღლესა და სიგრძეში, <input type="checkbox"/> ნატიფი მოტორიკა - შეუძლია კვანძის შეკვრა, აქვს მოზრდილისათვის დამახასიათებელი ფანქრის ჭერა, ხატავს ადამიანს სხეულის 6 ნაწილით. ბეჭდურად გამოსახავს ზოგერთ ასოს და ციფრს. შეუძლია ოთხკუთხედისა და სამკუთხედის გადახატვა/კოპირება.
სისტემების მიმოხილვა
<input type="checkbox"/> სპეციფიკური შეკითხვების დასმა მშობლის ჩივილის აღმოსაჩენად ბავშვის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის მხრიდან. შესაძლოა დასვით კითხვები შემდეგი პრობლემების გამოსავლენად: რეგულარული ან ხშირი თავის ტკივილი ან თავბრუსხვევა, თვალეტი ან მხედველობა, ყურები ან სმენა, ცხვირი ან ყელი, სუნთქვის პრობლემები ან ტკივილი მკერდში, მუცლის ტკივილი, პრობლემები შარდვის ან დეფეკაციის დროს, გამონაყარი, კუნთების ტკივილი, დაზიანებანი ან სხვა პრობლემები
მშობლის და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვება
<input type="checkbox"/> მშობელი და ბავშვი ერთმანეთს ელაპარაკებიან პატივისცემით, <input type="checkbox"/> მშობელი არის პოზიტიურად განწყობილი და ხელს უწყობს ბავშვს, <input type="checkbox"/> მშობელი აძლევს ბავშვს უფლებას ელაპარაკოს ექიმს/ექთანს დამოუკიდებლად ისე რომ არ შეაწყვეტინოს, <input type="checkbox"/> მშობელი ექცევა ბავშვს მისი ასაკის შესაბამისად.
ობიექტური გასინჯვა ანთროპომეტრიით
<input type="checkbox"/> ანთროპომეტრია (წონა, სიგრძე, თავის გარშემოწერილობა) და მონაცემების შეფასება ზრდის მრუდებზე. <input type="checkbox"/> სხეულის მასის ინდექსის გამოანგარიშება და შესაბამის მრუდზე დატანა <input type="checkbox"/> სრული საექიმო გასინჯვა; არტერიული წნევის გაზომვა და ასაკისა, სიმაღლის და სქესის შესაბამის ნორმულ მონაცემებთან შედარება <input type="checkbox"/> გულისა და ფილტვების აუსკულტაცია <input type="checkbox"/> გასინჯვის დროს განსაკუთრებით შეაფასეთ / დააკვირდით შემდეგს: თვალეტი (თვალის მოძრაობის სიფართო),

პირის ღრუ (კბილები - კარიესი, ღრძილების ანთეზა, თანკბილვის პრობლემები)	
<input type="checkbox"/> ნეიროგანვიტარება - ნატიფი და უხეში მოტორიკა და ტანადობა	
სკრინინგი	
5 წელი უნივერსალური სკრინინგი: <input type="checkbox"/> სმენის შეფასება აუდიომეტრით <input type="checkbox"/> პირის ღრუს ჯანმრთელობა <input type="checkbox"/> მხედველობის ინსტრუმენტული სკრინინგი - მხედველობის სიმახვილის შეფასება, როდესაც არ არის შესძლებელია ტაბულების გამოყენება. სელექციური სკრინინგი: <input type="checkbox"/> ტყვიის სკრინინგი; <input type="checkbox"/> ანემიის სკრინინგი	6 წელი უნივერსალური სკრინინგი: <input type="checkbox"/> სმენის შეფასება აუდიომეტრით <input type="checkbox"/> მხედველობის ინსტრუმენტული სკრინინგი სელექციური სკრინინგი: <input type="checkbox"/> ტყვიის სკრინინგი; <input type="checkbox"/> ანემიის სკრინინგი; <input type="checkbox"/> პირის ღრუს ჯანმრთელობა რისკის შეფასება <input type="checkbox"/> დისლიპიდემიის სკრინინგი
იმუნიზაცია	
5 წელი: <input type="checkbox"/> წითელა, წითურა, ყბაყურა (წწყ; MMR) <input type="checkbox"/> პოლიომიელიტი, დიფთერია ტეტანუსი (IPV, DT)	
6 წელი <input type="checkbox"/> ბავშვის აცრების სტატუსის გადამოწმება	

ექიმის ფუნქციები - ჩაატარეთ:

- განვითარების მონიტორინგი და სკრინინგი
- ბავშვის სრული ობიექტური გასინჯვა
- იმუნიზაცია ეროვნული კალენდრის მიხედვით
- მშობლის კონსულტირება
- დააფიქსირეთ ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემა და დაგეგმეთ შემდგომი ვიზიტი
- უზრუნველყავით დროული რეფერალი საჭიროების შემთხვევაში

განვითარების ნიშანსვეტები 5-6 წლის ასაკში	
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × ჩადის კიბეზე საყრდენის გარეშე ფეხის მონაცვლეობით × დგას და წონასწორობას ინარჩუნებს ცალ ფეხზე 8 წმ-მზე მეტი × შეუძლია ცალ ფეხზე ხტუნვით გაიაროს დაახლოებით 4 მეტრი × ხტის უკან
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> × იხატავს სამკუთხედს × ჭრის მაკრატლით × წერს სახელს
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> × ყავს მეგობართა ჯგუფი × შეუძლია ბოდიშის მოხდა შეცდომის გამო × სიტყვიერად გამოხატავს კმაყოფილებას სხვისი წარმატების გამო
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> × ხატავს ადამიანს 8-10 ნაწილით × სწორად იძლევა 10-მდე საგანს თხოვნისას (მაგ.: მომეცი 8 ფანქარი) × ცნობს ხურდა ფულს × ითვლის 10-მდე × ასახელებს 10 ფერს × იცის მარჯვენა და მარცხენა საკუთარ სხეულზე × შეუძლია მიუთითოს ერთგვაროვან საგნებს შორის განსხვავებულზე × იცის ზედასართავები: წვრილი, გრძელი და სხვ. × სწორად უთითებს: კუთხე, გვერდი, შუა × იმეორებს 6-8 სიტყვიან წინადადებას × განმარტავს მარტივ სიტყვებს × იცის 2000-მდე სიტყვა × პასუხობს კითხვაზე - რატომ?

	× ყველა შინაარს მოსმენილის დასაწყისით, შუა ნაწილით და დასასრულით.
--	---

ექთანი:

- დაუკვირვით დედის(მშობლის/მომვლელის) და ბავშვის ურთიერთობას
- უზრუნველყავით ასაკისთვის შესაბამისი იმუნიზაციის ჩატარება ეროვნული კალენდრის მიხედვით
- შეავსეთ ბავშვის განვითარების ისტორია
- ესაუბრეთ მშობელს შემდეგ საკითხებზე:
 - × **ჯანმრთელობის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები** (რისკები - ძალადობა სამეზობლოსა და ოჯახში, საკვების უსაფრთხოება, თამბაქო, ალკოჰოლი და ნარკოტიკები; ძლიერი და დამცავი ფაქტორები - ემოციური უსაფრთხოება და თვითრწმენა, ოჯახთან მჭიდრო ბმა).
 - × **განვითარება და მენტალური ჯანმთელობა** (ოჯახის წესები და რუტინა, სხვა ადამიანების პატივისცემა და ზრუნვა, მოთმინებისა და ბრაზის კონტროლის უნარი)
 - × **ბავშვი / სკოლა** (მზაობა, ჩამოყალიბებული რუტინა, სასკოლო მზაობა, სასკოლო დასწრება, მეგობრები; სკოლის შემდგომი მოვლა და აქტივობები, მშობლისა და მასწავლებლის კომუნიკაცია)
 - × **ზრდა და განვითარება** (პირის ღრუს ჯანმრთელობა [სტომატოლოგთან რეგულარული ვიზიტები, კბილების გამოხეხვა და კბილის ძაფის გამოყენება, შაქრით დამტკვარი სასმელების და წახემსებების შეზღუდვა], კვება [ჯანსაღი წონა; ბოსტნეულის წილის გაზრდა, ხილი, უხეშად დაფქვილი ბურღულის შემცველი საკვები, ვიტამინი D და კალციუმის ადეკვატური რაოდენობით მიღება, სკოლის ჯანსაღის კვება], ფიზიკური აქტივობა [სულ მცირე 60 წუთი ფიზიკური აქტივობა დღის მანძილზე].
 - **უსაფრთხოება** (მანქანაში უსაფრთხოება, უსაფრთხოება გარემოში და წყალთან, მზისგან დაცვა, მოზრდილებისგან მომდინარე საფრთხე, იარაღის უსაფრთხო შენახვის წესები) ძალადობრივი შინაარსის მედია პროდუქტის ზეგავლენისაგან ბავშვის დაცვის მიზნით შეამცირეთ ეკრანთან ყოფნის დრო, მქსიმალურად და გააკონტროლეთ მედიის შინაარსი, რომელისაც ბავშვი უყურებს ან თამაშობს

12 გაიდლაინის დანერგვისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

რესურსი	ფუნქციები/მნიშვნელობა	შენიშვნა
ადამიანური		
ოჯახის ექიმი	ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის განხორციელება, განვითარების სკრინინგი, იმუნიზაციის მართვა, პათოლოგიის პრევენცია და დროული გამოვლენა, საჭიროებისას ბავშვის დროული რეფერალი შესაბამისი ჩარევისთვის.	
ექთანი	ბავშვის პრევენციული ვიზიტების ორგანიზება, შეხსენებების უზრუნველყოფა შესაბამის ვიზიტებზე ბავშვის გამოცხადებისთვის, ექიმის მითითებით ბინაზე ვიზიტების განხორციელება, პათოლოგიის გამოვლენისას ბავშვის რეფერალი ოჯახის ექიმთან ან პედიატრთან, მშობლის	

	განათლება კონკრეტული ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე	
რეგისტრატორი	პაციენტების სატელეფონო ზარების მართვა, ბინაზე და კლინიკაში ვიზიტების ორგანიზება	
მენეჯერი/ადმინისტრატორი	გაიდლაინის დანერგვის ხელშეწყობა; დანერგვაზე მეთვალყურეობა; აუდიტის ჩატარება და შედეგების ანალიზი	
მატერიალურ-ტექნიკური რესურსები		
ბავშვის სასწორი	წონის შეფასება	
სანტიმეტრი	თავის გარშემოწერილობის შეფასება 3 წლამდე	
ჰორიზონტალური სიგრძის საზომი	ბავშვის სიგრძის შეფასება 2 წლამდე ასაკში	
სიმაღლზომი	2 წლის შემდეგ ბავშვის სიმაღლის განსაზღვრა	
განვითარების და აუტიზმის სკრინინგის კითხვარები (ASQ, M-CHAT)	განვითარების და აუტიზმის სკრინინგი შესაბამის პრევენციულ ვიზიტებზე	
სამედიცინო ბარათები (ელექტრონული ან ქაღალდური) ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის დოკუმენტირებისთვის	0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის შედეგების დოკუმენტირება, მონაცემთა წყარო კლინიკური აუდიტისთვის	
დისტანციურად ვიზიტის განხორციელებისთვის შესაბამისი მოწყობილობა (კომპიუტერი, პლანშეტი ან სმარტფონი)	დისტანციური პრევენციული კონსულტაციის განხორციელება შესაბამის ასაკში	სასურველი
პაციენტის საგანმანათლებლო მასალა	ბავშვის მშობლების განათლება	სასურველი
იმუნიზაციის ბარათი	მშობლისთვის გასატანებლად და მომდევნო გეგმიური აცრის მისათითებლად	სავალდებულო

13 აუდიტის კრიტერიუმები

სტრუქტურის აუდიტი

1. დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლამდე ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის გაიდლაინი/პროტოკოლი;
2. ოჯახის ექიმებს და ექთნებს ჩატარებული აქვთ ტრენინგი აღნიშნული გაიდლაინის გამოყენების შესახებ;
3. დაწესებულება გააჩნია სათანადო ინფრაქსტრუქტურა მეთვალყურეობის განხორციელებისთვის (ოთახი, სასწორი, სანტიმეტრი, განვითარების სეფასების კითხვარები).

პროცესის აუდიტი

1. 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ სულ მცირე, 5 პრევენციული ვიზიტი;
2. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ განვითარების სკრინინგი სპეციალური კითხვარით 9 ან 12, 18 და 30 ან 36 თვის ასაკში;
3. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ აუტიზმის სკრინინგი 18 და 24 თვის ასაკში;
4. 12 თვის ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც წლის მანძილზე ჩაუტარდათ აცრა DTP ვაქცინის სამი დოზით;
5. 1 წლიდან 1,5 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც წლის მანძილზე ჩაუტარდათ აცრა წითელა-წითურა-ყბაყურას კომბინირებული ვაქცინის რეკომენდებული დოზით;
6. იმ ბავშვების მშობელთა %, რომელთაც ჩაუტარდათ საგანმანათლებლო კონსულტირება ბავშვის ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე.

გამოსავლის აუდიტი

1. ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც გამოუვლინდათ განვითარების შეფერხება და გაიგზავნენ შესაბამისი ჩარევისთვის;
2. ბავშვების რაოდენობა, რომლებიც გაიგზავნენ აუტიზმის სპეციალიზებულ სამსახურში;
3. ბავშვების რაოდენობა, რომელთაც გამოუვლინდათ ჯანმრთელობის სოციალური რისკფაქტორები და გაიგზავნენ შესაბამის სოციალურ სამსახურში.

14 გაიდლაინის გადახედვის ვადები

სასურველია გაიდლაინი გადაიხედოს და შეივსოს გამოყენებული წყაროების განახლების შემთხვევაში, ახალი მტკიცებულებების გათვალისწინებით.

15 სამუშაო ჯგუფი:

გაიდლაინი შემუშავებულია მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის მიერ:

ირინა ქაროსანიძე - ოჯახის ექიმი, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის პრეზიდენტი

ნატო შენგელია - პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტი საქართველოში, ჩეხეთის კარიტასი საქართველოში, პროექტის კლინიკური ექსპერტი;

მარინა შიხაშვილი - პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტი საქართველოში, ჩეხეთის კარიტასი საქართველოში, პროექტის წამყვანი კლინიკური ექსპერტი;

მაია ხერხეულიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის და საერთაშორისო მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის პედიატრიული დეპარტამენტი, მედიცინის დოქტორი.

ეკა კანდელაკი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის და საერთაშორისო მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის პედიატრიული დეპარტამენტი, მედიცინის დოქტორი.

ნანა ყავლაშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის და საერთაშორისო მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის პედიატრიული დეპარტამენტი, მედიცინის დოქტორი

დანართი №1. მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების სკრინინგი

1) ახალშობილები

- a) ყველა ახალშობილს ჩაუტარეთ სკრინინგი
- b) ჩაატარეთ თვალის გარეგანი დათვალიერება კალამი-ფარნის მეშვეობით – პოზიციის, სიმეტრიულობის, სიელმის, ასევე, თვალის გარშემო ქსოვილების ცვლილებების დასადგენად (თვალეები უნდა შემოწმდეს თანდაყოლილ ანომალიაზე (მაგ.: კოლოზომა, ფტოზი, მიკროფთალმია)
- c) ოფთალმოსკოპით შეამოწმეთ წითელი რეფლექსი. თეთრი რეფლექსი პათოლოგიის ნიშანია, ისევე როგორც თეთრი გუგა. ეს მიგვანიშნებს თვალის სერიოზულ დაავადებაზე, (მაგ.: კატარაქტა, რეტინობლასტომა) გამოვლენისთანავე გაგზავნეთ სპეციალისტთან. შეამოწმეთ ქუთუთოების ხამხამის რეფლექსი კაშკაშა სინათლეზე.
- d) თუ სახეზეა თანდაყოლილი კატარაქტას ოჯახური ანამნეზი, გაიგზავნოს სპეციალისტთან.

2) გასინჯვა 6 კვირის ასაკში

- a) განმეორებით შეამოწმეთ წითელი რეფლექსი
- b) შეამოწმეთ მზერის ფიქსაციის უნარი და სინათლისთვის ან დიდი ზომის ობიექტისთვის მცირე დიაპაზონში (45-90°) თვალის გაყოლების უნარი. დააკვირდით ხომ არ შეიმჩნევა თვალეების პათოლოგიური მოძრაობები
- c) ჰკითხეთ დედას ხომ არ ეჭვობს ბავშვის მხედველობის პათოლოგიაზე

3) გასინჯვა 3 თვის ასაკში

- a) შეამოწმეთ მზერის ფიქსაციისა და ფართო დიაპაზონში (90-180°) საგნებისთვის ან სინათლისთვის თვალის გაყოლების უნარი
- b) გასინჯეთ გუგა (ფორმა, რეაქცია სინათლეზე)
- c) ოფთალმოსკოპით შეამოწმეთ წითელი რეფლექსი

4) გასინჯვა 6-8 თვის ასაკში

- a) კითხეთ დედას ხომ არ უჩივის ბავშვის მხედველობის პრობლემებს
- b) დააკვირდით ინტერესდება თუ არა ბავშვი ახლო და შორი საგნებით
- c) დააკვირდით ხომ არ აღინიშნება პათოლოგიური მხედველობითი ქცევა?
- d) დააკვირდით ხომ არ აღინიშნება სიელმე და თავის პათოლოგიური დაჭერა. თუ სიელმეზე დაეჭვდებით, დააკვირდით გუგის სინათლის რეფლექსს და ჩაატარეთ დაფარვის ტესტი

5) გასინჯვა 18 თვის ასაკში

- a) შეამოწმეთ სინათლის რეფლექსი დასიელმეზე ეჭვის დროს ჩაატარეთ დაფარვის ტესტი
- b) შეამოწმეთ მზერის ფიქსაცია და კონვერგენცია ახლომდებარე საგანზე
- c) დააკვირდით ხომ არ აღინიშნება თავის პათოლოგიური დაჭერა

6) გასინჯვა 3-3,5 წლის ასაკში

- a) განსაზღვრეთ მხედველობის სიმახვილე ნახატების გამოყენებით

- b) დაათვალიერეთ თვალი და მიმდებარე ქსოვილები კალამი-ფარნის საშუალებით
- c) გასინჯეთ გუგა
- d) შეამოწმეთ თვალის მოძრაობები და რქოვანას რეფლექსები, ჩაატარეთ დაფარვის ტესტი
- e) ოფთალმოსკოპით შეამოწმეთ წითელი რეფლექსი, დაათვალიერეთ ბადურა (ფუნდოსკოპია)

7) გასინჯვა 5-6 წლის ასაკში

- a) შეამოწმეთ მხედველობის სიმახვილე სინცევის ტაბულით
- b) დაათვალიერეთ თვალი და მიმდებარე ქსოვილები პასტა-ფარნის მეშვეობით
- c) შეამოწმეთ გუგის რეაქცია სინათლეზე
- d) დააკვირდით თვალების მოძრაობებს, ჩაატარეთ დაფარვის ტესტი და გასინჯეთ რქოვანას რეფლექსები (სიელმის დასადგენად)
- e) ოფთალმოსკოპია წითელი რეფლექსის შესამოწმებლად და ფუნდოსკოპია

მხედველობა

მხედველობის სკრინინგი იწყება მხედველობის შემოწმებით, შემოწმების მეთოდი ასაკის მიხედვით სხვადასხვაა:

ახალშობლებში მოწმდება გუგის რეაქცია სინათლეზე და კაშკაშა სინათლეზე ქუთუთოების ხამხამის რეფლექსი

6-8 კვირის ასაკში ჩვილი თვალს უნდა ადევნებდეს სინათლეს ან დიდი ზომის საგნებს მცირე დიაპაზონში (45 - 90°). ამ ტესტის ჩასატარებლად გამომცდელი კაშკაშა ფერის საგანს ან საკუთარ სახეს ამოძრავებს ბავშვის მხედველობის ველში დაახლოებით 30-40 სმ-ის დაშორებით. ბავშვი უნდა იყოს წყნარად, მაგრამ ყურადღებით


3 თვის შემდეგ ბავშვს უნდა შეეძლოს სახეებზე ან საინტერესო საგნებზე მზერის მყარად დაფიქსირება და თვალის გაყოლება ფართო დიაპაზონში (90-180°)

2-5 წლამდე ასაკის ბავშვებთან, რომლებსაც გარკვეული სამეტყველო უნარ-ჩვევები აქვთ, შეგვიძლია გამოვიყენოთ მარტივი და მკაფიო ნახატებიანი წიგნები. სთხოვეთ ბავშვს, მიუთითოს წიგნში ნაცნობი საგნები: ძაღლი, ბავშვი, ყვავილი

სკოლამდელი ასაკის ბავშვები (5 წლის შემდეგ) – მხედველობის სიმახვილის შემოწმება ხდება სინცევის ტაბულით (ცალ მხარეს გახსნილი რგოლების საშუალებით) ან ნახატებით, ან “E” თამაში

სასკოლო ასაკის ბავშვები – ამ ასაკის ბავშვებისთვის სივცევის ასობისა და ციფრების ცხრილი მხედველობის სიმახვილის შეფასების ოქროს სტანდარტს წარმოადგენს

მხედველობის სიმახვილე თითოეულ თვალში ფასდება ცალ-ცალკე, ამ დროს მეორე თვალი დაფარულია და დაუფარავი თვალის შემოწმებას ასაკისთვის შესაფერისი ტექნიკით ვატარებთ




სიელმე

სკრინინგის შემდეგი ეტაპი სიელმეზე შემოწმება, ანუ ბინოკულარული თანასწორობის დადგენა. მცირე ასაკის ბავშვებში სიელმე (სტრაბიზმი) უნდა განვასხვავოთ საკმაოდ ხშირი ფსევდოსტრაბიზმისგან, რომლის დროსაც შიგნითა დევიაცია ანუ ეზოტროპია გამოწვეულია თვალის შიგნითა კუთხესთან ქუთუთების დიდი ნაკვეთია და ცხვირის განიერი უნაგირით (იხ. სურათი 1).



სურათი 1 – ფსევდოსტრაბიზმი

სიელმის დადგენის ყველაზე გავრცელებული მეთოდი რქოვანას სინათლის რეფლექსის ტესტირებაა. ტესტი ასე ტარდება: პაციენტს 1 მ-ის მანძილიდან თვალებში ანათებენ სინათლეს და ორივე თვალის რქოვანადან სინათლის სხივის არეკვლის ადგილს აფიქსირებენ. ეს ადგილი ორივე თვალში სიმეტრიულად უნდა იყოს განლაგებული, მაშინაც კი, თუ თვალები მოძრაობს. ასიმეტრიის შემთხვევაში სავარაუდოა სიელმე. შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტი:



- A. ნორმალურ შემთხვევაში – სხივი ორივე თვალის ცენტრში აირეკლება
- B. მარცხენა ეზოტროპია (შიგნითა სიელმე) — მარცხენა თვალში არეკვლის ადგილი გარეთ არის გადანაცვლებული.
- C. მარცხენა ეგზოტროპია (გარეთა სიელმე) – მარცხენა თვალში არეკვლის ადგილი შიგნით არის გადანაცვლებული
- D. მარცხენა ჰიპერტროპია – მარცხენა თვალში არეკვლის ადგილი ქვემოთ არის გადანაცვლებული.

სიელმის დასადგენი მეორე მეთოდია დაფარვის ტესტი: ბავშვი უყურებს 3 მ-ით დაშორებულ მცირე საგანს (სათამაშოს). ექიმი დაუფარავს ერთ თვალს ფირფიტით და მეორე თვალის მოძრაობასა და ფიქსაციას აკვირდება. შემდეგ ფირფიტას მოაცილებს და თვალის დევიაციას (ცთომას) აკვირდება. თუ ამ ტესტის შედეგად გამოვლინდება რომელიმე თვალის დევიაცია, ნაჩვენებია სპეციალისტთან გაგზავნა.

ოფთალმოსკოპია

- რეტინოსკოპია რეკომენდებულია ინტრაოკულარული პათოლოგიის აღმოსაჩენად.
1. ექიმი ზის ბავშვის პირისპირ. მარჯვენა თვალით ხდება ბავშვის მარჯვენა თვალის გამოკვლევა, მარცხენა თვალით – მარცხენასი
 2. ბავშვი უნდა გაავართხილოთ, რომ თვალებში კაშკაშა სინათლეს მივანათებთ, მაგრამ ეს მტკივნეული არ იქნება
 3. პირველ რიგში უნდა შემოწმდეს წითელი რეფლექსი. თუ წითელი რეფლექსი არ არის, ან არის თეთრი რეფლექსი, ეს ნიშნავს რომ ბროლი გაუმჭვირვალეა – დაუყოვნებლივ მიმართეთ ოფთალმოლოგს

(შენიშვნა: ახალშობილებში მხოლოდ წითელი რეფლექსი მოწმდება)

შემდეგ დაათვალიერეთ ბადურა. ყურადღება მიაქციეთ შემდეგ პათოლოგიებს: ბადურის სიფერმკრთალე, მხედველობის დვრილის ბუნდოვანი კონტური, დვრილის შემუშპება (პაპილოედემა). ბადურის ვენებისა და არტერიების სიგანე, დაახლოებით, თანაბარი უნდა იყოს. შეიძლება ვენების სიგანე ოდნავ სჭარბობდეს. ანომალური დილატაცია ან ანომალური პულსაცია პათოლოგიის ნიშანია.

სკრინინგის შედეგად გამოვლენილი პათოლოგიების მართვა

სკრინინგის შედეგად ნებისმიერი პათოლოგიის გამოვლენისას, პაციენტი ოფთალმოლოგთან უნდა გაიგზავნოს. ყოველი დარღვევა, რომელიც ხელს უშლის ბადურაზე გამოსახულების ნათელ აღბეჭდვას (მაგ. ისეთი თანდაყოლილი პათოლოგიები, როგორც არის თანდაყოლილი კატარაქტა,

ან მკვეთრი სიეღმე), დაუყოვნებლივ მკურნალობას მოითხოვს. რეფრაქტორული დარღვევებიც, დიაგნოზის დადგენისთანავე, კორექციას საჭიროებს.

დანართი №2 - სმენასთან დაკავშირებული პრობლემების სკრინინგი

სკრინინგის პროცესი:

ბავშვთა ასაკში სმენის სკრინინგი ბავშვთა მეთვალყურეობის პროგრამის ნაწილს წარმოადგენს. იგი უნდა ჩატარდეს რეკომენდებული ინტერვალებით: თითო-თითოჯერ ნახვა დაბადებიდან 2 კვირამდე, 6-8 კვირის, 3-4 თვის, 6-7 თვის, 9 თვის, 18 თვის, 3 წლის და 4-5 წლის ასაკში. სკრინინგის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ვიზუალური დათვალიერება

- ყურების პოზიცია _ ყურების ზედა კიდე თვალების დონეზე უნდა იყოს (დაბლა განლაგებული ყურები შეიძლება ქრომოსომული ან თირკმლის პათოლოგიის ნიშანი იყოს)
- ყურის ნიჟარის ფორმა _ ხილული პათოლოგიის გარეშე უნდა იყოს
- გარეთა სასმენი მილი _ შეშუპებისა და შეწითლების გარეშე
- ახალშობილებში დაფის აპკის ვიზუალიზაცია გამწვანებულია გარეთა სასმენ მილში ხაჭოსებრი საცხის არსებობის გამო. ამიტომ დაფის აპკს დაბადებიდან 1 კვირის შემდეგ ათვალიერებენ. ასევე, ამოწმებენ დაფის აპკის სინათლის რეფლექსს, ფერს (ნორმაში _ ღია ნაცრისფერი, სადაფისფერი), გამჭვირვალობას, გამობერილობას


სმენის სიმახვილე

- ახალშობილი** - უეცარ ხმაურზე უნდა ჰქონდეს რეაქცია: შეკრთომა, თვალების ხამხამი ან ფართოდ გახელილი თვალები.
- **6-8 კვირის ასაკში ბავშვი** უნდა ამჩნევდეს გახანგრძლივებულ ხმებს, უნდა გაირინდოს და უსმენდეს ხმას გაგონებისთანავე.
 - **3-4 თვის ასაკში** დედის ხმაზე ბავშვი უნდა დაწყნარდეს ან გაიღიმოს მაშინაც კი, როცა ვერ ხედავს. გვერდიდან ან უკნიდან დალაპარაკებისას უნდა შემოატრიალოს თავი ან თვალები.
 - **6-7 თვის ასაკში** დაუყოვნებლივ ტრიალდება ხმაურზე, ამახვილებს ყურადღებას ძალიან დაბალ ხმებზე.
 - **9 თვის ასაკში** ყურადღებით უსმენს ნაცნობ ბგერებს, აკვირდება ჩუმ ბგერებს. სიამოვნებს ხმამაღალი ღუღუნის.
 - **12 თვის ასაკში** ბავშვს აქვს რეაქცია თავის სახელზე, სიტყვებზე _ „არა“, ნახვამდის” _ მაშინაც კი, როცა თანმხლებ ჟესტს ვერ ხედავს.

დანართი №3. ბარბაყის დისპლაზიის სკრინინგი


სკრინინგის პროცედურა

გასინჯვის პერიოდულობა: გასინჯვა ბარძაყის თავის ამოვარდნილობის დასადგენად უნდა ხდებოდეს დაბადებიდან 2-4 დღის ასაკში (პირველი გასინჯვა, უმეტესად, სამშობიაროში ტარდება), 1, 2, 4, 6, 9 და 12 თვის ასაკში – ჯანმრთელი ბავშვის მეთვალყურეობის ყველა ვიზიტზე, სადაც ნაჩვენებია ფიზიკალური გასინჯვა.



14





<u>რისკ-ფაქტორები</u>	<u>რეკომენდებული ქმედება</u>
გოგონა	გაგრძელეთ მეტალოურება ჩვეულებრივი გეგმით
ოჯახური ანამნეზი და ბიჭი	გაგრძელეთ მეტალოურება ჩვეულებრივი გეგმით
ოჯახური ანამნეზი და გოგონა	დაგეგმეთ ულტრაბგერითი ან რენტგენოლოგიური გამოკვლევა
ჯდომითი წინამდებარეობა და ბიჭი	დაგეგმეთ ულტრაბგერითი ან რენტგენოლოგიური გამოკვლევა
ჯდომითი წინამდებარეობა და გოგონა	დაგეგმეთ ულტრაბგერითი ან რენტგენოლოგიური გამოკვლევა

შენიშვნა: რენტგენოგრაფიული გამოკვლევა 4 თვის ასაკამდე ნაკლებად ღირებულია, რადგან ამ პერიოდში ბარძაყის თავები მთლიანად ხრტილოვანია და ვიზუალიზაცია გამწვანებულია. 4-დან 6 თვის ასაკამდე რენტგენოგრაფია უფრო საიმედოა, ამ პერიოდისთვის ბარძაყის თავში ცენტრის გაძვალება ხდება. რენტგენოგრაფია უფრო იაფი და ხელმისაწვდომია, ვიდრე ულტრასონოგრაფია, მაგრამ ულტრასონოგრაფია გაცილებით ინფორმატიულია, თანაც რენტგენოგრაფიისგან განსხვავებით, მაიონიზებული რადიაციისგან თავისუფალია

ბარლოუ-ორთოლანის ტესტების ჩატარებს ტექნიკა

მენჯ-ბარძაყის სახსრის განვითარებადი დისპლაზია პროგრესირებადი პროცესია და უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ნიშნები შეიძლება იცვლებოდეს. ბარძაყის თავის სტაბილურობის

შესაფასებლად მოწოდებულია ტესტირების 2 მეთოდი – ბარლოუს და ორთოლანის ტესტები. ბარდაყის თავის ამოვარდნილობის პათოგნომური ნიშანი არ არსებობს.

გასინჯვა ხდება მყარ ზედაპირზე, ბავშვი უნდა იწვეს ზურგზე, საფენების გარეშე, ხელები უნდა გქონდეთ თბილი, ბავშვი მოდუნებული უნდა იყოს. გასინჯეთ ფრთხილად და ნაზად, საჭიროა ორივე ბარდაყი გაისინჯოს ცალ-ცალკე და ერთდროულად.

ორთოლანის ტესტის შედეგად ამოვარდნილი ბარდაყის თავი ბრუნდება ფოსოში, ხოლო ბარლოუს ტესტის საშუალებით კი – ბარდაყის არასტაბილური თავი ფოსოდან ამოვარდება. ორთოლანის ტესტი შემდეგნაირად ტარდება: ბავშვი წევს ზურგზე, მენჯის დასაფიქსირებლად მოკვიდებთ ხელს სიმფიზსა და გავაზე, მეორე ხელით ვიჭერთ ფეხს ისე რომ ცერი წინა მხარეს არის, ბარდაყის შიგნითა ზედაპირზე იყოს, საჩვენებელი და შუა თითი კი უკანა მხარეს დიდ ციბრუტზე. ბარდაყი უნდა მოიხაროს 90°-ით და შემდეგ კი ნელა ვახდენთ მის განზიდვას (აბდუქციას). თანდაყოლილი ამოვარდნილობის დროს იგრძნობა ტკაცუნის და ბარდაყის ძვალი გადაადგილდება ცოტა წინ, რადგან ამოვარდნილი ბარდაყის თავი ბრუნდება ტაბუხის ფოსოში. ეს არის დადებითი ორთოლანის ნიშანი.

ბარლოუს ტესტის დროს ბავშვი წევს ზურგზე და ორივე ბარდაყი მოხრილია 90°-ით. შემდეგ მუხლზე მოკვიდებთ ხელს და ვახდენთ ფრთხილად ბარდაყის მოზიდვას (ადდუქციას) და ამავე დროს, ბარდაყს ოდნავ ვაწვებით უკან. თუ პერიოდული ამოვარდნილობაა, ვიგრძნობთ რომ ბარდაყის ძვალი გადაადგილდება უკან, ტაბუხის ფოსოს კიდეს გადასცდება და იგრძნობა ტკაცუნი. ეს ნიშნავს, რომ ბარდაყის თავი ამოვარდა ტაბუხის ფოსოდან. ეს არის დადებითი ბარლოუს ნიშანი.

გასინჯვისას 5-10 გრადუსზე იგრძნობა მყესების ტკაცუნი, თუ ამ დროს ბარდაყის თავი არ ვარდება ტაბუხის ფოსოდან, ამ ნიშანს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ტესტი უნდა ჩატარდეს ძალიან ნაზად და მხოლოდ იმ მინიმალური რაოდენობით, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად (დიაგნოზის დასასმელად). ბარლოუს ტესტი საქართველოში იშვიათად გამოიყენება. იგი კარგად მომზადებულმა სამედიცინო პერსონალმა უნდა ჩატაროს.

ბარდაყის თავის ამოვარდნილობის სხვა კლასიკური ნიშნები

ა) ბარდაყების 90°-ით მოხრისას ფეხები ნორმაში 75°-ზე იშლება. გამლა შეზღუდულია ამოვარდნილ მხარეს და ეს ამოვარდნილობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანია

ბ) მუხლის ზევით კიდური ნორმალურ მხარესთან შედარებით დამოკლებულია. ეს ნათლად ჩანს, როცა ორივე კიდური მოხრილია და მუხლების დონეებს ერთმანეთს ვადარებთ.

გ) როცა ბავშვი პირქვე წევს, დუნდულო დაზიანებულ მხარეს უფრო ბრტყელია.

ყველა ამ ნიშანს საერთო ისა აქვს, რომ ჯანმრთელი მხარე გამოიყენება შესადარებლად. ამიტომ როცა ამოვარდნილობა ორმხრივია, დაავადების დადგენა რთულდება.

ახალშობილებში კანის ასიმეტრიული ნაკეცი თანდაყოლილი ამოვარდნილობის ნიშნად აღარ ითვლება.

სიარული

სიარული ფასდება 18 თვის ასაკში. ბავშვს დააკვირდით, როდესაც ის დაუხმარებლად არასრიალა ზედაპირზე 5 ნაბიჯს გადადგამს. ფეხზე ფეხსაცმელი ან წინდა უნდა ეცვას.

თანდაყოლილი ამოვარდნილობის მქონე ბავშვების უმეტესობა დგება და სიარულს იწყებს შესაბამის ასაკში, მაგრამ ასეთი ბავშვების 20% ვერ დადის 18 თვის ასაკში და ისინი სასწრაფოდ უნდა შემოწმდნენ ბარდაყის თავის თანდაყოლილ ამოვარდნილობაზე. თუ ცალმხრივი ამოვარდნილობაა, ბავშვი კოჭლობს და ეცემა დაზიანებულ მხარეს, დაზიანებული ფეხი ნაწილობრივ გარეთა როტაციულ მდგომარეობაშია და მოკლე ხანს ორმხრივი ამოვარდნილობისას ორივე კიდური როტირებულია გარეთ.

გაგზავნა სპეციალისტთან

დაუყოვნებლივ გაგზავნეთ სპეციალისტთან საკონსულტაციოდ ყველა ბავშვი, რომელსაც სკრინინგული ტესტის დროს გამოუვლინდება ბარდაყის პათოლოგია და აგრეთვე ისინიც, რომლებიც თქვენს ყურადღებას იქცევენ.

დანართი №4. სათესლეების სკრინინგი

რისკ-ფაქტორები:

- დაბადებისას დაბალი წონა
- ნაადრევი მშობიარობა
- საზარდულის თიაქარი

სკრინინგის პროცედურა:

სათესლეების სკრინინგი ტარდება დაბადებისას, 6-8 კვირის და 3,5-4 წლის ასაკში.

გასინჯვა

- გასინჯეთ თბილი ხელებით
- ბავშვი უნდა იყოს მოდუნებული, იწვეს ზურგზე
- თუ სათესლე არ ისინჯება მოზრდილ ბავშვებში, გასინჯეთ ჩაცვუქულ მდგომარეობაში, რადგან ამ დროს მოძრავი სათესლეები ჩამოდის სკროტუმის (სათესლე პარკის) ფუძესთან
- მთლიანად ჩამოსული სათესლეები პალპაციით ისინჯება სკროტუმის ფუძეზე ბოქვენის ბორცვიდან 4 სმ-ით ქვევით
- თუ არც ერთი სათესლე არ პალპირდება სათესლე პარკში, ეცადეთ ერთი ხელით გამოდევნოთ იგი სათესლე პარკისკენ, საზარდულის არხის გასწვრივ, შიდა რგოლიდან გარეთა მიმართულებით, მეორე ხელით შეიძლება მისწვდეთ მას და ნაზად ჩამოსწიოთ სათესლე პარკისკენ, სადამდეც საშუალებას მოგცემთ.

სკრინინგის შედეგად გამოვლენილი პათოლოგიების მართვა

გასინჯვა დაბადებისას

ორივე სათესლე კარგად არის ჩამოსული სათესლე პარკში ან საზარდულის არხში

პალპაციით არ ისინჯება მაღლაა ძნელია ქვევით ჩამოწევა

გასინჯვა 6-8 კვირის ასაკში

↓
ორივე სათესლე კარგად არის ჩამოსული სათესლე პარკში ან საზარდულის არხში
↓
განმეორებითი გასინჯვა 3-4 წლის ასაკში


↓
პალპაციით არ ისინჯება მაღლაა ძნელია ქვევით ჩამოწევა
↓
განმეორებითი გასინჯვა 8-9 თვის ასაკში

თუ პალპაციით არ ისინჯება სათესლე პარკში ან საზარდულის არხში მაღლაა ძნელია ქვევით ჩამოწევა

→ გაგზავნეთ ბავშვი ქირურგთან/უროლოგთან

დანართი №5. აუტისტური სპექტრის დარღვევების სკრინინგის ალგორითმი განვითარების მონიტორინგი

- მშობლის ჩივილის შეფასება
- რისკის ჯგუფის გამოვლენა
- სოციალური კომუნიკაციის ნიშანსვეტების შეფასება
- საშიშროების ნიშნების შეფასება



დანართი №6. აუტიზმის მოდიფიცირებული, განახლებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის (M-CHAT-R)

გამოყენების ინსტრუქცია

M-CHAT-R-ის გამოყენება შესაძლებელია როგორც ბავშვების რეგულარული სამედიცინო შემოწმებისას, ასევე სპეციალისტების მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის რისკის შესაფასებლად. M-CHAT-R-ის ძირითადი მიზანია აუტიზმის სპექტრის დარღვევის რისკის მქონე ბავშვების აღმოჩენა შემდგომი შეფასებისთვის. აქედან გამომდინარე, მაღალია ცრუ დადებითი შედეგების

რაოდენობა - ყველა ბავშვს, რომელსაც რისკის ჯგუფს მივაკუთვნებთ, არ დაესმება აუტიზმის დიაგნოზი. თუმცა, ამ ბავშვებს მაინც აქვთ მაღალი რისკი, რომ აღმოაჩნდებოდნენ განვითარების სხვა დარღვევები ან ფსიქიკური განვითარების შეფერხება; შესაბამისად, ეს შეფასება გამართლებულია ნებისმიერი ბავშვის შემთხვევაში, რომელიც დადებით შედეგს იღებს. M-CHAT-R-ის ქულების დათვლას ორ წუთზე ნაკლები დრო სჭირდება.

ქულების დათვლის ალგორითმი

მე-2, მე-5 და მე-12 პუნქტების გარდა, პასუხი „არა“ აღნიშნავს აუტიზმის რისკს; მე-2, მე-5 და მე-12 პუნქტებისათვის პასუხი „დიახ“ აღნიშნავს აუტიზმის რისკს. შემდეგი ალგორითმი ხაზს უსვამს M-CHAT-R-ის ფსიქომეტრულ თვისებებს:

დაბალი რისკი: ქულების საერთო რაოდენობაა 0-2; თუ ბავშვი ჯერ არაა 24 თვის, შეამოწმეთ ხელახლა მას შემდეგ, რაც ორი წლის გახდება. საჭირო არაა დამატებითი ზომების მიღება, თუ დაკვირვებამ არ აჩვენა აუტიზმის რისკი.

საშუალო რისკი: ქულების საერთო რაოდენობაა 3-7; ჩაატარეთ შემდგომი შეკითხვების ეტაპი (M-CHAT-R/F-ის მეორე ეტაპი) რისკთან დაკავშირებული პასუხების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. თუ M-CHAT-R/F-ის ქულა 2 ან მეტი იყო, ბავშვს აქვს აუტიზმის სპექტრის დარღვევის რისკი და საჭიროა დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარება, ადრეული ინტერვენციის შესაძლებლობის განსაზღვრა. თუ დამატებით შეკითხვებში ქულა 0-1-ია, აუტიზმის სპექტრის დარღვევის რისკი არ დასტურდება. შემდგომი ზომების მიღება საჭირო არაა. ბავშვის ხელახალი შემოწმება საჭიროა შემდგომი გეგმიური სამედიცინო შემოწმებისას.

მაღალი რისკი: ქულების საერთო რაოდენობაა 8-20; რეკომენდებულია შემდგომი შეკითხვების ეტაპის გარეშე დიაგნოსტიკური შემოწმების ჩატარება და ადრეული ინტერვენციის შესაძლებლობის განსაზღვრა.

აუტიზმის მოდიფიცირებული განახლებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის M-CHAT-R™

თუ შეიძლება უპასუხეთ კითხვებს თქვენი შვილის შესახებ. გაითვალისწინეთ, ჩვეულებრივ როგორ იქცევა თქვენი ბავშვი. თუ ქცევა იშვიათად გინახავთ, ბავშვი ჩვეულებრივ არ იქცევა ასე, თუ შეიძლება უპასუხეთ „არა“. გთხოვთ, შემოხაზოთ „დიახ“ ან „არა“ ყველა კითხვაზე. ძალიან დიდი მადლობა.

1. ოთახის გასწვრივ (მოშორებით) რაიმე საგანზე მიუთითებისას შეხედავს თქვენი ბავშვი იმ საგანს? (მაგ. თუ თქვენ მიუთითებთ სათამაშოზე ან ცხოველზე, შეხედავს ბავშვი ამ სათამაშოს ან ცხოველს?)	კი	არა
2. ოდესმე ხომ არ გიეჭვიათ, რომ თქვენი ბავშვი ყრუა?	კი	არა
3. თამაშობს თუ არა თქვენი ბავშვი წარმოსახვით თამაშებს? (მაგ. ვითომ სვამს ცარიელი ჭიქიდან, ვითომ ლაპარაკობს ტელეფონზე, ვითომ აჭმევს თოჯინას ან რბილ სათამაშოს?)	კი	არა
4. უყვარს/მოწონს თქვენს ბავშვს საგნებზე აძრომა? (მაგ.: ავეჯი, სათამაშო მოდნის ნაგებობები ან კიბეები)	კი	არა
5. ხომ არ აკეთებს თქვენი ბავშვი თითების უჩვეულო მოძრაობებს თვალების ახლოს? (მაგ.: არხევს თქვენი ბავშვი თითებს თვალებთან ახლოს?)	კი	არა
6. უთითებს თქვენი ბავშვი ერთი თითით, რათა გთხოვოთ რაიმე საგანი ან მიიღოს დახმარება? (მაგ.: უთითებს სათამაშოს ან საჭმელზე, რომელსაც ვერ წვდება?)	კი	არა
7. უთითებს თქვენი ბავშვი ერთი თითით, რათა გაჩვენოთ რაიმე საინტერესო საგანი? (მაგ.: მიუთითებს თვითმფრინვაზე ცაში ან სატვირთო მანქანაზე გზაზე?)	კი	არა
8. გამოხატავს თქვენი ბავშვი ინტერესს სხვა ბავშვების მიმართ? (მაგ.: ადევნებს თვალს სხვა ბავშვებს, უღიმის, მიდის მათთან?)	კი	არა
9. გიჩვენებთ თქვენი ბავშვი სხვადასხვა საგანს მოტანით ან თქვენსკენ გამოწვდით, არა დახმარების, არამედ უბრალოდ გაზიარების მიზნით? (მაგ.: გიჩვენებთ ყვავილს, რბილ სათამაშოს ან სათამაშო მანქანას)	კი	არა
10. რეაგირებს თქვენი ბავშვი, როდესაც მას სახელით მიმართავთ? (მაგ.: სახელის დამახებისას შემოგხედავთ, გელაპარაკებათ და გეტიტინებათ, ან შეწყვეტს მოქმედებას)	კი	არა
11. გიღიმით თქვენი ბავშვი თქვენი ღიმილის საპასუხოდ?	კი	არა
12. ღიზიანდება თქვენი ბავშვი ჩვეულებრივი ყოველდღიური ხმაურზე? (მაგ.: მტვერსასრუტის ხმის ან ხმამაღალი მუსიკის გაგონებისას ხომ არ ტირის ან კივის?)	კი	არა
13. თქვენი ბავშვი დადის?	კი	არა
14. გიყურებთ თქვენი ბავშვი თვალებში, როდესაც მას ელაპარაკებით, ეთამაშებით ან აცმევთ?	კი	არა
15. ცდილობს თქვენი ბავშვი გაიმეოროს თქვენი მოქმედება? (მაგ.: გიქნევთ ხელს, უკრავს ტაშს, გამოსცემს სახალისო ხმებს, როდესაც თქვენ იმავეს აკეთებთ?)	კი	არა
16. თუ თქვენ თავს მიაბრუნებთ, რომ რაიმეს შეხედოთ, თქვენი ბავშვი მიმოიხედავს (მზერითმოდებნის), რათა დაინახოს საგანი, რომელსაც თქვენ უყურებთ?	კი	არა
17. ცდილობს თქვენი ბავშვი გაიძულოთ შეხედოთ მას? (მაგ.: გიყურებთ თქვენი შვილი, რათა შეაქოთ, გეუბნებათ „ მიყურე“ ან „ შემოხედე“?)	კი	არა
18. ესმის თქვენს ბავშვს, როდესაც რაიმეს გაკეთებას თხოვთ? (მაგ.: თუ არ მიუთითებთ, მიხვდება დავალების მნიშვნელობას „ დადე წიგნი მაგიდაზე“ ან „მომიტანე საბანი“?)	კი	არა
19. თუ რაიმე ახალი ხდება, შემოგხედავთ თქვენი ბავშვი სახეში თქვენი გრძნობების შესაფასებლად? (მაგ.: როდესაც ესმის უცნაური ან სახალისო ხმები, ან ხედავს ახალ სათამაშოს, შემოგხედავთ თუ არა სახეში?)	კი	არა
20. მოწონს თქვენს ბავშვს მოძრაობითი აქტივობები? (მაგ.: თქვენ მუხლებზე ქანაობა ან რწყვა)	კი	არა

ქულების მინიჭების ალგორითმი:

სარისკო პასუხს ენიჭება ერთი ქულა. ყველა კითხვაზე მე-2, მე-5 და მე-12 კითხვის გარდა პასუხი „არა“ მიუთითებს აუტისტური სპექტრის დარღვევების რისკზე. კითხვებზე 2, 5 და 12 პასუხი „დიახ“ მიუთითებს აუტისტური სპექტრის დარღვევების რისკზე. უნდა დაჯამდეს სარისკო პასუხების რაოდენობა.

- **ქულა 0-2: დაბალი რისკი:** შემდეგი ქმედება არ არის საჭირო, განმეორებით შეაფასეთ 24 თვეზე, თუ ბავშვი 2 წელზე პატარაა.

- **ქულა 3-7: საშუალო რისკი:** რეფერალი რათა ჩატარდეს გამოკითხვა შემდგომი შეფასების კითხვარით - M-CHAT-R-F.
- **ქულა 8-20: მაღალი რისკი:** დაუყოვნებელი რეფერალი დიაგნოსტიკური შეფასებისა და ადრეული ინტერვენციის აუცილებლობის შეფასების მიზნით

©2009 Diana Robins, Deborah Fein, & Marianne Barton
 Georgian translation: Eka Kandelaki, Nani Kavlashvili, Maia Kherkheulidze

დანართი N7. ცხრილები

ცხრილი N7-1. რკინადეფიციტური ანემიის რისკფაქტორები ჩვილებსა და ადრეული ასაკის ბავშვებში

პერიოდი	რისკფაქტორები
პერინატალური	დედის რკინის დეფიციტი
	დღენაკლულობა
	ერთროპოეტინის დანიშვნა დღენაკლულთა ანემიის გამო
	პერინატალური ჰემორაგიული მოვლენა (მაგალითად, საშვილოსნოსშიდა სისხლდენა)
ჩვილობა	კვებითი რისკფაქტორები: <ul style="list-style-type: none"> ▪ რკინის დანამტების ნაკლებობა ძუძუთი კვებაზე მყოფი ჩვილისთვის* ▪ რკინის დაბალი შემცველობის ჩვილის საკვები ფორმულის გამოყენება ▪ არამოდულირებული ძროხის, თხის ან სოიოს რძით კვება † ▪ არასაკმარისი რაოდენობით რკინით მდიდარი დამატებითი საკვები
	სხვა რისკფაქტორები: <ul style="list-style-type: none"> ▪ კუჭ-ნაწლავიდან სისხლის კარგვით მიმდინარე დაავადებები (მაგ.: რძის ცილით გამოწვეული პროტოკოლიტი) ▪ მალაბსორბციული დაავადებები ▪ ტყვიის ზემოქმედება
1-წლიდან <12 წლამდე	კვებითი რისკფაქტორები: <ul style="list-style-type: none"> ▪ ჭარბი რაოდენობით ძროხის რძის მიღება‡ ▪ რკინის არასაკმარისი რაოდენობა საკვებში§
	სხვა რისკფაქტორები: <ul style="list-style-type: none"> ▪ კუჭ-ნაწლავიდან სისხლის კარგვით მიმდინარე დაავადებები (მაგ.: ნაწლავის ანთებითი დაავადება ან ქრონიკული გასტრიტი) ▪ მალაბსორბციული დაავადებები (მაგ.: ცელიაკია ან ქრონიკული ნაწლავური ინფექცია) ▪ სიმსუქნე ▪ ტყვიის ზემოქმედება

* ძუძუთი კვებაზე მყოფ დღენაკლულ ჩვილებს რკინის დანამატი უნდა მიეწოდოთ 2 კვირის ასაკიდან, ხოლო დროულეებს 4 თვის შემდეგ და უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ საკმარისი ოდენობით რკინის მიღება არ მოხდება დამატებითი საკვებიდან.

† არამოდულირებული ძროხის რძე ზრდის ნაწლავიდან სისხლის კარგვას ჩვილ ბავშვებში, ფორმულით კვებასთან ან ძუძუთი კვებასთან შედარებით.

‡ რკინით მდიდარ დამატებით საკვებს მიეკუთვნება რკინით გამდიდრებული საბავშვო ფაფები და ხორცის პირეები, რომლებიც უნდა დაემატოს ბავშვის საკვებს 6 თვის ასაკიდან.

§ 1-დან 5 წლამდე ასაკში ძროხის რძის რაოდენობა უნდა შეიზღუდოს (არა უმეტეს 2 ჭიქისა დღეში)

§ სკოლამდელი ასაკის ბავშვებმა დღეში უნდა მიიღონ რკინით მდიდარი საკვების (მაგ.: გამდიდრებული ფაფა ან ხორცი) მინიმუმ 3 ულუფა.

ცხრილი N 7-2. ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალა - EPDS

პასუხები ფასდება 0-დან 3 ქულით სიმპტომების სიმძიმის ზრდის მიხედვით.

* მონიშნული კითხვები ფასდება შებრუნებითი ქულებით (მაგ: 3, 2, 1 და 0)

როგორ გრძნობდით თავს ბოლო ერთი კვირის, ბოლო 7 დღის განმავლობაში?

<p>1 შემძლია გავიცინო და დავინახო მოვლენების სასიამოვნო მხარე</p> <p>0 ისევე, როგორც ყოველთვის შემეძლო. 1 ალბათ არც ისე ხშირად, როგორც შემეძლო 2 ნამდვილად არც ისე ხშირად, როგორც შემეძლო 3 არ შემეძლია</p> <p>2 ველი, რომ მომავალი სასიამოვნო იქნება</p> <p>0 ისევე, როგორც ყოველთვის შემეძლო. 1 ალბათ არც ისე ხშირად, როგორც ადრე 2 ნამდვილად არც ისე ხშირად, როგორც ადრე 3 არა, არასდროს</p> <p>*3 ჩემს თავს ზედმეტად ვადანაშაულებ, როდესაც საქმეები კარგად არ მიდის:</p> <p>3 დიახ, უმეტეს შემთხვევაში. 2 დიახ, ხანდახან. 1 არც ისე ხშირად. 0 არა, არასოდეს.</p> <p>4 უმიზეზოდ ვარ აფორიაქებული და აღელვებული:</p> <p>0 არა, არასდროს 1 თითქმის არასდროს 2 დიახ, ხანდახან 3 დიახ, ძალიან ხშირად.</p> <p>*5 უმიზეზოდ მიტანს შიში და პანიკა:</p> <p>3 დიახ, ხშირად. 2 დიახ, ხანდახან 1 არა, არც ისე ხშირად. 0 არა, არასდროს.</p>	<p>*6 იმდენი საქმე მაქვს, რომ თავს ვერ ვართმევ (ვერ ვუმკლავდები)</p> <p>3 დიახ, ძირითადად თავს ვერ ვართმევ საქმეს 2 დიახ, ხანდახან ვერ ვუმკლავდები საქმეს ისე, როგორც ადრე 1 არა, ძირითადად კარგად ვართმევ თავს საქმეს. 0 არა, თავს ისევე ვართმევ საქმეს, როგორც ადრე</p> <p>*7 ისე უბედურად ვგრძნობ თავს, რომ მიჭირს დაძინება</p> <p>3 დიახ, უმეტეს შემთხვევაში 2 დიახ, ხანდახან 1 არც ისე ხშირად 0 არა, არასოდეს</p> <p>*8 თავს მოწყენილად და უბედურად ვგრძნობ:</p> <p>3 დიახ, უმეტეს შემთხვევაში 2 დიახ, ხანდახან 1 არც ისე ხშირად 0 არა, არასოდეს</p> <p>*9 იმდენად უბედური ვარ, რომ ვტირი</p> <p>3 დიახ, უმეტეს შემთხვევაში 2 დიახ, ხანდახან. 1 მხოლოდ ზოგჯერ 0 არა, არასოდეს.</p> <p>*10 ვფიქრობ თვითდაზიანებაზე</p> <p>3 დიახ, საკმაოდ ხშირად 2 დიახ, ხანდახან 1 თითქმის არასდროს 0 არა, არასოდეს</p>
--	--

EPDS ქულა	ინტერპრეტაცია	მოქმედება
<8	დეპრესია ნაკლებად სავარაუდოა	განაგრძეთ მხარდაჭერა
9-11	შესაძლოა დეპრესია	მხარდაჭერა, განმეორებითი სკრინინგი 2-4 კვირაში
12-13	დეპრესიის საკმაოდ მაღალი შესაძლებლობა	მონიტორინგი, მხარდაჭერა შესთავაზეთ განათლება, შესაძლებელია რეფერალი
14 და მაღალი (დადებითი სკრინინგი)	სავარაუდო დეპრესია	დიაგნოსტიკური შეფასება და მკურნალობა სპეციალისტის მიერ
დადებითი ქულა (1, 2 ან 3 მე-10		საჭიროა დაუყოვნებელი დახმარება, რეფერალი ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტთან ან

კითხვაზე) - სუიციდის რისკი		საჭიროების შემთხვევაში სტაციონარში შემდგომი შეფასებისა და ჩარევისთვის. რეფერირების გადაუდებლობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის, შემდეგზე: თვითმკვლელობის აზრებს ახლავს თუ არა გეგმა, არის თუ არა ანმნეზი სუიციდის მცდელობა, არის თუ არა ფსიქიკური აშლილობის სიმპტომები და/ან არსებობს საშიშროება, რომ ბავშვს მიაყენებს ზიანს
-------------------------------	--	---

ცხრილი N7.3. ახალშობილის მეთვალყურეობა სამშობიაროში ჩატარებული ბილირუბინის სკრინინგის შემდეგ² ეს მგონია რომ მიეკუთვნება სამშობიარო სახლს და არა პირველ ჯანდაცვას? ამიტომ თუ პროტოკოლი პირველადი ჯანდაცვისთვის არის განკუთვნილი ეს აქ არ უნდა იყოს, აქ უნდა იყოს რა შემთხვევაშისჭირდება ოჯახის ექიმს ბილირუბინის დონის შეფასება და როდის უნდა გაგზავნოს რეფერალისთვის. პირველ რიგში უნდა იყოს მითითებული აქოლიური განავალი, სიყვითლის გავრცელება კრამერის სქემით 5 ზონაში და სხვ. ეს ცხრილი ოჯახის ექიმს არ ეხება ეხება სამშობიაროს

ახალშობილის ბილირუბინის სკრინინგის საფეხურები:

- საფეხური 1:** შრატის საერთო ბილირუბინის (TSB) ან ტრანსკუტანური ბილირუბინის (TcB) გაზომვა მშობიარობიდან 24-48 საათში ან გაწერამდე, რომელიც უფრო ადრე დგება.*
- საფეხური 2:** საათობრივად სპეციფიკური TSB ზღურბლის განსაზღვრა ფოტოთერაპიისთვის, ახალშობილის გესტაციური ასაკის, პოსტნატალური ასაკის და ნეიროტოქსიკურობის რისკფაქტორების გათვალისწინებით.†
- საფეხური 3:** თუ სკრინინგი ტარდება TcB-ს განსაზღვრით და მაჩვენებელი >15 მგ/დლ (257 μმოლ/ლ) ან ფოტოთერაპიის ზღურბლოვანი მაჩვენებლისგან 3 მგ/დლ-ით (51 μმოლ/ლ-ით) განსხვავდება, შედეგი უნდა დადასტურდეს TSB-ს განსაზღვრით. გადაწყვეტილება ფოტოთერაპიის დაწყებაზე უნდა ეფუძნებოდეს TSB მაჩვენებელს.
- საფეხური 4:** თუ TSB ფოტოთერაპიის ზღურბლოვან მაჩვენებელს უტოლდება ან მასზე მაღალია, რეკომენდებულია მკურნალობის დაწყება.‡
- საფეხური 5:** თუ ახალშობილის ბილირუბინის დონე ფოტოთერაპიის ზღურბლზე დაბალია, უნდა გამოითვალოს სხვაობა ფოტოთერაპიის ზღურბლოვან საათობრივად სპეციფიკურ TSB მაჩვენებელსა და ახალშობილის ბილირუბინის დონეს შორის. გადაწყვეტილება შემდგომი ტესტირების დროისა და საჭიროების შესახებ ეფუძნება აღნიშნულ სხვაობას.

რეკომენდებული მეთვალყურეობა გაწერისას ახალშობილის ბილირუბინის დონისა და გაწერის ასაკის გათვალისწინებით

რამდენად შორსაა ახალშობილის ბილირუბინის დონე ფოტოთერაპიის ზღურბლისგან?	ასაკი გაწერისას	რეკომენდებული მეთვალყურეობა
0.1-დან <2 მგ/დლ-მდე (1-დან <34 μმოლ/ლ-მდე)	<24 სთ	<ul style="list-style-type: none"> ▪ გაწერის დაყოვნება ▪ TSB-ს განმეორებითი გაზომვა 4-8 საათში ▪ ფოტოთერაპიის ადრეული დაწყება შეიძლება საჭირო იყოს გარკვეულ შემთხვევებში[§]
	≥24 სთ	<ul style="list-style-type: none"> ▪ TSB-ს განმეორებითი გაზომვა 4-12 საათში ▪ შესაძლო ვარიანტებია: <ul style="list-style-type: none"> → გაწერის დაყოვნება, ან → გაწერა ბინაზე ფოტოთერაპიის დანიშნულებით, თუ

² წყარო Kemper AR, Newman TB, Slaughter JL, et al. Clinical Practice Guideline Revision: Management of Hyperbilirubinemia in the Newborn Infant 35 or More Weeks of Gestation. Pediatrics 2022; 150:e2022058859.

		პაციენტი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, [§] ან → გაწერა ფოტოთერაპიის გარეშე, მაგრამ შედარებით ადრეული ამბულატორიული მეთვალყურეობის უზრუნველყოფით
2.0-დან <3.5 მგ/დლ-მდე (34-დან <60 μმოლ/ლ-მდე)	>12 სთ	▪ TSB-ს ან TcB-ს განმეორებითი გაზომვა ამბულატორიულად 8 - 24 საათში
3.5-დან <5.5 მგ/დლ-მდე (60-დან <94 μმოლ/ლ-მდე)	>12 სთ	▪ TSB-ს ან TcB-ს განმეორებითი გაზომვა ამბულატორიულად 1-2 დღეში
5.5-დან <7.0 მგ/დლ-მდე (94-დან <120 μმოლ/ლ-მდე)	<72 სთ	▪ ამბულატორიული მეთვალყურეობა 2 დღის ვადაში ▪ განმეორებით TcB-ს ან TSB-ს ტესტირების საჭიროება ეფუძნება კლინიკურ შეფასებას ¥
	≥72 სთ	▪ განმეორებით TcB-ს ან TSB-ს ტესტირების საჭიროება ეფუძნება ბილირუბინის ტრანექტორიას და კლინიკურ შეფასებას ¥
≥7.0 მგ/დლ (≥120 μმოლ/ლ))	<72 სთ	▪ ამბულატორიული მეთვალყურეობა 3 დღის ვადაში ▪ განმეორებით TcB-ს ან TSB-ს ტესტირების საჭიროება ეფუძნება კლინიკურ შეფასებას ¥
	≥72 სთ	▪ ამ კატეგორიაში ახალშობილთა უმეტესობა ექვემდებარება ჯანმრთელ ბავშვზე რუტინულ მეთვალყურეობას. სპეციფიკური მეთვალყურეობა ჰიპერბილირუბინემიის გამო საჭირო არ არის, თუ არ ჩნდება ახალი საექვო გარემოება (მაგალითად, კვების პრობლემა, დეფეკაციის დაყოვნება. მშობლის/მზრუნველის შფოთვა პერსონალურ სიყვილესთან დაკავშირებით).¥

მოცემულ ცხრილში შეჯამებულია მეთვალყურეობის სავარაუდო რეკომენდაციები ≥35 კვირის გესტაციური ასაკის ახალშობილებში, რომელთაც უტარდებათ ბილირუბინის რუტინული სკრინინგი სამშობიაროში. მოცემული ცხრილი არ გამოიყენება იმ ახალშობილებში, ვისაც ტესტირება ბილირუბინზე უტარდებათ დაბადებიდან პირველ 12 საათში ან ვისაც ჩაუტარდა ფოტოთერაპია.

შემოკლებები: TcB: ტრანსკუტანური ბილირუბინი; TSB: შრატის საერთო ბილირუბინი; G6PD: გლუკოზა-6-ფოსფატ-დეჰიდროჯენაზა.

* ტესტირება უფრო ადრე საჭიროა ბავშვებში ადრეული ჰიპერბილირუბინემიის კლინიკური ნიშნებით ან რისკფაქტორებით, როგორცაა Rh-უარყოფითი დედა, დადებითი ტესტი პირდაპირ ანტიგლობულინზე, ხილული სიყვილთა დაბადებიდან <24 საათში, ან ჰემოლიზური დაავადების ოჯახური ანამნეზი (მაგ.: G6PD დეფიციტი, მემკვიდრული სფეროციტოზი).

¶ ბილირუბინის საათობრივად სპეციფიკური ზღურბლოვანი მაჩვენებლები ფოტოთერაპიის დასაწყებად იხილეთ სურათი 1 და სურათი 2. გესტაციური ასაკის გარდა, ნეიროტოქსიკურობის სხვა რისკფაქტორებს მიიკუთვნება ჰემოლიზური მდგომარეობა, კლინიკური არასტაბილურობა გასული 24 საათის განმავლობაში, სეფსისი და ჰიპოალბუმინემია.

Δ ნეონატალური ჰიპერბილირუბინემიის მკურნალობა ფოტოთერაპიით ცდება მოცემული ცხრილის ჩარჩოს. ცხრილის რეკომენდაციები ეხება ბილირუბინის მაჩვენებლების მეთვალყურეობას მხოლოდ იმ ბავშვებში, სადაც ბილირუბინის დონე ფოტოთერაპიის ზღურბლზე დაბალია (ე.ი. ახალშობილები, ვისთვისაც განიხილება გაწერა სამშობიაროდან)

◇ რეკომენდებულია ფოტოთერაპიის დაწყება ადრევე (კერძოდ, TSB-ს ზღურბლთან მიახლოებული დონის შემთხვევაში) თუ ახალშობილს აღენიშნება სიყვილთა პროგრესირების კლინიკური რისკფაქტორები (მაგალითად, სიყვილთა გამოვლენა დაბადებიდან 24 საათში, ABO ან Rh შეუთავსებლობა, ბილირუბინის სწრაფად მზარდი დონე. ან მნიშვნელოვანი სისხლჩაქცევები/კეფალოჰემატომა). ახალშობილებში, რომელთაც არ აღენიშნებათ პროგრესირებადი ჰიპერბილირუბინემიის რისკფაქტორები, მკურნალობა უნდა შეირჩეს ინდივიდუალურად, მშობლის/მზრუნველის უპირატესობების გათვალისწინებით.

§ ბინაზე ფოტოტერაპია წარმოადგენს ალტერნატივას ახალშობილებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა ჩამოთვლილ კრიტერიუმს:


→ გესტაციური ასაკი ≥38 კვირაზე

- ≥ 48 საათი დაბადებიდან
 - კლინიკურად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ადეკვატური კვებით
 - მძიმე ჰიპერბილირუბინემიის კლინიკური რისკფაქტორების არარსებობა (მაგ.: < 35 კვირაზე გესტაციური ასაკი, ჰემოლიზური მდგომარეობა, კლინიკური არასტაბილურობა გასული 24 საათის განმავლობაში, სეფსისი და ჰიპოალბუმინემია.)
 - წინა პერიოდში ფოტოთერაპიის საჭიროების არარსებობა
 - გაწერისას LED-ზე დაფუძნებული ფოტოთერაპიული მოწყობილობის შესაძლებლობა ბინაზე
 - ბილირუბინის დონის ყოველდღიური შემოწმების შესაძლებლობა
- ¥ ახალშობილებში, რომელთა ბილირუბინის მაჩვენებელი ფოტოთერაპიის ზღურბლზე ≥ 5.5 მგ/დლ-ით (94 $\mu\text{მოლ/ლ}$) დაბალია, გადაწყვეტილება ამბულატორიული მეთვალყურეობისა და ბილირუბინის განმეორებითი გაზომვის დროის შესახებ მიიღება ინდივიდუალურად, კლინიკურ შეფასებაზე დაყრდნობით (სიყვითლე, კვების ადეკვატურობა, წონის ტრაექტორია, მშობლის/მზრუნველის ეჭვი).

ცხრილი 7.3.1. შრატის საერთო ბილირუბინის დონე ფოტოთერაპიისა და შენაცვლებითი ტრანსფუზიისთვის ≥ 35 კვირის გესტაციის ახალშობილებში⁷⁷


ასაკი	დაბალი რისკი (≥ 38 კვირაზე და ჯანმრთელი)		საშუალო რისკი (≥ 38 კვირაზე რისკფაქტორებით ან $35 - 37$ კვირის + 6 დღე და ჯანმრთელი)		მაღალი რისკი ($35 - 37$ კვირის + 6 დღე რისკფაქტორებით)	
	შრატის საერთო ბილირუბინი მგ/დლ (მკმოლ/ლ)					
ასაკი (საათები)	ტრადიციული ფოტოთერაპია	შენაცვლებითი ტრანსფუზია	ტრადიციული ფოტოთერაპია	შენაცვლებითი ტრანსფუზია	ტრადიციული ფოტოთერაპია	შენაცვლებითი ტრანსფუზია
<24'	-	-	-	-	-	-
24	9 (154)	19 (325)	7 (120)	17 (291)	5 (86)	15 (257)
48	12 (205)	22 (376)	10 (171)	19 (325)	8 (137)	17 (291)
72	15 (257)	24 (410)	12 (205)	21 (359)	10 (171)	18.5 (316)
96	17 (291)	25 (428)	14 (239)	22.5 (385)	11 (188)	19 (325)
>96	18 (308)	25 (428)	15 (257)	22.5 (385)	12 (205)	19 (325)

სურათი 1. ფოტოთერაპიის საათობრივად სპეციფიკური ზღურბლოვანი მაჩვენებლები ≥ 35 კვირის გესტაციის ასაკის ახალშობილში არაკონიუგირებული ჰიპერბილირუბინემიით ნეიროტოქსიკურობის რისკფაქტორების არარსებობისას³



სურათი 2. ფოტოთერაპიის საათობრივად სპეციფიკური ზღურბლოვანი მაჩვენებლები ≥ 35 კვირის გესტაციის ასაკის ახალშობილში არაკონიუგირებული ჰიპერბილირუბინემიით და ნეიროტოქსიკურობის ერთი ან მეტი რისკფაქტორის არსებობისას³

³ Pediatrics, Vol. 150, Page e2022058859, Copyright © 2022 by the AAP.



ბავშვი უნდა გაიგზავნოს ფოტოტერაპიისთვის, თუ ბილირუბინის მაჩვენებლები აღემატება სქემაზე წარმოდგენილ ნორმებს.

ცხრილი N7.4 კარიესის რისკის შეფასება 1-5 წლის ბავშვებში (არა-სტომატოლოგი სამედიცინო პერსონალისთვის)⁴

ფაქტორები	მაღალი რისკი	საშუალო რისკი	დამცველობითი
სოციალური/ბიოლოგიური რისკი			
დედას/პირდაპირ მზრუნველს აღენიშნება აქტიური კარიესი	დიახ		
მშობელი/მზრუნველი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცხოვრობს სიღარიბეში, აქვს განათლების დეფიციტი	დიახ		
ბავშვი იღებს დღეში 3-ზე მეტ შაქრის შემცველ ხემსს ან სასმელს ძირითად კვებებს შორის	დიახ		
ბავშვი ხშირად იღებს ბუნებრივი ან დამატებული შაქრის შემცველ პროდუქტს ბოთლით ან სატუჩიანი ჭიქით კვებებს შორის და/ან ძილის წინ	დიახ		

⁴ წყარო: Ramos-Gomez FJ, Crall J, Gansky SA, et al. Caries risk assessment appropriate for the age 1 visit (infants and toddlers). J Calif Dent Assoc 2007; 35:687. American Dental Association Councils on Scientific Affairs and Dental Practice. Caries Risk Assessment Form (Ages 0-6). American Dental Association: Chicago, 2008.

ბავშვს აღენიშნება ჯანმრთელობის სპეციალური საჭიროებები		დიახ	
ბავშვი ემიგრირებულია ცოტა ხნის წინ		დიახ	
დამცველობითი			
ბავშვი ღებულობს ოპტიმალურად ფთორირებულ სასმელ წყალს ან ფთორის დანამატს			დიახ
ბავშვი ყოველდღე იხეხავს კბილებს ფთორირებული კბილის პასტით			დიახ
ბავშვი იღებს ტოპიკური ფთორის აპლიკაციას ექიმის დანიშნულებით			დიახ
ბავშვს უტარდება რეგულარული სტომატოლოგიური მეთვალყურეობა			დიახ
კლინიკური ნიშნები			
ბავშვს აღენიშნება თეთრი ლაქები ან კბილის მინანქრის დეფექტები	დიახ		
ბავშვს აღენიშნება ხილული კარიესი, ბჟენი, ან აკლია კბილი კარიესის გამო	დიახ		
ბავშვს აღენიშნება კბილის ნადები	დიახ		
<p>კონკრეტული ბავშვის შესაბამისი მახასიათებლების მონიშვნა ეხმარება სამედიცინო პერსონალს და მშობელს/მზრუნველს, გააცნობიეროს ფაქტორები, რომლებიც იცავენ ან ხელს უწყობენ კარიესის განვითარებას. რისკის შეფასების დაჯგუფება დაბალ, საშუალო და მაღალ რისკად ეფუძნება კონკრეტული ფაქტორების სიჭარბეს. თუმცა, კლინიკური განსჯა შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ ერთი ფაქტორის (მაგალითად, შაქრის შემცველ ხემსის ან სასმელის ხშირი მოხმარება, ხილული კარიესი) გამოყენებას ზოგადი რისკის შესაფასებლად.</p>			
ბავშვის კარიესის რისკის ზოგადი შეფასება:			
<input type="checkbox"/> მაღალი			
<input type="checkbox"/> საშუალო			
<input type="checkbox"/> დაბალი			

ცხრილი N7.5. ფთორის დანამატის* მიღების რეკომენდებული სქემა⁵

ასაკი	ფთორის კონცენტრაცია კომუნალურ სასმელ წყალში		
	<0.3 ppm [†]	0.3 - 0.6 ppm	>0.6 ppm
0-დან 6 თვემდე	არა	არა	არა
6 თვიდან 3 წლამდე	0.25 მგ/დღეში	არა	არა
3 წლიდან 6 წლამდე	0.5 გ/დღეში	0.25 გ/დღეში	არა
6 წლიდან 16 წლამდე	1 გ/დღეში	0.5 გ/დღეში	არა

* ნატრიუმის ფთორიდი (2.2 ნატრიუმის ფთორიდი შეიცავს 1 მგ იონიზირებულ ფთორს).

† ppm: parts per million/ნაწილაკი მილიონში; 1 ppm = 1მგ/ლ.

ცხრილი N7.6. 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ძირითადი პრევენციული სერვისები

მომსახურება	ეროვნული სტანდარტი	სიხშირე
წონა/სიგრძე/სიმაღლის და თავის გარშემოწერილობის გაზომვა და შეფასება ჯანმო-ს ზრდის მრუდების მეშვეობით	ბავშვის წონა/სიგრძე/სიმაღლე და თავის გარშემოწერილობა გაიზომა გასული წლის მანძილზე	სულ მცირე 6 X სიცოცხლის პირველ წელს, შემდეგ წელიწადში ერთხელ
სმენის პრობლემების სკრინინგი	3 თვის ასაკამდე სმენის სკრინინგის განხორციელება (იხილეთ დანართი №2)	1 X სიცოცხლის პირველ წელს
მხედველობის პრობლემების სკრინინგი	მხედველობის სკრინინგი განხორციელდეს მეთვალყურეობის ყოველ ვიზიტზე (იხილეთ დანართი №1)	2X წელიწადში სიცოცხლის პირველ წელს, შემდეგ წელიწადში ერთხელ
ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი	ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი მეთვალყურეობის ყოველ ვიზიტზე იხილეთ დანართი №3)	4X სიცოცხლის პირველი წლის მანძილზე
განვითარების და ქცევის სკრინინგი	ბავშვის განვითარების შეფასება რეკომენდებული კრიტერიუმების მიხედვით	9, 18 და 30 თვის ასაკში
დტყ ვაქცინით მოცვა	12 თვის ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩატარებული აქვთ დტყ სამჯერადი ვაქცინა	2,3,4 თვის ასაკში
წწყ ვაქცინით მოცვა	5-6 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩატარებული აქვთ კომბინირებული ვაქცინის რეკომენდებული დოზა	1 წლის, 5 წლის ასაკში
ძუძუთი კვების კონტროლი	მეთვალყურეობის ვიზიტებზე რჩევა ძუძუთი კვების შესახებ და კვების მონიტორინგი	სულ მცირე 4 X წელიწადში სიცოცხლის პირველი წლის მანძილზე
სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შეფასება	სანიტარული და ჰიგიენური პირობების შეფასება და მშობლების კონსულტირება აღნიშნულზე	ბინაზე პირველი ვიზიტის დროს და შემდეგ პერიოდულად ექთნის მიერ

⁵ წყარო: Recommendations for using fluoride to prevent and control dental caries in the United States. Centers for Disease Control and Prevention. MMWR Recomm Rep 2001; 50:1.

<p>სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება</p>	<p>სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეფასება და მშობლების კონსულტირება აღნიშნულზე</p>	<p>ბინაზე პირველი ვიზიტის დროს და შემდეგ პერიოდულად ექთნის მიერ</p>
<p>ბინის პირობების უსაფრთხოების შეფასება</p>	<p>ბინის პირობების უსაფრთხოების შეფასება და მშობლების კონსულტირება აღნიშნულზე</p>	<p>ბინაზე პირველი ვიზიტის დროს და შემდეგ პერიოდულად ექთნის მიერ</p>
<p>სკრინინგი აუტიზმის კონტროლის ტესტით 18 თვის ასაკში</p>	<p>ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 18 და 24 თვის ასაკში აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) შეფასება დამატებითი სკრინინგის საჭიროება შესაძლოა დადგეს, თუ ბავშვს ასდ-ს მაღალი რისკი აღენიშნება (მაგ.: და, ძმა, ან ოჯახის სხვა წევრი ასდ-თი) ან თუ სახეზეა ასდ-სთან ასოცირებული სიმპტომები</p>	<p>18 თვის ასაკში</p>
<p>კონსულტირება კვების, D ვიტამინის დამატების შესახებ</p>	<p>D ვიტამინის დეფიციტის რისკის შეფასება: ანტიკონვულსანტებით თერაპია; ცხიმის მალაბსორბციასთან დაკავშირებული ქრონიკული დაავადება; კანის მუქი პიგმენტაცია; ექსკლუზიური ძუძუთი კვება D ვიტამინის დამატების გარეშე; მზის სხივებით არასაკმარისი ინსოლაცია; დედის D ვიტამინის დაბალი დონე (რისკის ფაქტორი ახალშობილისთვის)</p>	<p>მეთვალყურეობის ყველა ვიზიტზე</p>

ცხრილი N7.7. განვითარების ნიშანსვეტები საშუალო ასაკის მიხედვით (1 თვე-6 წელი)

	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> • მუცელზე წოლისას ზემოთ წევს თავს რამდენიმე წამით • ზურგზე წოლისას ორივე მიმართულებით ატრიალებს თავს 	<ul style="list-style-type: none"> • მუცელზე წოლისას ზემოთ წევს თავს და მცირედ გულმკერდს • ხელში ვერტიკალურად დაჭერისას მცირე დროით იჭერს თავს 	<ul style="list-style-type: none"> • მუცელზე წოლისას ეყრდნობა წინამხარს და კარგად იჭერს თავს 	<ul style="list-style-type: none"> • მუცელზე წოლისას ეყრდნობა მტევნებს, წევს გულმკერდს • იწყებს მუცლიდან ზურგზე გადაბრუნებას • ხელის მოკიდების და წამოჯდომის მცდელობისას თავი არ უვარდება უკან 	<ul style="list-style-type: none"> • ზის საყრდენის დახმარებით • ბრუნდება ზურგიდან მუცელზე 	<ul style="list-style-type: none"> • მცირე ხნით ჩერდება დამჯდარ მდგომარეობაში ხელებზე ყრდნობით • მუცელზე წოლისას ზედაპირს ეხება მხოლოდ მუცლით, კიდურები მცირე ხნით სცილდება მყარ ზედაპირს
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> • აფიქსირებს მზერას სახეზე და ცდილობს თვალის გაყოლებას 	<ul style="list-style-type: none"> • აფიქსირებს მზერას სახეზე და აყოლებს თვალს • აფიქსირებს მზერას საგანზე და აყოლებს თვალს დიდ კაშკაშა ფერის საგანს 	<ul style="list-style-type: none"> • თვალს აყოლებს საგანს • ზოგჯერ შლის მუშტებს და ათვალეირებს თითებს • იწყებს ხელების პირში ჩადებას • თვალს აყოლებს ადამიანს, რომელიც მოძრაობს ოთახში 	<ul style="list-style-type: none"> • ცდილობს მიწვედეს სათამაშოს ორივე ხელით • ხელთან მიტანილ სათამაშოს სტაცებს და მიაქვს პირთან • ხელისგულები უპირატესად გაშლილია • თამაშობს საჟღერუნოთი • კვების დროს მცირე ხნით კიდებს ხელს ძუძუს ან ბოთლს 	<ul style="list-style-type: none"> • ხელს სტაცებს სათამაშოს - მთლიანი ხელისგულით • იდებს სათამაშოს პირში • ხელები მიაქვს ერთმანეთთან შუა ხაზზე 	<ul style="list-style-type: none"> • ერთი ხელით იღებს სათამაშოს და გადააქვს ხელიდან ხელში • კვებისას ორივე ხელს ათავსებს ძუძუზე ან ბოთლზე

	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> • აქვს სპონტანური ღიმილი • გამოარჩევს დედის ხმას 	<ul style="list-style-type: none"> • ვლინდება სოციალური, საპასუხო ღიმილი უფროსის ხმაზე 	<ul style="list-style-type: none"> • სახის გამომეტყველები თ გამოხატავს უკმაყოფილებას 	<ul style="list-style-type: none"> • ხმამაღლა იცინის თამაშის დროს, • წყვეტს ტირილს მშობლის ხმაზე 	<ul style="list-style-type: none"> • ცნობს მშობელს და ავლენს მიჯაჭვულობას • იწყებს უცხოობას 	<ul style="list-style-type: none"> • უცხოობს - გამოარჩევს უცხო ადამიანს ნაცნობისგან • გამოხატავს სიხარულს თამაშის დროს
კოგნიტური/მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> • კრთება ძლიერ ხმაურზე • გამოსცემს ტირილისგან განსხვავებულ ხმას 	<ul style="list-style-type: none"> • რეაგირებს ხმებსა და ხმაურზე • ლულუნებს 	<ul style="list-style-type: none"> • ეპოტინება მშობლის სახეს • ზურგზე წოლისას აყოლებს თვლას წრიულად მოძრაე საგანს • წარმოთქვამს ბგერებს • რეაგირებს მუსიკაზე • რეაგირებს საუბარზე 	<ul style="list-style-type: none"> • ათვალერებს გარემოს • იწყებს ნაცნობი ადამიანების განსხვავებას უცხოებისგან • აბრუნებს თავს ბგერების მიმართულებით 	<ul style="list-style-type: none"> • აკვირდება მცირე საგნებს • თავს აბრუნებს ხმის მიმართულებით • იწყებს რეაგირებას სახელის დამახეზაზე • აგებინებს მშობელს სიხარულს თუ გაბრაზებას 	<ul style="list-style-type: none"> • ხმით გამოხატავს სიხარულს ან უკმაყოფილებას • ურტყავს სათამაშოს და ანჯღრევს მას • უყურებს მოსაუბრეს • უღიმის და ესაუბრება სარკეში თავის გამოსახულებას • იწყებს თანხმოვნების გამეორებას

	7 თვე	8 თვე	9 თვე	10 თვე	11 თვე	12 თვე
უხეში მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> • ზის მყარად, ეყრდნობა განზე დადებულ ხელებს • ბუქნაობს ვერტიკალურად დაჭერისას 	<ul style="list-style-type: none"> • ჯდება დამოუკიდებლად • მთელი სხულით ეხება იატაკს, მუცელზე ხობავს 	<ul style="list-style-type: none"> • იწყებს ხობავს კიდურებზე ყრდნობით, მუცელს ამორებს იატაკს • ეჭიდება საგანს და ცდილობს ადგომას 	<ul style="list-style-type: none"> • დგას საყრდენზე ერთი ხელის მოკიდებით • ცდილობს სიარულს ორივე ხელმოკიდებული • დახობავს კარგად კიდურებზე ყრდნობით • იწყებს სიარულს ავეჯის გარშემო ორივე ხელის მოკიდებით 	<ul style="list-style-type: none"> • დადის ერთი ხელის მოკიდებით • იწყებს სიარულს ავეჯის გარშემო ერთი ხელის მოკიდებით • დამოუკიდებლად დგას რამდენიმე წამით 	<ul style="list-style-type: none"> • დგას კარგად, ხელები და ფეხები განზე აქვს • იწყებს ნაბიჯების გადადგმას
ნატიფი მოტორიკა	<ul style="list-style-type: none"> • ათვალეირებს და ხელიდან ხელში გადააქვს საგანი 	<ul style="list-style-type: none"> • ურტყამს სათამაშოს საგნის ზედაპირს ჩვენების შემდეგ • ამოქვს კუბი ჭიქიდან • შეუძლია საგნის მკვრატელისებურად დაჭერა 4 თითით და ცერით 	<ul style="list-style-type: none"> • ამოაქვს სათამაშო ყუთიდან • ურტყავს 2 სათამაშოს (კუბს) ერთმანეთს • უჭირავს სათამაშო 2 თითით და ცერით 	<ul style="list-style-type: none"> • იღებს მცირე ზომის (ლობოს, ბალის ზომის) სათამაშოს მარწუხისებურად ორი თითით - საჩვენებელითა და ცერით • შეუძლია საჩვენებელი თითით შეეხოს საგანს 	<ul style="list-style-type: none"> • ისვრის სათამაშოს • ურევს კოვზით 	<ul style="list-style-type: none"> • უჭირავს ფანქარი • შეუძლია მცირე საგნის დახვეწილი მარწუხისებრი დაჭერა • ჯღაბნის ჩვენების შემდეგ • ცდილობს 2 კუბისგან კომპის აშენებას
სოციალურ/ემოციური	<ul style="list-style-type: none"> • ხმით გამოხატავს სიხარულს ან უკმაყოფილებას, • უცხოობს, • გამოხატავს სიხარულს თამაშის დროს 	<ul style="list-style-type: none"> • გამოხატავს და აგრძნობინებს მშობელს თავის ემოციებს • თვალს აყოლებს მშობლის მზერას 	<ul style="list-style-type: none"> • ცნობს ნაცნობ ადამიანებს • აქვს განშორების შფოთვა • ცდილობს ხმით ყურადღების მიპყრობას 	<ul style="list-style-type: none"> • გამოხატავს ემოციებს - გაბრაზებას, სიხარულს და შიშს • რეაგირებს სახელზე 	<ul style="list-style-type: none"> • უზიარებს უფროსს საგანს დახმარების მიზნით 	<ul style="list-style-type: none"> • ქესტიკულაციით მიუთითებს საგანზე, რომელიც უნდა • მშობელს აჩვენებს სათამაშოს, უბრალო გაზიარების მიზნით და არა დასახმარებლად

	7 თვე	8 თვე	9 თვე	10 თვე	11 თვე	12 თვე
კოგნიტური/ მეტყველება	<ul style="list-style-type: none"> პოულობს ნაწილობრივ დამალულ საგანს უყურებს მოსაუბრეს უყურებს დასახელებულ ნაცნობს საგანს წარმოთქვამს მარცვლებს 	<ul style="list-style-type: none"> ემებს იატაკზე უხმაუროდ დავარდნილ საგანს მზერით შეხედავს ოჯახის წევრს, როდესაც ეკითხებიან „სად არის დედა, მამა?“ ამბობს 2 ერთნაირ მარცვალს ერთად „და-და, მა-მა“ არასპეციფიურად ბაძავს ხმებს 	<ul style="list-style-type: none"> ქაჩავს ზონარს, რომელზეც მიბმულია სათამაშო, რათა მიწვდეს მას კარგად რეაგირებს სახელზე ამბობს გადაბმულად ორ მარცვალს: „მა-მა“, „ბა-ბა“ 	<ul style="list-style-type: none"> პოულობს ქსოვილის ქვეშ დამალულ სათამაშოს თხოვნაზე უქნევს ხელს, უკრავს ტაშს რეაგირებს თამაშზე „ჭიტა“ 	<ul style="list-style-type: none"> უყურებს წიგნში ნახატებს პოულობს ჭიქის ქვეშ დამალულ სათამაშოს რეაგირებს აკრძალვაზე (ჩერდება „არა“) ბუქნაობს მუსიკაზე ხმას აყოლებს მუსიკას ამბობს პირველ სიტყვას 	<ul style="list-style-type: none"> ხდის ყუთს თავს და ემებს სათამაშოს ასრულებს ერთ საფეხურიან დავალებას მოდის, რეაგირებს დამახეზაზე ცდილობს გაიმეოროს მშობლების ბგერები იცის 2 საგნის დასახელება მაინც და ცნობს და უყურებს მათ მოთხოვნისას იცის 1-2 სიტყვა

	13 თვე	14 თვე	15 თვე	16 თვე	18 თვე	20 თვე	22 თვე	24 თვე
